დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(სსიპ დაბა ასპინძის საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნინო ვასაძე

წევრები:

ნინო ჩიტაძე - (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);

მარინე ბაგალიშვილი - (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

დავით ბოლქვაძე - (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

ზურაბ ურიადმყოფელი - (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

დავით კიკაბიძე - (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

მარინე ჩიტაძე - (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,, წევრი);

როლანდ ხოჯანაშვილი - (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ირმა შველიძე - (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

მურად ფახურიძე - (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

მაკა ინაშვილი - (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ დაბა ასპინძის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	223104263

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	**დაბა ასპინძა**
იურიდიული მისამართი	დაბა ასპინძა, რუსთაველის ქN3 / ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელი თოკი
ფაქტობრივი მისამართი	დაბა ასპინძა, რუსთაველის ქN7
საფოსტო ინდექსი	0500
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	ვებგვერდი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	skaspindza@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერ	591953918

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი თარიღი)	#1005512; 17.08.2023წ.
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	05-06 ოქტომბერი 2023 წ.

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)

1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	დაბა ასპინძა, რუსთაველის ქ. #7
2	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფელი თოკი
3	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	დაბა ასპინძა, რუსთაველის ქ. #7
4	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფელი თოკი
5	ზოგადი განათლების საშუალო საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	დაბა ასპინძა, რუსთაველის ქ. #7

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 17 აგვისტოს #1005512 ბრძანების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის განხორციელდა ვიზიტი სსიპ დაბა ასპინძის საჯარო სკოლაში მის. დაბა ასპინძა, რუსთაველის #7 ა.წ . 05 და 06 ოქტომბერს. ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა. ექსპერტთა ვიზიტი წარიმართა დღის წესრიგის შესაბამისად. ვიზიტამდე მოხდა დოკუმენტაციის შესწავლა და დამატებითი დოკუმენტების გამოთხოვა, რაც უზრუნველყოფილი იქნა დაწესებულების მხრიდან: ნაწილი დოკუმენტაცია წარმოდგენილ იქნა ადგილზე მატერიალური სახით,

ნაწილი კი ელექტრონული სახით. ვიზიტისას შეფასდა ოთხივე სტანდარტი, მათ შორის მეორე სტანდარტი თითოეული საფეხურისთვის. ექსპერტები ვიზიტისას გაესაუბრნენ ადმინისტრაციის და საგნობრივი კათედრების წარმომადგენლებს, ასევე ინტერვიურება ჩატარდა სპეციალურ მასწავლებლებთან და ბიბლიოთეკართან. ექსპერტმა ჯგუფმა დაათვალიერა მატერიალური რესურსი სამივე ლოკაციაზე: დაბა ასპინძაში, სოფელ ვარგავსა და თოკში. სოფელ ვარგავსა და თოკში დაწესებულებას აქვს ოპტიმიზირებული სკოლები. თუმცა ეტაპზე ვარგავის სასწავლო კორპუსში არ ხორციელდება სწავლება. სოფელ თოკში ამ ეტაპზე სწავლობს ორი მოსწავლე-ერთი დაწყებით და ერთი საბაზო საფეხურზე. სკოლის შენობა ძირითადი სასწავლო კორპუსიდან დაშორებულია 40 კმ-ით, მდებარეობს მაღალმთიან ზონაში და გარს აკრავს არაქართულენოვანი სოფლები. შესაბამისად, უმნიშვნელოვანესია აღნიშნულ ადგილას სკოლის არსებობა და განათლების ხელმისაწვდომობა სახელმწიფო ენაზე.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

- დაწესებულებაში ფუნქციონირებს ჭრა - კერვის შემსწავლელი კლუბი, სკოლა აპირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატებას.
- დაწესებულება ზრუნავს განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდაზე მაღალმთიან სოფელში, ინარჩუნებს სასწავლო კორპუსს, რომელშიც სწავლობს ამ ეტაპზე ორი მოსწავლე და წლების წინ დაკეტილი სკოლის აღსადგენად არ იშურებს ძალისხმევას.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოებ	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: **600**	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმე ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებ სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

დაწყებითი და საბაზო საფეხურის პროგრამები შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი, საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა როგორც „შესაბამისი“.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

არ დაფიქსირებულა.

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რეკომენდაცია
ინდიკატორი N3.1.2.3	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;	*ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (*28.11.2023-28.12.2023) *უზრუნველყოს 2020 წლის შემდეგ დასაქმებულებთა მხრიდან უფლების ჩამორთმევის შესახებ და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობების წარმოდგენა.*
ინდიკატორი N3.1.2.4.	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;	*ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (*28.11.2023-28.11.2024) *უზრუნველყოს სკოლაში დასაქმებული ექიმის კვალიფიკაციის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან*

		დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა.
ინდიკატორი 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	*ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (*28.11.2023-28.12.2024) *უზრუნველყოს:* ➢ *სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვება თოკის სასწავლო კორპუსში.* ➢ *შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება (შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ)თოკში მდებარე სასწავლო ფართზე;* ➢ *თოკის სასწავლო ფართის სამედიცინო ოთახით და შესაბამისი სამედიცინო პერსონალით უზრუნველყოფა.* ➢ *საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება უფლებამოსილ ორგანოსთან თოკის სასწავლო ფართზე.* .
*ინდიკატორი **3.4.1.2***	სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;	*ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (*28.11.2023-28.11.2024) *უზრუნველყოს თოკის სასწავლო ფართის კამერებით აღჭურვა.*

*ინდიკატორი **3.4.1.4***	სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;	*ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (*28.11.2023-28.11.2024) *უზრუნველყოს თოკის სასწავლო ფართზე საპირფარეშოს კეთილმოწყობა.*
ინდიკატორი 3.5.1.3	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;	*ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (28.11.2023-28.11.2024) უზრუნველყოს:* ➢ *დაბა ასპინძაში მდებარე სასწავლო ფართზე არსებული კორპუსებისთვის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ლიფტის უსაფრთხოების კომპონენტის შესაბამისობის დეკლარაციის მოპოვება;* ➢ *სოფელ თოკში მდებარე სასწავლო კორპუსში ადაპტირებული საპირფარეშოს მოწყობა.*

სტანდარტი N2(დაწყებითი საფეხური)	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	**რეკომენდაცია**
კომპონენტი N2.2.	კურიკულუმის განხორციელება	*ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (*28.11.2023-28.11.2024) *უზრუნველყოს თოკის სასწავლო ფართზე საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიის და სპორტული დარბაზის მოწყობის უზრუნველყოფა.*

სტანდარტი N2(საბაზო საფეხური)	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	**რეკომენდაცია**
კომპონენტი N2.2.	კურიკულუმის განხორციელება	*ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (*28.11.2023-28.11.2024) *უზრუნველყოს თოკის სასწავლო ფართზე საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიის და სპორტული დარბაზის მოწყობის უზრუნველყოფა.*

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N.1.1.1.1	სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;	ექსპერტთა რჩევაა, მისიის ფორმულირება იყოს მოკლე, მამოტივირებელი და ხაზს უსვამდეს დაწესებულების იდენტობას. ხედვა იყოს კონკრეტული, რისი მიღწევა სურს დაწესებულებას დროის გარკვეულ პერიოდში.
ინდიკატორი ***1.2.1.2***	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;	ექსპერტთა რჩევაა, დაწესებულებამ სტრატეგიული განვითარების გეგმა და მეთოდოლოგია შესაბამისობაში მოიყვანოს ერთმანეთთან. სასურველია სტრატეგიული მიზანი იყოს: კონკრეტული, გაზომვადი - იძლეოდეს მისი მიღწევის კუთხით არსებული პროგრესის ობიექტურად შეფასების შესაძლებლობას; მიღწევადი, დროში გაწერილი.
ინდიკატორი ***1.2.2.1***	სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;	ექსპერტთა რჩევაა, სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში მონიტორინგის პერიოდულობა განისაზღვროს ერთიანი მიდგომით და თანხვედრაში იქნას ერთმანეთთან მოყვანილი დოკუმენტის მეხუთე და მეთორმეტე თავები.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული	რჩევა

	და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი N3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	ექსპერტთა რჩევაა, ▪ *დაწესებულებამ აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც ექნება აკრედიტირებული ორგანოს მიერ გაცემული სერტიფიკატი და შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევის პრევენციის მიზნით უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების ღონისძიებების დანერგვასა და მართვას.* ▪ *დაწესებულებამ შეიმუშაოს პირველადი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.* ▪ *დაწესებულებამ უზრუნველყოს სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან სრულად შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვება.*
*ინდიკატორი **3.5.1.1***	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	ექსპერტთა რჩევაა, დაწესებულებამ უზრუნველყოს იურიდიული მისამართის ფაქტობრივ მისამართთან შესაბამისობაში მოყვანა.
*ინდიკატორი**3.6.1.1***	ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;	ექსპერტთა რჩევაა, დაწესებულებამ უზრუნველყოს ინტერნეტის ხელმისაწვდომობა სოფელ თოკის სასწავლო ფართზე.

სტანდარტი N2	**კურიკულუმი(დაწყებითი საფეხური)**	**რჩევა**
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);	*ექსპერტთა რჩევაა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მეხუთე კლასის საგნობრივ პროგრამაში თემატური ბლოკები გაიწეროს იმგვარად, რომ დამუშავდეს სტანდარტით გათვალისწინებული ხუთივე სამიზნე ცნება.*
ინდიკატორი 2.3.1.2	მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;	*ექსპერტთა რჩევაა, კიდევ უფრო გაიზარდოს კონტექსტების მიმართულებები (მშობლების როლი, არაფორმალური განათლების როლი ...), ასევე სასურველია შემუშავდეს უფრო დაკონკრეტებული მოქმედებების პაკეტი, სადაც მითითებული იქნება სასწავლო პროცესის შეფასების პროცედურები, მათ შორის, მრავალი კონტექსტის გათვალისწინების კომპონენტი (მაგ; მოსწავლის ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარების შესაფასებლად გათვალისწინებული იქნება, შესრულებული საშინაო დავალებები, მოსწავლეთა ჩართულობა არაფორმალურ განათლებაში, კლასგარეშე აქტივობებში მონაწილეობა). ეს შეიძლება დაემატოს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტსაც, ან გამოიცეს ცალკე დოკუმენტად (მაგ; მცირე ზომის ბუკლეტი სასწავლო პროცესის შეფასების მეთოდოლოგიაზე).*
ინდიკატორი 2.3.2.3	შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;	*ექსპერტთა რჩევაა, კიდევ უფრო გამრავალფეროვნდეს სასწავლო პროცესში გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტები (მაგ; გამოყენებულ იქნას ანკეტირება, გამოკითხვა, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი და სხვა).*

სტანდარტი N2	**კურიკულუმი(საბაზო საფეხური)**	**რჩევა**
ინდიკატორი 2.1.1.1	კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;	ექსპერტთა რჩევაა, პედაგოგებმა კურიკულუმში (კონკრეტულად მუსიკის მეშვიდე კლასის კურიკულუმში) ცნებებთან ერთად მიუთითონ მითითებული ქვეცნებები.

სტანდარტი N2	**კურიკულუმი(საშუალო საფეხური)**	**რჩევა**
ინდიკატორი 2.3.1.2	მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;	*ექსპერტთა რჩევაა, კიდევ უფრო გაიზარდოს კონტექსტების მიმართულებები (მშობლების როლი, არაფორმალური განათლების როლი ...), ასევე სასურველია შემუშავდეს უფრო დაკონკრეტებული მოქმედებების პაკეტი, სადაც მითითებული იქნება სასწავლო პროცესის შეფასების პროცედურები, მათ შორის, მრავალი კონტექსტის გათვალისწინების კომპონენტი (მაგ; მოსწავლის ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარების შესაფასებლად გათვალისწინებული იქნება, შესრულებული საშინაო დავალებები, მოსწავლეთა ჩართულობა არაფორმალურ განათლებაში, კლასგარეშე აქტივობებში მონაწილეობა). ეს შეიძლება დაემატოს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტსაც, ან გამოიცეს ცალკე დოკუმენტად (მაგ; მცირე ზომის ბუკლეტი სასწავლო პროცესის შეფასების მეთოდოლოგიაზე).*

ინდიკატორი 2.3.2.3	შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;	*ექსპერტთა რჩევაა, კიდევ უფრო გამრავალფეროვნდეს სასწავლო პროცესში გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტები (მაგ; გამოყენებულ იქნას ანკეტირება, გამოკითხვა, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი და სხვა).*

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულებამ 2023 წლის 01 დეკემბრის # 1632884 კორესპოდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება No99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ მე-15 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და მტკიცებულებები ხარვეზის აღმოფხვრის შესახებ. ექსპერტთა ჯგუფმა გაანალიზა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ხარვეზის აღმოფხვრის შესაძლებლობა და მიიჩნია, რომ კონკრეტული ხარვეზის აღმოსაფხვრელად გამოყოფილ ვადაში სავსებით შესაძლებელია დაგეგმილი აქტივობების განხორციელება. ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15^2 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე გათვალისწინებულ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და ექსპერტთა შეფასება შეიცვალა შემდეგ ხარვეზებთან მიმართებით: ინდიკატორი N3.1.2.3 პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;

ინდიკატორი N3.1.2.4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
ინდიკატორი 3.4.1.1 სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
ინდიკატორი 3.4.1.2 სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
ინდიკატორი 3.4.1.4 სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
ინდიკატორი 3.5.1.3 სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
მეორე სტანდარტის მეორე კომპონენტის შეფასება დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით.

აღნიშნულ ხარვეზებთან მიმართებით შეიცვალა შეფასება და შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.
ასევე წარმოდგენილ იქნა მტკიცებულებები, რომელიც გათვალისწინებულ იქნა ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15 მუხლის მე- 10 პუნქტის საფუძველზე და ექსპერტთა შეფასება შეიცვალა შემდეგ ხარვეზთან მიმართებით:
ინდიკატორი 3.3.1.3 სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
ექსპერტთა მიერ შესწავლილ იქნა არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წამოდგენილი ხარვეზის აღმოფხვრის მტკიცებულებები. ექსპერტთა მიერ მხედველობაში იქნა აღნიშნული დოკუმენტი გაანალიზდა სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნასთან მიმართებით და აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც სრულად შესაბამისი.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ დაბა ასპინძის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს მისია და ხედვა, რომელიც შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. დაწესებულებამ წარმოადგინა ვრცელი დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები და მიზნები. დაწესებულების მისია არის საკმაოდ ვრცელი და მოიცავს რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტს: უსაფრთხო გარემოში აღზარდოს პირობისეული ცოდნით აღჭურვილი, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნება, რომელიც ინტერკულტურული დიალოგის წარმართვით შეძლებს კარგად გაიაზროს საკუთარი თავი და კულტურა, დაინახოს საკუთარი ადგილი საზოგადოებაში; ხელს შეუწყობს მაღალი ხარისხის სწავლა სწავლებას, ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას, მოსწავლისა და მასწავლებლის განვითარებაზე ორიენტირებული შეფასების სისტემის დანერგვას, მოაზროვნე, მაძიებელი, ახლის შემოქმედი, წიგნიერი, ინფორმირებული და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქის ჩამოყალიბებას, რომელსაც შეუძლია გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება, საკუთარი მიღწევების გამოყენება ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად; აღზარდოს ისეთი მოქალაქე, რომლის ცოდნაც იქნება მყარი და დინამიური, რომელიც შეძლებს თავისი ცოდნის რეალიზაციას, დაიკავებს სათანადო ადგილს საზოგადოებაში და თავისი ძალებს მოახმარს ჩვენი ქვეყნის განვითარებას და გაძლიერებას. ექსპერტთა მოსაზრებით მისია გარდა იმისა რომ ვრცელია, მოიცავს დაახლოებით ერთი და იმავე

შინაარსის ფრაზებს. დაწესებულების ხედვაა, ისეთი პირობების შექმნან, რომ ხელი შეუწყონ სკოლის მომავალი კურსდამთავრებულების მაქსიმალურად რეალიზაციას, უკეთესად წარმოჩენასა და დამკვიდრებას გლობალურ სამყაროში. რაც საკმაოდ ზოგადია და არ მოიცავს კონკრეტულ ხედვას, რა მიმართულებით გეგმავს დაწესებულება განვითარებას და დროის რა პერიოდში. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ექსპერტთა რჩევაა, მისიის ფორმულირება იყოს მოკლე, მამოტივირებელი და ხაზს უსვამდეს დაწესებულების იდენტობას. ხედვა იყოს კონკრეტული, რისი მიღწევა სურს დაწესებულებას დროის გარკვეულ პერიოდში.

2. სსიპ-დაბა ასპინძის საჯარო სკოლას მისიითა და ხედვით განსაზღვრული აქვს საკუთარი როლი, მისი მიზანია მოსწავლეებისათვის ესგ-ით გათვალისწინებული ზოგადი განათლების მიცემა, მათში მოქალაქეობრივი თვითშეგნების ჩამოყალიბება, ქვეყნის კულტურული ტრადიციებისადმი პატივისცემის გაღვივება. სკოლა მოწოდებულია უზრუნველყოს მშობელთა მაღალი ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში და მასწავლებელთა პროფესიული კომპეტენციის მუდმივი ზრდა, სკოლა ხელს უწყობს ბავშვზე ორიენტირებული გარემოს ფორმირებას. ცდილობს მოსწავლეთა მიღწევები აქციოს უმაღლეს პრიორიტეტად და მის განსახორციელებლად მოიზიდოს შესაბამისი ფინანსური, მატერიალური და ადამიანური რესურსები. სკოლის მთავარი პრიორიტეტია ცოდნასთან ერთად მოსწავლეები აღიჭურვონ იმ გამჭოლი უნარ-ჩვევებით რაც მათ მთელი ცხოვრების განმავლობაში გამოადგებათ. სკოლა ორიენტირებულია უსაფრთხო გარემოს შექმნაზე. დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, უსაფრთხო სასწავლო გარემო არის ის ბაზისური ელემენტი, რომელსაც, პირველ რიგში, უნდა აკმაყოფილებდეს სკოლა, რათა შემდგომ შემეცნებითი დანიშნულების სრულფასოვნად შესრულება შეძლოს. სსიპ-დაბა ასპინძის საჯარო სკოლა არის უსაფრთხო სკოლა, სადაც მოსწავლეებთან ერთად, მასწავლებლებიც და დირექციაც ინარჩუნებენ პოზიტიურ ურთიერთობას, სკოლა თავისუფალია დაშინებისა და მუქარისგან. მოსწავლეზე ორიენტირებულ მასტიმულირებელ გარემოს ხელს უწყობს მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა. სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი: **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მისიისა და ხედვის შექმნაში ჩართული იყო მთელი სასკოლო საზოგადოება, სკოლის დირექტორის 2023 წლის 27 აპრილის #18 ბრძანებით შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი, რომელმაც გააკეთა განცხადება, რომ სკოლა იწყებდა მისიის შემუშავებას და ყველა მსურველს ჰქონდა საშუალება თავისი მოსაზრება მიეწოდებინა საინიციატივო ჯგუფისათვის. ჯგუფმა შეაგროვა შემოსული წინადადებები. მოსაზრებები მიაწოდეს მშობლებმაც და მესამე საფეხურის მოსწავლეებმაც. საინიციატივო ჯგუფმა

შეადგინა ვერსია, რომელიც განხილული იქნა პედაგოგიურ საბჭოზე, შესწორდა და საბოლოო სახე მიიღო, ამის შემდეგ იგი წარედგინა სამეურვეო საბჭოს. დაწესებულებამ ვიზიტისას წარმოადგინა საინიციატივო ჯგუფის მუშაობის ამსახველი ოქმები, პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოს ოქმები, რომლითაც დასტურდება, რომ შემუშავება-რევიზირების პროცესში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოება. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სსიპ დაბა ასპინძის საჯარო სკოლამ ექსპერტთა ვიზიტისას წარმოადგინა მტკიცებულებები, რითაც დასტურდება რომ სკოლის მიერ რევიზირებული მისია, ხედვა და ღირებულებები გაუზიარეს სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა რგოლს. მათ შორის: პერსონალს, მშობლებსა და მოსწავლეებს. წარმოდგენილი იქნა პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოს ოქმები, სადამრიგებლო პროგრამა, რომელშიც ერთ-ერთი პირველი საკითხი აღნიშნული დოკუმენტის გაცნობა იყო. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულმა საინიციატივო ჯგუფის წევრებმა ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ მუშაობის პროცესში პერიოდულად ხვდებოდნენ სასკოლო საზოგადოების წევრებს, აცნობდნენ და იღებდნენ მათგან უკუკავშირს. ასევე მისიის, ხედვისა და ღირებულებების სამუშაო ვერსია გაზიარებულ იქნა სკოლის ოფიციალური ფეისბუქ-გვერდით. შესაბამისად, საზოგადოების სხვადასხვა რგოლს საშუალება ჰქონდა გაცნობოდნენ და გამოეხატათ თავიანთი პოზიცია. როგორც საინიციატივო ჯგუფის წევრებმა აღნიშნეს, მიღებული უკუკავშირი გათვალისწინებული იქნა საბოლოო დოკუმენტის ფორმირების პროცესში და სასკოლო საზოგადოება იზიარებს და ეთანხმება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. სსიპ დაბა ასპინძის საჯარო სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები ხელმისაწვდომია სკოლის დერეფანში განთავსებულ საინფორმაციო დაფებზე, ასევე გაზიარებულია სკოლის ოფიციალურ ფეისბუქგვერდსა და ვებგვერდზე. შესაბამისად უზრუნველყოფილია საჯაროობა და ხელმისაწვდომობა დაინტერესებულ პირთათვის. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების რეორგანიზაციისა და "ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანების თანახმად, სსიპ დაბა ასპინძის საჯარო სკოლა არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი. **შესაბამისად მისი სახელწოდება შესაბამისობაშია კანონმდებლობით დადგენილ ტერმინთან. ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- ✓ საინიციატივო ჯგუფის შექმნის ბრძანება;
- ✓ საინიციატივო ჯგუფის მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია;
- ✓ მისიის, ხედვის და ღირებულებების დოკუმენტი;
- ✓ სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- ✓ პედაგოგიური საბჭოს ოქმი;
- ✓ სკოლის ვებგვერდი;
- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანება.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ დაბა ასპინძის საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 20 ივნისის 34/1 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცდა სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია. ექსპერტთა მიერ შესწავლილ იქნა აღნიშნული დოკუმენტი. მეთოდოლოგიის მეოთხე თავი არეგულირებს შემუშავების პროცესში სხვადასხვა მხარეების ჩართულობის უზრუნველყოფას. დაწესებულება აცხადებს, რომ სტრატეგიული დაგეგმვა თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, რაც უზრუნველყოფილია პროცესების სამუშაო ჯგუფის ფორმატში წარმართვით და დაინტერესებულ მხარეებთან დოკუმენტების გაზიარებით. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები მუშავდება დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, რომლეთა შემადგენლობაშიც შედის: სკოლის დირექციის წარმომადგენლები, სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, მასწავლებლები/წარმომადგენლები კათედრებიდან, მოსწავლე/წარმომადგებელი მოსწავლეთა თვითმმართველობიდან, მშობელი, თემის წამომადგენელი. შესაბამისად, არის იმის შესაძლებლობა რომ სასკოლო საზოგადოების კონკრეტული ჯგუფის ინტერესები გათვალისწინებულ იქნას დაგეგმვის პროცესში. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სსიპ დაბა ასპინძის საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 20 ივნისის 34/1 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგის მერვე თავის მე-11 მუხლის თანახმად, სტრატეგიული გეგმა შედგება 3-5 მსხვილი მიზნისგან და ითვალისწინებს ამ მიზნების მიღწევისათვის საჭირო ამოცანებს. მეთოდოლოგიაში არ არის განსაზღვრული სტრატეგიული მიმართულებების და ქვეამოცანების გამოყოფა. დაწესებულებამ ვიზიტისას წარმოადგინა სკოლის სტრატეგიული გავითარების 7 წლიანი გეგმა, რომელიც მოიცავს ოთხ სტრატეგიულ მიმართულებას, თავის მხრივ მიმართულებები მოიცავს სტრატეგიულ მიზნებს და ამ მიზნების შესაბამის ამოცანებსა და ქვეამოცანებს. ხშირ შემთხვევაში ამოცანებად დასახელებულია აქტივობები.სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა მოიცავს SWOT-ანალიზს, გაანალიზებულია დაწესებულების ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და რისკები. ცალკე თავად არის გამოყოფილი სტრატეგიული მიზნების მიღწევისთვის საჭირო რესურსი. თუმცა რთულია გამიჯვნა

კონკრეტული სტრატეგიული მიზნის და ამოცანებისთვის რა რესურსია საჭირო. დოკუმენტი წარმოდგენილია ნარატივის სახით და ინფორმაცია არ არის ორგანიზებულად წარმოდგენილი. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს ასევე სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს და სტრატეგიული მიზნებიც შესაბამისობაშია მოყვანილი. მე-8 თავის მე-16 მუხლის თანახმად, სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა მტკიცდება სკოლის დირექტორის მიერ. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ექსპერტთა რჩევაა, დაწესებულებამ სტრატეგიული განვითარების გეგმა და მეთოდოლოგია შესაბამისობაში მოიყვანოს ერთმანეთთან. სასურველია სტრატეგიული მიზანი იყოს: კონკრეტული, გაზომვადი - იძლეოდეს მისი მიღწევის კუთხით არსებული პროგრესის ობიექტურად შეფასების შესაძლებლობას; მიღწევადი, დროში გაწერილი.

3. სსიპ დაბა ასპინძის საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 20 ივნისის 34/1 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მერვე თავის მე-14 მუხლის თანახმად, სამოქმედო გეგმა მოიცავს შემდეგ ძირითად პუნქტებს: სტრატეგიული მიზანი, ამოცანა, აქტივობა (საჭიროების შემთხვევაში - ქვეაქტივობაც), შესრულების ინდიკატორი, განხორციელების ვადა თვეების ჭრილში, პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული, შემსრულებელი პირი/სტრუქტურული ერთეული, შესაბამისი რესურსები და აქტივობის შესრულების სტატუსი. ვიზიტისას დაწესებულებამ წარმოადგინა 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც ეფუძნება სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმას და სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე დაგეგმილია აქტივობები, განსაზღვრულია შესრულების მტკიცებულებები, პერიოდი, პასუხისმგებელი პირები. დაწესებულებას ერთ-ერთ მიზნად სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული აქვს სასკოლო დოკუმენტაციის შემუშავება , განახლება და ორგანიზაციული განვითარება. შესაბამისად, აქტივობებში გაწერილი აქვს ისეთი მარეგულირებელი დოკუმენტების შექმნა, რისი საჭიროებაც თვითშეფასების შევსების შემდგომ გამოიკვეთა. შესაბამისად, სამოქმედო გეგმის შედგენისას სკოლამ გაითვალისწინა თვითშეფასების შედეგები. ასევე დაგეგმილი აქტივობები გამომდინარეობს სტრატეგიული მიზნებიდან და ამ მიზნის შესაბამისი ამოცანებიდან. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკამყოფილებულია.**

4. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად, სამოქმედო გეგმა წარმოადგენს საშუალოვადიან პერიოდში დაგეგმილი აქტივობების აღმწერ დოკუმენტს. იგი მოიცავს ამოცანებს, აქტივობებს, მათი განხორციელების ვადებს, შესრულების მაჩვენებლებს, ამოცანის მიღწევის დამადასტურებელი წყაროების აღწერას, მათ განხორციელებაზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულებს, საჭირო რესურსებს, ჩართულ მხარეებს და რისკებს. დაწესებულებამ წარმოადგინა 2023-2024

სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც შემუშავებულია მეთოდოლოგიის თანახმად. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- ✓ სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ✓ 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმა.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ დაბა ასპინძის საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 20 ივნისის 34/1 ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებული სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მეთორმეტე თავი მოიცავს მონიტორინგსა და შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხებს. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც.

სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, მისი განხორციელების შუაში და ბოლოს. სამოქმედო გეგმის მონიტორინგისთვის სკოლა იყენებს ანგარიშების წარმოდგენის მეთოდს. იანვრისა და ივნისის ბოლო კვირაში სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარესთან წარმოადგენენ წერილობით ანგარიშს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ და შესაბამის მტკიცებულებებს. მეთოდოლოგიის მეხუთე თავში აღწერილია სტრატეგიული დაგეგმვის ძირითადი პრინციპები, რომელთაგან ერთ-ერთია ანგარიშვალდებულება - სკოლა ყოველწლიურად ამზადებს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს, ხოლო ყოველ 2 წელიწადში, რის მიხედვითაც სტრატეგიული განვითარების ანგარიში განხორციელდება არა ორჯერ როგორც მე-12 თავით არის განსაზღვრული, არამედ 3-ჯერ ან 4-ჯერ. ასევე სამოქმედო გეგმის მონიტორინგთან დაკავშირებით ერთგან მონიტორინგი გვხვდება წელიწადში ერთხელ, სხვა ადგილას კი ორჯერ -იანვარსა და ივნისში. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ექსპერტთა რჩევაა, მეთოდოლოგიის დოკუმენტში მონიტორინგის პერიოდულობა განისაზღვროს ერთიანი მიდგომით და თანხვედრაში იქნას ერთმანეთთან მოყვანილი დოკუმენტის მეხუთე და მეთორმეტე თავები.

2. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიით გაწერილია სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება. სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის და შეფასების შედეგები გაზიარდება დაინტერესებულ პირებთან მათგან უკუკავშირის მიღების მიზნით. სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის და შეფასების საბოლოო შედეგები წარედგინება სკოლის დირექტორს შემდგომი რეაგირების მიზნით და გამოიყენება შემდგომი დაგეგმვის ან ცვლილების განხორციელების ეტაპზე. სკოლას აქვს წინარე გამოცდილება და როგორც დირექტორმა აღნიშნა გასაუბრებისას, რეგულარულად ხდებოდა და ხდება სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების მონიტორინგი. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **სტრატეგიული დაგეგმარების მეთდოლოგიაში აღნიშნულია, რომ დაწესებულება მოქმედებს გამჭირვალობის პრინციპით,** სტრატეგიული დაგეგმვისას და შეფასებისას იყენებს ღია და საჯარო მიდგომებს, რომელიც აისახება შესაბამის წესებსა და პროცედურებში. დირექციის წარმომადგენლებმა ექსპერტებთან ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ დაწესებულება გეგმავს შეფასების შედეგების ვებგვერდზე განთავსებას და საჯაროობის უზრუნველყოფას, მით უმეტეს, რომ სკოლას უკვე აქვს მოქმედი ვებგვერდი, რომელზეც განთავსებულია სკოლის სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები. მეთოდოლოგიის მე-12 თავის მე-14

მუხლის თანახმად, დამტკიცებული ანგარიშე(ბ)ი საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით განთავსდება სკოლის ვებგვერდზე. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიით განსაზღვრულია მონიტორინგის და შეფასების შედგომ ცვლილებების განხორციელება. ინიცირება ხორციელდება დირექტორის სახელზე. ინიცირებისას ინიციატორმა უნდა განსაზღვროს ცვლილებების საფუძველი.. წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები ფორმდება ანგარიშის სახით. ანგარიშის საფუძველზე გადაიხედება სტრატეგიული გეგმა და განისაზღვრება მასში ცვლილებების შეტანის საჭიროება. მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში საფუძვლად ედება შემდგომი წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებამ ვიზიტისას წარმოადგინა სკოლის სტრუქტურა და სამუშაო აღწერილობები. წარმოდგენილი სტრუქტურა შეესაბამება საშტატო ერთეულით განსაზღვრულ თანამდებობებს და სტრუქტურულ ერთეულებს. სტრუქტურაში ჩანს დაწესებულების იერარქია. სამეურვეო საბჭო ზედამხედველობას უწევს სკოლის დირექტორის საქმიანობას, დირექტორს ექვემდებარება მოადგილე, ბიბლიოთეკარი, საინფორმაციო მენეჯერი, სკოლის ექიმი, საქმისმწარმოებელი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, ბუღალტერი. დირექტორის მოადგილეს ექვემდებარება საგნობრივი კათედრები; მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი მეთვალყურეობას უწევს დარაჯის, დამლაგებლის და ცეცხლფარეშის შესრულებულ სამუშაოს. დაწესებულების მიერ შემუშავებული სამუშაო აღწერილობა მოიცავს იმ ძირითადი საქმიანობების ჩამონათვალს, რისი შესრულებაც მოუწევს თითოეულ პოზიციაზე დასაქმებულ პირს. აღნიშნული დოკუმენტი ასევე მოიცავს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, წინასწარ არის შემუშავებული მინიმალური მოთხოვნები თითოეული თანამდებობისთვის. მოვალეობათა ჩამონათვალი არის მკაფიო და ნათელი. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
2. დაწესებულების საშტატო განრიგით გათვალისწინებული თანამშრომლის არსებობა ხელს უწყობ საგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირებას. მრჩეველთა საბჭო, მანდატურები და დისციპლინარული კომიტეტი ტექნიკურ პერსონალთან ერთად ზრუნავს სკოლაში უსაფრთხო და მოწესრიგებული გარემოს შექმნაზე. ადმინისტრაცია, პედაგოგიური საბჭო და კათედრები ზრუნავს სასწავლო პროცესის დაგეგვაზე, განხორციელებაზე, მონიტორინგსა და შეფასებაზე. დირექცია ფასილიტაციას უწევს ამ პროცესებს, ჩართულია თითეული რგოლის მუშაობაში, აფასებს განხორციელებულ პროცესებს და საჭიროებისამებრ გასცემს რეკომენდაციებს. სამეურვეო საბჭო საჭიროებისამებრ წარუდგენს სკოლის დირექტორს რეკომენდაციებს, ითანხმებს სასკოლო სასწავლო გეგმას, ამტკიცებს სკოლის შინაგანაწესსა და ბიუჯეტს, იბარებს სკოლის დირექტორისგან წლის ბოლოს ფინანსურ და სასწავლო პროცესის შესახებ ანგარიშს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

✓ ხელშეკრულებები;

✓ ფუნქცია-მოვალეობები;

✓ სტრუქტურა;

✓ სამეურვეო საბჭოს ოქმი;

✓ პედაგოგიური საბჭოს ოქმი;

✓ სამოქმედო გეგმა;

✓ მრჩეველთა საბჭოს ოქმი.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ დაბა ასპინძის საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 20 ივნისის 34/1 ბრძანების დანართი 2-ით დამტკიცებულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია პერსონალის მართვის პროცედურები. პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში ასახულია ადამიანური რესურსების მართვის ძირითადი სტრატეგია და მიზნები, პერსონალის შერჩევის წესი და პროცედურა, პერსონალის შემუშავებული სამუშაოს შეფასება, პერსონალის პროფესიული განვითარება ; პერსონალის წახალისება მათ შორის პერსონალის დაკავშირებული ინიციატივების წახალისება. დაწესებულებას ასევე შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 21 სექტემბრის #2 ოქმით. შინაგანაწესი არეგულირებს პერსონალის დისციპლინურული პასუხისმგებლობის საკითხებს; თანამშრომლებს შორის კომუნიკაციას; პერსონალის განთავისუფლება და სხვა. დაწესებულების შინაგანაწესი თანხვედრაშია საქართველოს შრომის კოდექსთან და პერსონალთან გაფორმებულ ინდივიდუალურ ხელშეკრულებასთან. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სსიპ დაბა ასპინძის საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 20 ივნისის 34/1 ბრძანების დანართი 2-ით დამტკიცებულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, აღნიშნული დოკუმენტი გამოიყენება მართვის პროცესში და მოიცავს როგორც პრევენციულ ისე ინტერვენციულ ღონისძიებებს. სკოლის დირექტორმა ინტერვიურებისას განაცხადა, რომ იგი რეგულარულად აფასებს სკოლაში არსებულ ვითარებას, აფასებს პერსონალის მუშაობის პროცესს და საჭიროების შემთხვევაში საქმიანობის უკეთ წარმართვის მიზნით ახდენს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას, ასევე სკოლას აქვს შემცვლელი მასწავლებლის ყოლის პრაქტიკა. რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სრულფასოვნად წარმართვას რომელიმე თანამშრომლის ბიულეტენის ან შვებულების პერიოდში. დაწესებულების ხელმძღვანელობა აანალიზებს არსებულ სიტუაციას და ატარებს საჭიროებისამებრ როგორც პრევენციულ ისე ინტერვენციულ ღონისძიებებს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. დაწესებულების მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი მე-10-მე-14 მუხლები არეგულირებს კადრების მოზიდვასთან დაკავშირებულ საკითხებს, მათ შორის: კონკურსის გამოცხადებას, კომისიის შექმნას, კონკურსის ეტაპებსა და სხვა. მე-13 მუხლის თანახმად, კომისიის წევრად განისაზღვრება დამოუკიდებელი მოწვეული სპეციალისტი და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დარგობრივი დეპარტამენტის წარმომადგენელი, სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენელი, სსიპ – მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი და მასწავლებელთა პროფესიული კავშირის

წარმომადგენელი. შესაბამისად თანხვედრაშია „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებასთან, ცვლილება №61/ნ 23.05.2022წ. დაწესებულებამ თვითშეფასების განაცხადდთან ერთად წარმოადგინა სსიპ -დაბა ასპინძის საჯარო სკოლაში ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი, რომლის მეხუთე მუხლის მეოთხე პუნქტშიც დაცულია შესაბამისი მოთხოვნები კომისიის შექმნასთან დაკავშირებით. დაწესებულების მარეგულირებელი წესი და პრაქტიკა უზრუნველყოფს კანონმდებლობის შესაბამისად პერსონალის ობიექტურად და გამჭირვალობის პრინციპების დაცვით შერჩევას. პირადი საქმეების შესწავლისას, აღმოჩნდა რომ 2020 წლის შემდეგ დასაქმებულებს არ ჰქონდა წარმოდგენილი ცნობები უფლების ჩამორთმევის შესახებ და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ. ნასამართლეობის შესახებ ცნობა წარმოდგენილი იყო ყველა პირის პირად საქმეში. **დასკვნის პროექტში ექსპერტთა მიერ აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“.**

დაწესებულებამ 2023 წლის 01 დეკემბრის # 1632884 კორესპოდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება No99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ მე-15 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. აღნიშნული გეგმის თანახმად, 28.11.2023-28.12.2023 პერიოდში უზრუნველყოფს აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრას. **ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15² მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.**

*ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (*28.11.2023-28.12.2023*) უზრუნველყოს 2020 წლის შემდეგ დასაქმებულებთა მხრიდან უფლების ჩამორთმევის შესახებ და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობების წარმოდგენა.*

4. ექსპერტთა მიერ ვიზიტისას გადამოწმდა პედაგოგთა და სხვა დასაქმებულ პირთა პირადი საქმეები. ასევე პირადი საქმეების გადამოწმდა და შედარებული იქნა დაწესებულების მიერ შემუშავებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს საკვალიფიკაციო მოთხოვნები სკოლაში არსებული ყველა პოზიციისთვის. სკოლის ექიმის კვალიფიკაცია თანხვედრაში არ მოდის აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივ №41/ნ/01-23/ნ ბრძანებასთან. შესაბამისად, დასკვნის პროექტში **ექსპერტთა მიერ აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“**.დაწესებულებამ 2023 წლის 01 დეკემბრის # 1632884 კორესპოდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება No99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ მე-15 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. აღნიშნული გეგმის თანახმად, 28.11.2023-28.11.2024 პერიოდში უზრუნველყოფს აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრას. **ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15[2] მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.**

*ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (*28.11.2023-28.11.2024) *უზრუნველყოს სკოლაში დასაქმებული ექიმის კვალიფიკაციის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა.*

5. სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივი კათედრები, პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო. გადაწყვეტილებების მიღება სკოლაში ხდება გუნდთან ერთად. საჭიროების შემთხვევაში იქმნება კომისია სხვადასხვა საკითხზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით. ვიზიტის დროსაც, დადასტურდა, რომ მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებით ფუნქციონირებს დაწესებულება. ასევე შექმნილია პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, დაწესებულება ახდენს მოვალეობების დელეგირებას და პასუხისმგებლობების გადანაწილებას. ინტერვიურებისას დირექტორმა აღნიშნა, რომ სკოლაში დანერგილია თანამშრომლობითი გარემო და ყველა პირი კომპეტენციის ფარგლებში ჩართულია გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებეულებების დოკუმენტითაც გაცხადებულია, რომ სკოლის ერთ-ერთი მთავარი ღირებულება თანამშრომლობაა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. სსიპ დაბა ასპინძის საჯარო სკოლის შინაგანაწესის მე-19 მუხლი ეხება დასაქმებულის წახალისების ფორმებს, სკოლა სხვადასხვა ფორმას იყენებს თანამშრომელთა წახალისების მიზნით. გარდა ამისა, სკოლა რეგულარულად აქვეყნებს ინფორმაციას სკოლის თანამშრომლეთა მიღწევების და განხორციელებული აქტივობების შესახებ. რასაც ერთგვარად წახალისების ეფექტი აქვს.

პედაგოგთა საქმიანობა ითვალისწინებს კოლეგებისთვის გამოცდილების გაზიარებას. გარდა ამისა, სკოლას ჰყავს წამყვანი პედაგოგები, რომლებმაც სტატუსი აიმაღლეს სხვდასხვა აქტივობების განხორციელების და პორტფოლიოს წარმოების გზით. სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მაქსიმალურად ცდილობენ ხელი შეუწყონ პედაგოგებს კარიერულ ზრდასა და განვითარებაში, წარმატებული პრაქტიკის გაზიარების მიზნით კი ხდება სამუშაო შეხვედრების ჩატარება, კოლეგის გაკვეთილზე დასწრება და კათედრებზე გამოცდილების გაზიარება. საუკეთესო პრაქტიკის შემთხვევები კი ვრცელდება სკოლის სოციალური ქსელის საშუალებით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ სკოლის შინაგანაწესი;
- ✓ კონკურსის ჩატარების წესი;
- ✓ საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- ✓ პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- ✓ პირადი საქმეები;
- ✓ არგუმენტირებული პოზიცია;
- ✓ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს თანამშრომელთა შეფასებას და პროფესიული ღონისძიებების დაგეგმვას პროფესიული განვითარების მხარდაჭერის მიზნით . სსიპ დაბა ასპინძის საჯარო სკოლის დირექტორის 2020 წლის 09 სექტემბრის #95/1 ბრძანებით განისაზღვრა სსიპ დაბა ასპინძის საჯარო სკოლაში ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. „პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება აწესრიგებს მასწავლებლის შეფასების მიზნით დირექტორის ბრძანებით შექმნილი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის და პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა საქმიანობას. ხარისხის ჯგუფის წევრები ახორციელებენ მასწავლებელთა შიდა შეფასებას, კერძოდ, მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციით შესაბამისობის დადგენას მის მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან, ახორციელებს მასწავლებლის საქმიანობაზე დაკვირვებას, შეფასებას და აძლევს განმავითარებელ შეფასებას ჩატარებული გაკვეთილის ირგვლივ. შესაბამისად, შეფასების საფუძველზე ხდება თანამშრომელთა პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირება. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სსიპ დაბა ასპინძის საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 20 ივნისის 34/1 ბრძანების დანართი 2-ით დამტკიცებულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის მე-19 და მე-20 მუხლი არეგულირებს პერსონალის საქმიანობის შეფასებასთან და პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებს. სკოლა ხელს უწყობს თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებას სკოლის ბაზაზე, ასევე აფინანსებს და გამოყოფს თანხას, სთავაზობს ანაზღაურებად შვებულებას პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად. იქედან გამომდინარე, რომ დადგენილი წესის შესაბამისად

ჯერ არ განხორციელებულია პერსონალის შეფასება დაწესებულებას აქვს პერსონალის შეფასების გამოცდილება და მზაობა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. მასწავლებლის საქმიანობა ითვალისწინებს პროფესიულ ზრდას. სკოლაში დასაქმებული პედაგოგები ჩართულნი არიან კარიერული დაგეგმვის და წისვლის სქემაში, პედაგოგთა პირადი საქმეებით დასტურდება, რომ მასწავლებლებმა იცვალეს სტატუსი და სკოლა ხელს უწყობდა ამ პროცესს. პედაგოგთა კარიერული განვითარება რეგულირდება „მასწავლებლის: პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის №241 დადგენილებით. ასევე ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია კარიერული ზრდა, როგორც წახალისების ფორმა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გათვალისწინებულია ახალი თანაშრომლის სოციალიზაციასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში მოქმედებდა მაძიებლის პროგრამა. მაძიებელს ხელმძღვანელობდა და კონსულტირებას უწევდა ტუტორი. შედეგად მაძიებელმა მასწავლებელმა მიიღო უფროსი მასწავლებლის სტატუსი. კათედრის წევრები მუდმივად ეხმარებიან ახალ წევრს სამუშაო პროცესში და ერთობლივად გეგმავენ სასწავლო პროცესს. ახალი თანამშრომლის სოციალიზაციისთვის სკოლა ახორციელებს შემდეგ პროცედურებს: 1.პირველი შეხვედრის ორგანიზება 2.ახლი თანამშრომლისათვის სკოლის დათვალიერება 3.სკოლის შიდა რეგულაციების გაცნობა 4.პირველ გაკვეთილზე კათედრის თავჯდომარესთან ერთად საზეიმო ვითარებაში ბავშვებისათვის წარდგენა 5.თანამშრომლების საკონტაქტო ინფორმაციის მიწოდება **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. სსიპ დაბა ასპინძის საჯარო სკოლაში მასწავლებლები წახალისებული არიან განვითარებისათვის. დირექცია ხელს უწყობს და მხარს უჭერს პედაგოგებს გაიარონ კვალიფიკაციის ასამაღლებლად ტრენინგები, დროულად აწვდის ინფორმაციას თანამშრომლებს დაგეგმილი კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგების შესახებ. დაწესებულებამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა სერთიფიკატები, რითაც დასტურდება თანაშრომელთა მიერ კვალიფიკაციის ამაღლება. სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი ხარისხის ჯგუფის დებულების მეშვიდე მუხლის თანახმად ხარისხის ჯგუფის ერთ-ერთი მოვალეობა პროფესიული განვითარების მიზნით რეკომენდაციების გაცემაა- რა ტიპის ტრენინგი და გადამზადება გაიაროს პედაგოგმა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

✓ ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;

✓ ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შესახებ ბრძანება;

✓ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ დაბა ასპინძის საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 21 სექტემბრის #82/7 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, დაწესებულება თავის საქმიანობას წარმართავს პროცესული მიდგომით.სკოლა საგანამანათლებლო საქმიანობას წარმართავს თანამშრომლობითი პრინციპების დაცვით. სკოლის თითოეული რგოლი ურთიერთდაკავშირებულად ფუნქციონირებს სკოლის საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით. სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივი კათედრები, რომელთა საქმიანობა საერთო ჯამში ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვას. სკოლა, როგორც ორგანიზაცია და ინსტიტუცია, თავის საქმიანობას წარმართავს პროცესული მიდგომით. დოკუმენტით განსაზღვრულია, რომ სწავლა-სწავლებისა და მართვის ხარისხზე დაკვირვება და პროცესების შეფასება ციკლური ხასიათისაა. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი შედგება შემდეგი ქვეპროცესებისაგან:ა) სკოლის პროცესებთან/კურიკულუმებთან დაკავშირებული რისკების შეფასება; ბ) პროცესების/კურიკულუმების შემოწმების წლიური სამოქმედო გეგმის შედგენა; გ) შემოწმების განხორციელება; დ) დასკვნის შედგენა და უკუკავშირი; ე) რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის განხორციელება. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში აღწერილია მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. სკოლის მმართველობითი პროცესებია: ა) სტრატეგიული დაგეგმვა; ბ) წლიური დაგეგმვა; გ) ხარისხის უზრუნველყოფა. სკოლის ძირითადი პროცესებია: ა) კურიკულუმის განვითარება; ბ) სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა; 4. სკოლის დამხმარე პროცესებია: ა) განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება; ბ) მოსწავლის სერვისების განხორციელება; გ) საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება; დ) ფინანსური რესურსებს მართვა; ე) ადამიანური რესურსების მართვა; ვ) მატერიალური რესურსის მართვა; ზ) უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა; თ) საზოგადოებასთან ურთიერთობა; ი) საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა); კ) კარიერული განვითარება. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. დაწესებულებამ ვიზიტისას წარმოადგინა მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები, რომელიც დამტკიცებულია სსიპ დაბა ასპინძის საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 20 ივნისის 34/1 ბრძანების დანართი 3-ით. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს გასაჩივრებასთან დაკავშირებულ საკითხებს, როგორც მოსწავლის და მისი კანონიერი წარმომადგენლის ისე პერსონალის მხრიდან. წესში აღნიშნულია, რომ თუ სკოლის დირექტორის, ან სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ მოსწავლის ან მოსწავლისმშობლის/ მეურვის მიერ წარდგენილი საჩივრის განხილვის შედეგი არ

არის დამაკმაყოფილებელი, თითოეულ მოსწავლეს ან მის მშობელს/ მეურვეს უფლება აქვს მიაწოდოს ინფორმაცია რესურსცენტრს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და სსიპ განათლებს ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს. მსგავსი ჩანაწერი გვხვდება მეორე თავის მეოთხე მუხლში პერსონალის მხრიდან გასაჩივრებასთან დაკავშირებით. დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული შიდა პროცედურები და მექანიზმი თუ როგორ ხდება ადმინისტრაციული წარმოება საჩივრის წარმოდგენის შემთხვევაში. დასკვნის პროექტში **ექსპერტთა მიერ აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“.**

დაწესებულებამ 2023 წლის 01 დეკემბრის # 1632884 კორესპოდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ მე-15 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და მტკიცებულებები ხარვეზის აღმოფხვრის შესახებ. ექსპერტთა მიერ შესწავლილ იქნა წამოდგენილი მტკიცებულება-სსიპ დაბა ასპინძის საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 26 ოქტომბრის #113/1 ბრძანება „სსიპ დაბა ასპინძის საჯარო სკოლაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიმართ წარდგენილი განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურების მექანიზმის დამტკიცების შესახებ“. წარმოდგენილი ბრძანების დანართში მოცემულია საჩივრის/განცხადების განხილვის კანონმდებლობის შესაბამისი პროცედურები და წესები, გადაწყვეტილების მიღების ფორმები და ა.შ. **ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15² მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც „შესაბამისი“.**

4. სსიპ დაბა ასპინძის საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 20 ივნისის 34/1 ბრძანების დანართი 3-ით დამტკიცებულია მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. ასევე დაწესებულებას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი, აღნიშნული წესი თანხვედრაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. ასევე სკოლას აქვს შემუშავებული შინაგანაწესი, არსებობს შრომითი ხელშეკრულება, რომლის დარღვევის შემთხვევაში დაწესებულების მხრიდან, შესაძლებელია სასამართლოში გასაჩივრება. ექსპერტთა მიერ ვიზიტისას გადამოწმდა მოსწავლის ჩარიცხვის, მობილობის სტატუსის ცვლილებების ამასახველი მასალები. დაწესებულება ხელმძღვანელობს და მოქმედებს თავის მიერ შემუშავებული კანონმდებლობის შესაბამისი წესით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

✓ შინაგანაწესი;

✓ ხელშეკრულებები;

✓ სკოლის ბაზაზე საჩივრის განხილვის მექანიზმი;

✓ მოსწავლის, მათი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვის წესი;

✓ მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი და პროცესის ამსახველი მტკიცებულებები;

- ✓ არგუმენტირებული პოზიცია;
- ✓ ხარვეზის აღმოფხვრის მტკიცებულებები.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას შემუშავებული აქვს მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგია. აღნიშნული დოკუმენტი ითვალისწინებს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების და მათგან უკუკავშირის მიღების წესს. დაწესებულება იყენებს შემდეგ საკომუნიკაციო არხებს: ა) სკოლის ვებგვერდი; ბ) ელექტრონული ფოსტა; გ) დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა; ე) სოციალური მედია; ვ)საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. პასუხიმგებელი პირი და საინიციატივო ჯგუფი პერმანენტულად

მართავს შეხვედრებს, აწვდის ინფორმაციას სასკოლო საზოგადოებას შმედგომში უკუკავშირის მიღების მიზნით. „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესის მე-11 მუხლი ეხება უკუკავშირის ანალიზსა და მის შედგომში გამოყენებას. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებული უკუკავშირის შედეგები გამოიყენება სკოლის საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლაში ფუქციონირებს მრჩეველთა საბჭო, სამეურვეო საბჭო, დისციპლინარული კომიტეტი, ხარისხის მართვის ჯგუფი, პედაგოგიური საბჭო. სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულებად ოქმები, რომლითაც დასტურდება, რომ სასკოლო ცხოვრებაში და კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულები არიან მშობლები. სამეურვეო საბჭოს რამდენიმე ოქმი მაგალითად ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ, ასევე სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული შინაგანაწესი. წარმოდგენილი ოქმებით დასტურდება მშობელთა აქტიური ჩართულობა სხვადასხვა პროცესში. სკოლაში ასევე ფუნქციონირებს დისციპლინარული კომიტეტი, რომლის წევრები არიან როგორც პედაგოგები და მოსწავლეები, ასევე მშობლები. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

✓ მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგია;
✓ „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი;
✓ სამეურვეო საბჭოს ოქმები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას მართლზომიერ მფლობელობაში აქვს სამი სასწავლო ფართი. დაბა ასპინძაში განთავსებულია 2 სასწავლო კორპუსი ერთ ფართზე, ასევე, ასპინძის მუნიციპალიტეტ სოფელ თოკში. დაწესებულებას არაერთგვაროვანი მდგომარეობა აქვს ორივე ფართზე. თოკში მდებარე სასწავო ფართი ვერ აკმაყოფილებს უსაფღხოებასთან დაკავშირებულ ნორმებს, სკოლას არ ჰყავს ექთანი, საჭიროების შემთხვევაში ვერ იქნება უზრუნველყოფილი პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა. ასევე თოკის სასწავლო ფართზე არ არის უზრუნველყოფილი სამედიცინო ოთახი. ამ ეტაპზე სკოლაში სწავლობს 2 მოსწავლე: ერთი დაწყებით და ერთი საბაზო საფეხურზე. რაც შეეხება, დაბა ასპინძაში მდებარე ორივე სასწავლო კორპუსში სკოლა მოსწავლეებისათვის, მასწავლებლებისთვის და თანამშრომლებისთვის ქმნის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს. სკოლას ჰყავს მანდატურები, დარაჯი, მოქმედებს რეფერირება. დაწესებულებამ ვიზიტისას წარმოადგინა მდგრადობის შესახებ დასკვნა. 2019 წელს ასპინძის მუნიციპალიტეტი, დაბა ასპინძის №1 საჯარო სკოლის ორივე სასწავლო კორპუსს მუნიციპალური განვითარების ფონდის დაკვეთით, ჩაუტარდა საინჟინრო გეოლოგიური კვლევა შ.პ.ს „სამეცნიერო საპროექტო ტექნოლოგიური საწარმო ინდუსტრიის“ მიერ. საველე სამუშაოების დროს მოხდა არსებული საჯარო სკოლის საძირკვლების მდგომარეობის შესწავლა და ფუძე-გრუნტების ლაბორატორიული კვლევა გეოტექნიკური პარამეტრების დასადგენად. საკვლევ უბანზე სამთო გამონამუშევრებში გრუნტის წყლები არ გამოვლინდა. საკვლევი უბნის და მის მიმდებარე ტერიტორიის დათვალიერების შედეგად

დადგინდა, რომ საშიში თანამედროვე საინჟინრო-გეოლოგიური პროცესების კვალი არ აღინიშნება. საინჟინრო-გეოლოგიური თვალსაზრისით უბანი მდგრადია და არსებული პირობები მშენებლობისათვის სრულიად მისაღები. „ზედაპირის გეოლოგიური აგებულების, გეომორფოლოგიური და ფიზიკო-გეოგრაფიული პირობების გათვალისწინებით აქ მიწისქვეშა წყლები 14-15 მ სიღრმემდე მოსალოდნელი არ არის. შესაბამისად მიწისქვეშა წყლები ნაგებობებისათვის რაიმე სახის ხელისშემშლელ ფაქტორს არ წარმოადგენენ. კვლევებით დადგინდა, რომ საძირკველი ლენტური ტიპისაა, სიგანე 0.6 მ, სიმაღლე საძირკვლის ფუძიდან 1-ლი სართულის იატაკამდე 1.60 მ-ია, ხოლო საძირკვლის მიწისქვეშა ნაწილი კი 1.2 მ მონოლითური ბეტონისაა. ვიზუალურად დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია.“-აღნიშნულია მდგრადობის შესახებ დასკვნაში. დაწესებულებას ასევე შეთანხმებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა ასპინის სასწავლო ფართზე. თუმცა თოკის სასწავლო ფართზე არ არის შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. დაწესებულებამ ვიზიტისას წარმოადგინა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2023 წლის 21 ივლისის #02107991 წერილი, რომლის თანახმადაც მიმდინარე წლის 14 ივლისს ჩატარდა შემოწმება და დაწესებულების შენობა არ შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების ნორმებს. როგორც სკოლის დირექტორმა აღნიშნა ვიზიტისას, რიგი ხარვეზები უკვე გამოსწორებულია და დაწესებულება უახლოეს პერიოდში სრულად უზრუნველყოფს სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან სრულ შესაბამისობას. თოკის სასწავლო ფართზე დაწესებულებას არ აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ გაცემული დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის შესახებ. ვიზიტისას ექსპერტთა მიერ გამოთხოვილ იქნა პირველადი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები და ექიმის პირადი საქმე. დაწესებულებას ვიზიტისას არ ჰქონდა შემუშავებული პირველადი დახმარებს აღმოჩენის მექანიზმები. სამედიცინო ოთახი ფუნქციონირებს მხოლოდ დაბა ასპინძაში მდებარე სასწავლო ფართზე. დაწესებულებას არ ჰყავდა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც ექნება აკრედიტირებული ორგანოს მიერ გაცემული სერტიფიკატი. დასკკვნის პროექტში **ექსპერტთა მიერ აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“ და დაფიქსირდა შემდეგი ხარვეზები-სკოლას არ ჰქონდა:**

- დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის შესახებ თოკის სასწავლო კორპუსში.

- შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა (შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ)თოკში მდებარე სასწავლო ფართზე;

- თოკის სასწავლო ფართზე არ არის უზრუნველყოფილი სამედიცინო ოთახის არსებობა და შესაბამისი სამედიცინო პერსონალი.
- არ არის შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა თოკის სასწავლო ფართზე.

დაწესებულებამ 2023 წლის 01 დეკემბრის # 1632884 კორესპოდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება No99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ მე-15 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. აღნიშნული გეგმის თანახმად, 28.11.2023-28.11.2024 პერიოდში უზრუნველყოფს აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრას. **ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15[2] მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.**

*ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (*28.11.2023-28.12.2024) *უზრუნველყოს:*

- *სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვება თოკის სასწავლო კორპუსში.*

- *შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება (შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ)თოკში მდებარე სასწავლო ფართზე;*

- *თოკის სასწავლო ფართის სამედიცინო ოთახით და შესაბამისი სამედიცინო პერსონალით უზრუნველყოფა.*
- *საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება უფლებამოსილ ორგანოსთან თოკის სასწავლო ფართზე.*

ექსპერტთა რჩევაა,

- *დაწესებულებამ აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც ექნება აკრედიტირებული ორგანოს მიერ გაცემული სერტიფიკატი და შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევის პრევენციის მიზნით უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების ღონისძიებების დანერგვასა და მართვას.*
- *დაწესებულებამ შეიმუშაოს პირველადი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.*
- *დაწესებულებამ უზრუნველყოს სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან სრულად შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვება.*

2. სკოლაში მომუშავე მანდატურები უზრუნველყოფენ სკოლის ტერიტორიაზე და მის მიმდებარე სივრცეზე უსაფრთხოების დაცვას. სკოლის ყველა მასწავლებელი ასრულებს მასზე დაკისრებულ მორიგეობის ფუნქციას. სკოლაში სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას კონტროლდება სკოლაში შემოსული ყველა სუბიექტის მოსვლის მიზეზი. კლასის ხელმძღვანელები ვალდებულნი არიან წესრიგის დარღვევის შემთხვევაში გამოიძახონ მოსწავლის მშობელი. სკოლაში დამონტაჟებული უსაფრთხოების კამერები შიდა და გარე პერიმეტრზე და ხდება სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლი. სკოლას ჰყავს მანდატურები, რომელიც ახორციელებენ უსაფრთხოების კონტროლს და ხელს უწყობენ სასკოლო საზოგადოებაში წესრიგის შენარჩუნებას. სკოლას აქვს შინაგანაწესი, რომელიც გამოკრულია თავალსაჩინო ადგილას, იცნობს სკოლაში დასაქმებული პერსონალი და მოსწავლეები. თოკში მდებარე სასწავლო ფართზე უსაფრთხოებას უზრუნველყოფს პედაგოგები, მოსწავლეთა მცირე რაოდენობიდან(სულ 2 მოსწავლე) გამომდინარე სკოლას არ აქვს მანდატურის საჭიროება აღნიშნულ სასწავლო ფართზე. თუმცა დაწესებულებას არ ჰყავს განსაზღვრული *უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი თოკის სასწავლო ფართზე.* ასევე თოკის შენობა არ არის აღჭურვილი კამერებით. დასკვნის პროექტში **ექსპერტთა მიერ აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“.**

დაწესებულებამ 2023 წლის 01 დეკემბრის # 1632884 კორესპოდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება No99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ მე-15 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. აღნიშნული გეგმის თანახმად, 28.11.2023-28.11.2024 პერიოდში უზრუნველყოფს აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრას. ასევე წრმოდგენილი იქნა სსიპ დაბა ასპინძის საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 10 ოქტომბრის #106/1 ბრძანება „სოფელ თოკში საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვას მიზნით პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის

შესახებ“. **ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15[2] მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.**

*ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (*28.11.2023-28.11.2024*) უზრუნველყოს თოკის სასწავლო ფართის კამერებით აღჭურვა.*

3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს; სკოლის ადმინისტრაცია და საგნის მასწავლებლები ცდილობენ თანამშრომლობასა და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული გარემოს შექმნას, სადაც თითოეული მოსწავლე დაცულად იგრძობს თავს და ფსიქო-ემოციური განვითარების საშუალება მიეცემა. ასევე პოზიტიურია მასწავლებელთა და ადმინისტრაციის თანამშრომელთა ურთიერთობები. სკოლას არ ჰყავს ფსიქოლოგი, თუმცა არიან სპეცმასწავლებლები. ზოგადად სკოლის პოზიტიური ემოციურად უსაფრთხო გარემო სასკოლო საზოგადოებას ჰარმონიული განვითარების საშუალებას აძლევს და უზრუნველყოფს მშვიდობიან თანამშრომლობას ყველა რგოლს შორის. ამასთანავე, სკოლა მუდმივად ცდილობს შემუშავებული ჰქონდეს პრევენციული ღონისძიებები დარღვევების თავიდან ასაცილებლად. უპირველეს ყოვლისა, დამრიგებლები აცნობენ მოსწავლეებს თავიანთ უფლებებსა და მოვალეობებს, მოსწავლეები თავად ქმნიან ქცევის წესებს, რომლებიც შეესაბამება საყოველთაოდ დადგენილ ნორმებსა და სკოლის შინაგანაწესს. სკოლის დირექციის მიერ კონტროლდება რამდენადაა დაცული მასწავლებლებსა და მოსწავლეებს, მშობლებს, სკოლის სხვადასხვა სტრუქტურულ რგოლს შორის თანასწორობასა და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული კომუნიკაცია. დარღვევების აღმოჩენისას, სკოლა სათანადოდ რეაგირებს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, ეს იქნება მანდატურის სამსახურისა თუ სამართალდამცველი რგოლების ინფორმირებულობა. ასევე, უპირველეს ყოვლისა, ცდილობს პრობლემის გამომწვევი მიზეზების დადგენას და ისეთი ინტერვენციების განხორციელებას, რომლებიც დაეხმარება დაზარალებულ მხარეს ფსიქო-ემოციური ბალანსის აღდგენაში და დაპირისპირებულ მხარეებს კონსესუსის მიღწევაში. საფეხურების მიხედვით აღნიშნულ თემებზე კლასის ხელმძღვანელების მიერ ტარდება „კლასის საათები“, რომლებზეც უსაფრთხო გარემოს, ყოველდღიური ქცევის წესების, თანატოლებთან ურთიერთობის თემებზე მსჯელობენ. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში არის დაცული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, მოწესრიგებული და გამართულია სველი წერტილები, ტარდება სადეზინფექციო სამუშაოები, ყოველდღიურად სველი წესით ლაგდება საკლასო ოთახები, დერეფნები, გამოიყენება სადეზინფექციო საშუალებები სველი წერტილების დასამუშავებლად, თხევად საპონსა და თანამედროვე ხელსაშრობს

მოსწავლეებისა და პერსონალისათვის, სკოლას ემსახურება დამლაგებლები, სკოლაში არის სუფთა და უსაფრთხო გარემო. მოწესრიგებული და დასუფთავებულია სკოლის ეზო და მიდამო. სველი წერტილები უზრუნველყოფილია წყლით, საპონით და ქაღალდით. სკოლის ბიუჯეტით და წლიური შესრულებებიდან ჩანს, რომ ამ მიმართულებით სკოლა ხარჯავს ფინანსებს და აქვთ ჰიგიენური საშუალებების მარაგები. ვიზიტის დროს ვიზუალური დათვალიერებისას შენობა იყო მოწესრიგებული და დაცული იყო ჰიგიენის ნორმები. თოკის სასწავლო ფართზე დაწესებულებას არ აქვს კეთილმოწყობილი სველი წერტილები, არ არის უზრუნველყოფილი წყლით. ეზოში არის ძველი საპირფარეშო. შესაბამისად სათანდადოდ ვერ ხერხდება ჰიგიენური ნორმების დაცვა. დასკვნის პროექტში **ექსპერტთა მიერ აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“.**

დაწესებულებამ 2023 წლის 01 დეკემბრის # 1632884 კორესპოდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება No99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ მე-15 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. აღნიშნული გეგმის თანახმად, 28.11.2023-28.11.2024 პერიოდში უზრუნველყოფს აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრას. **ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15[2] მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.**

*ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (*28.11.2023-28.11.2024*) უზრუნველყოს თოკის სასწავლო ფართზე საპირფარეშოს კეთილმოწყობა.*

5. დაწესებულების წარმომადგენლები აცნობიერებენ პეროსონალური მონაცემების დაცვის აუცილებლობას. სკოლის სოციალურ ქსელში ფოტომასალა ქვეყნდება მშობელთა ნებართვების საფუძველზე. მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაცია მოსწავლეს და მშობელს მიეწოდება პირადად, კონფედენციალობის დაცვით. სკოლა ინფორმაციას გაცემს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, პერსონალური მონაცემების დაფარვის შემდეგ. დაწესებულებაში ასევე მოქმედებს პერსონალური მონაცემების დაცვის წესი, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2022 წლის 12 ოქტომბრის #127/1 ბრძანებით.სკოლას განსაზღვრული ჰყავს პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი სკოლის დირექტორის 2022 წლის 12 ოქტომბრის #127/2 ბრძანებით. შესაბამისად, **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. სსიპ დაბა ასპინძის საჯარო სკოლაში დაცულია პერსონალის და მოსწავლეთა პირადი ინფორმაცია. ასევე სკოლაში არსებული სხვა ტიპის ინფორმაცია, რომელიც შეიძლება იყოს კონფედენციალური ან შეიცავდეს პერსონალურ მონაცემებს. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები, რის მიხედვითაც რეგულირდება აღნიშნული საკითხის მართვა დაწესებულებაში. მექანიზმი მოიცავს ინფორმაციის დამუშავების ფორმებს, მასზე ხელმისაწვდომობას კონკრეტული პირებისთვის უფლებამოსილების ფარგლებში, დამუშავებული ინფორმაციის შენახვასთან დაკავშირებულ საკითხებს. პერსონალურ მონაცემებზე პასუხისმგებლობა სკოლამ ბრძანებით დააკისრა სკოლის საქმისმწარმოებელს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

7. დაწესებულება ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების შეფასებას, პერიოდულად შეისწავლის და აფასებს აღნიშნული მექანიზმების მუშაობის გამართულობას. ამ მიზნით სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედის : დირექტორი ან დირექტორის მოადგილე, მანდატურის სამსახურის წარმომადგენელი, დისციპლინარული საბჭოს თავმჯდომარე, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე, რესურსცენტრის წარმომადგენელი. წელიწადში ოთხჯერ ტარდება მრჩეველთა საბჭოს სხდომა, ამ სხდომაზე განიხილება სკოლის ტერიტორიაზე, სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით არსებულ სიტუაციას და შეიმუშავებენ რეკომენდაციებს. ხოლო სასწავლო წლის ბოლოს დირექტორი წარადგენს ანგარიშს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით მიღებული რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით. დაწესებულებამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა მრჩეველთა საბჭოს ოქმი, რომლითაც დასტურდება რომ სკოლა ამ მიმართულებით აწარმოებს შეფასებას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ სკოლის შინაგანაწესი;
- ✓ შრომითი ხელშეკრულებები;
- ✓ პერსონალური მონაცემების დაცვის წესი;

- ✓ მრჩეველთა საბჭოს ოქმები;
- ✓ საგანგებო მართვის სიტუაციების მართვის სამსახურის კორესპოდენცია;
- ✓ შენობის გეოლოგიური დასკვნა;
- ✓ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- ✓ არგუმენტირებული პოზიცია;
- ✓ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;
- ✓ ხარვეზის აღმოფხვრის მტკიცებულები.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;

5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სსიპ დაბა ასპინძის საჯარო სკოლას მართლზომიერ მფლობელობაში აქვს პირველადი სარგებლობის უფლებით სახელმწიფოსგან გადაცემული სასწავლო ფართი ორ მისამართზე: დაბა ასპინძა, რუსთაველის ქ. #7; საკადასტრო კოდით: 60.01.31.071, რომელზეც მდებარეობს ორივე სასწავლო ფართი, განაშენიანების ფართი 1483 კვ.მ და მეორე შენობის განაშენიანების ფართი 311 კვ.მ. შენობა. დაწესებულების იურიდიული მისამართია დაბა ასპინძა, რუსთაველის ქ. 3, რაც არ მოდის თანხვედრაში დაწესებულების ფაქტობრივ მდებარეობასთან. სკოლის მფლობელობაში არსებულ ფართზე მდებარეობს ასევე ეკლესია. თუმცა ეკლესიას აქვს ცალკე შესასვლელი და გამიჯნულია სკოლისგან. სოფელ თოკში სკოლას აქვს 3379 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთი საკადასტრო კოდით: 60.12.32.115, რომელზეც განთავსებულია დანგრეული სკოლის შენობა და პატარა არასტანდარტული შენობა, რომლის დაზუსტებული ფართი არ არის ცნობილი და რომელშიც ამ ეტაპზე ხორციელდება სწავლება დაწყებით და საბაზო საფეხურზე. ასპინძაში მდებარე სასწავლო კორპუსები აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. აღნიშნული სკოლები ოპტიმიზაცია მოხდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ სსიპ დაბა ასპინძის საჯარო სკოლასთან. თოკი მაღალმთიანში მდებარეობს, უახლოეს ტერიტორიაზე არ არის ხელმისაწვდომი სასწავლო დაწესებულება. შესაბამისად, დაწესებულების წარმომადგენლები მნიშვნელოვნად მიიჩნევენ აღნიშნულ ტერიტორიაზე სკოლის არსებობას და იქ მცხოვრები ბავშვებისთვის განათლების ხელმისაწვდომობას. ძირითად კორპუსში არის განთავსებული ადმინისტრაციის სამუშაო ოთახები, ბიბლიოთეკა და კომპიუტერული ლაბორატორია. ძირითადი შენობა არის 3 სართულიანი, ყველა სართულზეა სველი წერტილები. შენობა არის გარემონტებული, ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია. ძირითად კორპუსში განთავსებულია 20 საკლასო ოთახი, ხოლო მეორე შენობაში 9 საკლასო ოთახი. ძირითად კორპუსში არის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლაბორატორია. სასკოლო ბუფეტი, სპორტდარბაზი და სააქტო დარბაზი. სკოლის სპორტდარბაზი აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. მეორე შენობა არის

ორსართულიანი, განთავსებულია დაწყებითი კლასები, შენობის ნაწილი ეკუთვნის ასპინძის საგანმანათლებლო რესურსცენტრს, რომლისთვისაც არის ალტერნატიული შესასვლელი და გამიჯნულია სკოლისგან. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, რომელიც შედგება წიგნადი ფონდისაგან. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ყველა საგნის სასწავლო წიგნის თითო ეგზემპლარი, დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, ილუსტრირებული მასალები, დამხმარე სახელმძღვანელოები, და ა.შ. სკოლაში ფუნქციონირებს ექიმის ოთახი, არის საჭირო ინვენტარით აღჭურვილი. სკოლას აქვს 70 კომპიუტერი, 26 ლეპტოპი, 16 პრინტერი. სკოლას ეზოში აქვს გარე სპორტული მოედანი, რომელიც მოწესრიგებულია, არის შემოღობილი და დაფარულია ხელოვნური საფარით. სოფელ თოკში მდებარე სასწავლო ფართს არ აქვს, საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, სამედიცინო კაბინეტი. დაწესებულებას აქვს მხოლოდ ორი პატარა ოთახი, არსებული რესურსით არ არის შესაძლებელი სწავლება განხორციელდეს დაწყებით და საბაზო საფეხურზე სრულად, იმის გათვალისწინებით რომ სკოლას ჰყავს პოტენციური მოსწავლეები, რომლებიც მომდევნო წლებში შემოვლენ სკოლაში. დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობაა 600 მოსწავლე. ექსპერტთა მიერ გამოთხოვილი იქნა მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. სკოლას უდასტურდება 525 მერხის ფლობა როგორც დოკუმენტაციით, ისე ვიზუალური დათვალიერებითაც. ამ ეტაპზე სკოლაში სწავლობს 512 მოსწავლე. როგორც სკოლის დირექტორმა განაცხადა ინტერვიურებისას, სკოლა მზარდია შესაბამისად მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულებას საშუალება ჰქონდეს მიიღოს დამატებით მოსწავლეები საჭიროების შემთხვევაში. როგორც დირექტორმა აღნიშნა, სკოლას აქვს საკმარისი ფართი დაწესებულება უზრუნველყოფს შესაბამისი მატერიალური რესურსის დამატებით შესყიდვას ან სხვა შემთხვევაში სწავლების განხორციელებას შეჭრილ ცვლაში, საჭიროების შემთხვევაში დაწესებულება გეგმავს რამდენიმე კლასის მეორე ცვლაში სწავლებას. ექსპერტთა მოსაზრებით სავსებით შესაძლებელია არსებული მატერიალური რესურსით სწავლება განახორციელოს 600 მოსწავლისთვის.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ექსპერტთა რჩევაა, დაწესებულებამ უზრუნველყოს იურიდიული მისამართის ფაქტობრივ მისამართთან შესაბამისობაში მოყვანა.

*2.*საჯარო სკოლა უზრუნველყოფს მატერიალური რესურსის ხელმისაწვდომობას როგორც პერსონალისთვის, ისე მოსწავლეებისთვის. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, რომლითაც სარგებლობენ მოსწავლეები და პედაგოგები, რაც დასტურდება მკითხველის ბარათებითაც, რომელიც მოიცავს ინფორმაციას გაცემული წიგნების შესახებ. სსიპ დაბა ასპინძის საჯარო სკოლის

დირექტორის 2021 წლის 6 სექტემბრის #77/1 ბრძანებით დამტკიცებულია მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომლითაც რეგულირდება აღნიშნული საკითხი. დაწესებულება უზრუნველყოფს მასწავლებლების საშუალებით თოკის სასწავლო ფართზე მყოფი მოსწავლეებისთვის საჭირო სახელმძღვანელოების და მხატვრული თუ სხვა ტიპის ლიტერატურის ხელმისაწვდომობას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკამყოფილებულია.**

3. სასკოლო საზოგადოება ხელს უწყობს ინკლუზიური გარემოს შექმნას. ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს ეტლით მოსარგებლე მოსწავლეები. სკოლის შემოსასვლელში არის პანდუსი, რომლითაც საშუალება აქვს ეტლით მოსარგებლეს შევიდეს შენობაში. ამავდროულად სკოლაში არის ადაპტირებული საპირფარეშო და სველი წერტილი. დაწესებულების ძირითადი კორპუსი აღჭურვილია ლიფტით და ეტლით მოსარგებლეს შეუძლია მისით სარგებლობა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის უზრუნველყოფილია შენობის სივრცეში თავისუფალი გადაადგილება. მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ ბიბლიოთეკით, ლაბორატორიებით და სპორტდარბაზით. ექსპერტებმა ვიზიტისას დაათვალიერეს ლიფტის მდგომარეობა. ლიფტი მუშაობს, თუმცა ტექნიკური გამართულობის შესახებ არ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ლიფტის უსაფრთხოების კომპონენტის შესაბამისობის დეკლარაცია „ლიფტის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 20 ივლისის №289 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 8 ივნისის #302 დადგენილების შესაბამისად. ასპინძაში მდებარე მეორე სასწავლო კორპუსს აქვს პანდუსი, არ აქვს ადაპტირებული საპირფარეშო. როგორც სკოლის დირექტორმა აღნიშნა, საჭიროების შემთხვევაში თუ კლასში იქნება შშმ მოსწავლე, კლასის გადაყვანა მოხდება ძირითად სასწავლო კორპუსში. დაწესებულებაში ფუნქციონირებს რესურს ოთახი. რაც შეეხება თოკში მდებარე შენობას, ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება, რომ თოკში არის პანდუსი მოწყობილი, თუმცა არ არსებობს ადაპტირებული საპირფარეშო. დასკვნის პროექტში **ექსპერტთა მიერ აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“, რადგან:**

- **არ არსებობდა დაბა ასპინძაში მდებარე სასწავლო ფართზე არსებული კორპუსებისთვის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ლიფტის უსაფრთხოების კომპონენტის შესაბამისობის დეკლარაცია;**
- **სოფელ თოკში მდებარე სასწავლო კორპუსს არ ჰქონდა ადაპტირებული საპირფარეშო.**

დაწესებულებამ 2023 წლის 01 დეკემბრის # 1632884 კორესპოდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება No99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის

დამტკიცების შესახებ“ მე-15 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. აღნიშნული გეგმის თანახმად, 28.11.2023-28.11.2024 პერიოდში უზრუნველყოფს აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრას. **ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15[2] მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.**

ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (28.11.2023-28.11.2024) უზრუნველყოს:

- *დაბა ასპინძაში მდებარე სასწავლო ფართზე არსებული კორპუსებისთვის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ლიფტის უსაფრთხოების კომპონენტის შესაბამისობის დეკლარაციის მოპოვება;*
- *სოფელ თოკში მდებარე სასწავლო კორპუსში ადაპტირებული საპირფარეშოს მოწყობა.*

4. სკოლაში შექმნილია სასწავლო გარემო. არის ბიბლიოთეკა, ღია და დახურული სპორტული მოედანი, მოწესრიგებული ეზო. სკოლა გეგმავს და ახორციელებს სასწავლო პროექტებს. მოსწავლეებისთვის შექმნილია ყველა პირობა, რომ ჰქონდეთ სკოლაში ყოფნის სურვილი. ფუნქციონირებს ბუფეტი, არის კომპიუტერული ლაბორატორია, რომლითაც შეუძლიათ ისარგებლონ დადგენილი გრაფიკით. მოსწავლეებს გამოყოფილი აქვთ სივრცე კლუბებისა და პროექტებზე მუშაობისთვის, ფუნქციონირებს თვითმმართველობის ოთახი. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. დაწესებულება უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით, ასევე დამატებითი მასალებით: რუკებით, თვალსაჩინოებებით. სკოლას აქვს ქიმიის, ბიოლოგიის და ფიზიკის ლაბორატორიები, შიდა სპორტული დარბაზი, გარე სპორტული მოედანი. სკოლის სპორტდარბაზი აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, კერძოდ, ფრენბურთის ბადე და კალათბურთის ფარები. სკოლა გეგმავს ყველა სასკოლო ოთახის ეტაპობრივად აღჭურვას პროექტორით. საბუნებისმეტყველო საგნებისთვის საჭირო თვალსაჩინოებები განლაგებულია ლაბორატორიაში. მოსწავლეებს ქიმიის ბიოლოგიის, ფიზიკის გაკვეთილები უტარდებათ ლაბორატორიაში; სადაც განთავსებულია სხვადასხვა რესურსი, რომლის დახმარებითაც მოსწავლეებს შეუძლიათ პრაქტიკული მუშაობა, კვლევის ჩატარება, მისი შედეგის აღრიცხვა, გაანალიზება და სათანადო დასკვნის გამოტანა. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა,

რომელიც შედგება წიგნადი ფონდისაგან. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ყველა საგნის სასწავლო წიგნის თითო ეგზემპლარი, დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, ილუსტრირებული მასალები, დამხმარე სახელმძღვანელოები, და ა.შ. სკოლას ეზოში აქვს გარე სპორტული მოედანი, რომელიც მოწესრიგებულია, არის შემოღობილი და დაფარულია ხელოვნური საფარით. სკოლაში ფუნქციონირებს 2 ტექნოლოგიების ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია კომპიუტერებით. სკოლას აქვს 70 კომპიუტერი, 26 ლეპტოპი, 16 პრინტერი. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- ✓ ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ✓ მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი
- ✓ არგუმეტირებული პოზიცია;
- ✓ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს ინტერნეტში ჩართული - 70 კომპიუტერი, 26 ლეპტოპი, პროექტორები სკოლაში არსებული ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის გამოყენებით წარმატებით ხორციელდება სწავლა/სწავლების პროცესი, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერების გამოყენებით წარიმართება სასწავლო პროცესი და კოლეგების სამუშაო შეხვედრები ლაბორატორიებსა და ბიბლიოთეკაში. კომპიუტერთან მუშაობა შეუძლია ნებისმიერ პირს, ვისაც აქვს შესაბამისი უნარ-ჩვევები. დაშვებულია: ტექსტების შეყვანა და რედაქტირება; ინტერნეტით მასალების მოძიება და გადმოწერა; დისკების გამოყენება დასაშვებია უფლებამოსილ პირთან შეთანხმებით; ელექტრონული ფოსტით სარგებლობა. თოკის სასწავლო ფართზე იყენებენ ლეპტოპს. სულ ფუნქციონირებს ორი კლასი, რომელშიც სწავლობს ორი მოსწავლე. დაწყებით საფეხურზე მყოფ მოსწავლეს აქვს ბუკი, ხოლო საბაზო საფეხურის მოსწავლე საჭიროების შემთხვევაში იყენებს არსებულ ლეფთოფს . თუმცა შენობაში უზრუნველყოფილი არ არის ინტერნეტი. პედაგოგები საჭიროების შემთხვევაში იყენებენ მობილურ ინტერნეტს. როგორც თოკის სასწავლო კორპუსის თანამშრომელმა აღნიშნა, დისტანციური გაკვეთილების დროს იგი თავად უზრუნველყოფს მოსწავლეების ინტერნეტში ჩართვას მობილური ინტერნეტის საშუალებით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ექსპერტთა რჩევაა, დაწესებულებამ უზრუნველყოს ინტერნეტის ხელმისაწვდომობა თოკის სასწავლო ფართზე.

2. დაწესებულებას შექმნილი აქვს დოკუმენტი, რომლითაც განკარგავენ არსებულ ტექნიკას. შექმნილია სამუშაო სივრცეები პედაგოგებისა და მოსწავლეებისთვის. მატერიალური რესურსის განკარგვის წესით რეგულირდება ტექნიკის გამოყენება. სკოლაში გამოყოფილია პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს გრაფიკის შესაბამისად ინფრასტრუქტურით სარგებლობას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;

- ✓ ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმის წარმოების წესი. სკოლაში შიდა დოკუმენტაციის აღრიცხვის მიზნით იწარმოება საკადრო და საერთო სარეგისტრაციო ჟურნალები. საკადრო ჟურნალში ტარდება დასაქმებულთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები, რომლებიც ფორმდება დირექტორის ბრძანებით, ხოლო საერთო ბრძანებებში აღირიცხება მოსწავლეთა მოძრაობა (ჩარიცხვა-ამორიცხვა, მობილობა და სხვა სახის გადაწყვეტილებები). სკოლაში ასევე წარმოებს შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი. სკოლაში ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები კანონმდებლობით დადგენილი ვადით. მასწავლებელთა სტატუსის ცვლილებისას ან ხელშეკრულების ვადის გასვლის შემთხვევაში იდება ახალი ხელშეკრულება, ხოლო სხვა სახის ცვლილებისას კეთდება შეთანხმება, რომელიც ეხება ხელშეკრულებას. მოსწავლეთა პირადი საქმეები მატერიალურად ივსება პირველ კლასში. მასში განთავსებულია მოსწავლეთა პირადი ინფორმაცია და აკადემიური მოსწრება. მობილობის შემთხვევაში პირადი საქმე ფოსტით ეგზავნება შესაბამის სკოლას. დაწესებულებას სკოლის დირექტორის 2023 წლის 20 ივნისის 34/1 ბრძანების დანართი 4-ით დამტკიცებულია აქვს საქმიწარმოების წესი, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან, კერძოდ . ,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში და მის სისტემაში შემავალ ორგანოებში ელექტრონული დოკუმენტბრუნვის და ელექტრონული ხელმოწერის სისტემის გამოყენების წესის დამტკიცების

შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 17 აგვისტოს N951 ბრძანებასთან. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, დოკუმენტაციის წარმოებისთვის აქვს E-flow და E-school ის ბაზა რომელთა მოხმარებაც შეუძლია სკოლის ყველა თანამშრომელს პირადი მომხმარებლის და პაროლის საშუალებით. სკოლა იყენებს ელექტრონულ ფოსტას. სკოლას აქვს ელექტრონული ჟურნალი (onlineschool.emis.ge) . შემოსული და გასული კორესპოდენციის, ასევე ბრძანებების ატვირთვა ხდება eflow-ში. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. ვიზიტისას ადგილზე გადამოწმდა სკოლის eschool-ის ბაზა. სკოლას სრულყოფილად აქვს ყველა საჭირო მონაცემი ასახული. ყველა საჭირო მონაცემი სწორია და შეესაბამება არსებულ რეალობას. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. დაწესებულებაში ვიზიტისას გადამოწმდა eflow-ში რამდენიმე შემოსული კორესპოდენცია, რომელზეც დაწესებულებამ წარადგინა პასუხი. თითოეულ შემთხვევაში სკოლას დროულად ჰქონდა მიწოდებული ინფორმაცია რესურს ცენტრისთვის. ასევე ვიზიტისას წარმოადგინეს ფინანსური ანგარიგების ამსახველი დოკუმენტების წარდგენის დამადასტურებელი წერილები, სამეურვეო საბჭოსთან წარდგენილი ანგარიშები. საქმისმწარმოებელმა აღნიშნა, რომ შემოსულ განცხადებებზე , როცა რაიმე ტიპის ინფორმაციის გამოთხოვას ეხება, უკუკავშირი ხდება კანონმდებლობით დადგენილ ვადებში. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ საქმისწარმოების წესი;
- ✓ შემოსული კორესპოდენციები;
- ✓ ბაზების ვიზუალური დათვალიერებით.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს ოფიციალური ვებგვერდი. ასევე იყენებს სოციალურ ქსელს Facebook-ის გვერდს. შესაბამისად, მნიშვნელოვანი ინფორმაცია სკოლის მიერ განხორციელებული თუ დაგეგმილი აქტივობების შესახებ ვრცელდება ამ გვერდების საშუალებით. გარდა ამისა, შექმნილია ჯგუფები სოციალურ ქსელში, სადაც მოსწავლეთა მშობლებს მიეწოდებათ სხვადასხვა სახის ინფორმაცია კლასის დამრიგებლების მიერ. ვიზიტისას სკოლა ახორციელებდა საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდის საშუალებით. დაწესებულებას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. დაწესებულების სოციალურ გვერდს მართავს სკოლის დირექტორი. სოციალურ ქსელში გავრცელებული ინფორმაცია არის სანდო და უტყუარი. ხდება გადამოწმება სკოლის დირექციის მიერ და ვრცელდება მხოლოდ მას შემდეგ. ან ვრცელდება სამინისტროს ოფიციალური გვერდიდან აღებული ინფორმაცია. სკოლას აქვს ოფიციალური ვებგვერდი, სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. დაწესებულება მუდმივად იღებს უკუკავშირს და აქვს მზაობა გაითვალისწინოს თემის და სასკოლო საზოგადოების აზრი. სკოლა სოციალური ქსელის საშუალებით აზიარებს საკუთარი საქმიანობის შესახებ ინფორმაციას. იღებს უკუკავშირს მშობლებისა და მოსწავლეებისგან. ექსპერტთა შეფასებით, საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის დირექტორმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ სწავლება ხორციელდება ქართულ ენაზე, შესაბამისად სკოლის ვებგვერდი არის ერთენოვანი, რადგან არ აქვთ უცხო ენაზე გვერდის ქონის საჭიროება. სკოლას ვიზიტისას ჰქონდა ქართულენოვანი ვებგვერდი. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის ვებგვერდის სტრუქტურა არის ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისი. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგებს განათავსებს საანგარიშო პერიოდის დასრულებისთანავე. ასევე მითითებულია საკონტაქტო ინფორმაცია. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

ვებგვერდი.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებამ წარმოადგინა ბოლო ორი წლის ბიუჯეტები თავისი შესრულებებით, რითაც დასტურდება რომ სკოლას აქვს საკმარისი შემოსავლები განახორციელოს სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობები. სკოლა უზრუნველყოფილია სასწავლო რესურსებით, ჰიგიენური საშუალებებით, იხდის გათბობის თანხებს, თუმცა ყოველწლიურად რჩება ნაშთის სახით გარკვეული თანხმა. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა თანხებს განკარგავს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მიმართავს სამეურვეო საბჭოს კორექტირებისათვის. ინვენტარისა თუ სხვა სახის საგნების შეძენის საჭიროების შემთხვევაში სკოლის მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი მიმართავს დირექტორს მოხსენებითი ბარათით, რომელშიც აღწერილია საჭიროება და ბაზრის კვლევა. ყველა საჭირო პროცედურის დაცვით ფორმდება დოკუმენტაცია(ხელშეკრულება, ანგარიშფაქტურა მიღება–ჩაბარების აქტი) და ხდება შესყიდვა. მონიტორინგის ეფექტურ მექანიზმს წარმოადგენს სკოლის დირექტორის ანგარიში ფინანსურ საკითხებზე , რომელსაც იგი წარუდგენს ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს. გარდა ამისა, სკოლა მონიტორინგს უწევს ხარჯებს კვარტალურად. სკოლის ბიუჯეტი ყველასთვის ცნობილია. სკოლას აქვს 60 ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ სკოლის ბიუჯეტი თავისი შესრულებებით;
- ✓ სამეურვე საბჭოს ოქმები;

✓ დირექტორის ანგარიში.
შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ დაბა ასპინძის საჯარო სკოლას შემუშავებული მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი. აღნიშნულით რეგულირდება მოსწავლის ჩარიცხვა, მობილობა, სტატუსის შეჩერება. სკოლას

შინაგანაწესით შემუშავებული აქვს აგრეთვე მოსწავლეთა წახალისებისა და დისციპლინური გადაცდომის პრევენციის მექანიზმები, აღნიშნული მექანიზმების ფარგლებში სკოლის დირექციის წარმომადგენელი ვალდებულნი არიან სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში, უზრუნველყონ მოსწავლეთა უფლებებისა და წესების გაცნობა ყველა მოსწავლისათვის საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების ან/და სხვა ღონისძიებების ორგანიზებით. მოსწავლეთა უფლებები და წესები, რომლის გაცნობაც ხორციელდება სკოლის მიერ მოსწავლეებისათვის თანხვედრაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. გარდა ამისა, სკოლას აქვს ხელშეკრულება, რომელიც ფორმდება მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელსა და დაწესებულებას შორის. შესაბამისად მოსწავლის უფლებების დაცვის გარანტიად შეიძლება ჩაითვალოს აღნიშნული ხელშეკრულება. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას, ასევე ხელშეკრულებას ეცნობა როგორც კანონიერი წარმომადგენელი, ისე სკოლის პერსონალი. აღნიშნული რეგულაციები არის გამჭვირვალე, არ არის ორაზროვანი და არ იძლევა ინტერპრეტირების შესაძლებლობას. შინაგანაწესი გააზრებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, აღნიშნულის უზრუნველსაყოფად სკოლა მოსწავლეებისთვის აწყობს საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანიას, რაც გულისხმობს სხვადასხვა აქტივობების ჩატარებას. სკოლის შინაგანაწესს პედაგოგიურ საბჭოსთან შეთანხმებით ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლამ წარმოადგინა მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები. აღნიშნული ხელშეკრულება მოიცავს ინფორმაციას როგორც მოსწავლის ვალდებულებების, ისე უფლებების შესახებ. ასევე მოიცავს ინფორმაციას მხარეთა შესახებ, ხელშეკრულების ნომერს, გაფორმების თარიღსა და ადგილს, ხელშეკრულების საგანს. წარმოდგენილი დოკუმენტი სრულად შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. ექსპერტთა შეფასებით, **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ ხელშეკრულებები;
- ✓ შინაგანაწესი;
- ✓ მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულება მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის საკითხის რეგულირებისას ეყრდნობა მოქმედ კანონმდებლობას. დაწესებულებას დამტკიცებული აქვს შესაბამისი წესი, რომლითაც რეგულირდება მოსწავლის ჩარიცხვასთან და სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხები. აღნიშნული წესი თანხვედრაშია მოქმედ კანონმდებლობასთან ზოგადი განათლების შესახებ კანონთან, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანებასთან, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის №193/ნ ბრძანებასთან. შესაბამისად, **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. დაწესებულება მოქმედებს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად, ასევე სკოლის მიერ დადგენილი წესის თანახმად. ვიზიტისას შესწავლილ იქნა სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტები, ასევე ჩატარდა გასაუბრება საქმისმწარმოებელთან. დაწესებულება მოსწავლის ჩარიცხვას და სხვა პროცედურებს

ახორციელებს კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით. მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის კანონმდებლობით დადგენილი ვადების შესახებ ხდება მშობლის მუდმივი ინფორმირება სატელეფონო საუბრების და პირადი შეხვედრების ფორმატში. ხდება გაცდენების მუდმივი მონიტორინგი, რაც ასევე შესაძლოა გახდეს მოსწავლის სტატუსის შეჩერების საფუძველი. სტატუსის შეჩერებამდე ასევე ხდება სოციალური მუშაკის ჩართვა და ამ გზებით ოჯახთან დაკავშირება. **შესაბამისად, ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. დაწესებულებას განთავსებულია თვალსაჩინო ადგილას სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავს ინფორმაციას სკოლის მიერ შეთავაზებული მომსახურების სახეების შესახებ. თუმცა ამ ეტაპზე სკოლა არ ეწევა ფასიან საგანმანათლებლო საქმიანობას. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას კლუბებისა და წრეების სახით: სკოლაში ფუნქციონირებს სამოქალაქო განათლების კლუბი , ეკოკლუბი, ინტელექტუალურ შემეცნებითი კლუბი, სპორტული კლუბი, ჭრა-კერვის წრე, აღნიშნულ კლუბებსა და წრეებში მოსწავლეები გაერთიანებული არიან თავიანთი ინტერესების და სურვილის. მიხედვით. რომელიც ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის. სხვადასხვა კონცეპტუალური დოკუმენტი / მოსწავლეთა ქცევის კოდექსი, შინაგანაწესი, მასწავლებლის სტანდარტი და ეთიკის კოდექსი, დირექტორის სტანდარტი და ეთიკის კოდექსი/ ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. მეხუთე კლასში სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს მეორე უცხო ენას. ენის არჩევა ხდება მშობლებისა და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, კერძოდ მე-4 კლასის დასრულებისას, მშობელთა კრებებზე, მშობლების მიერ, ფარული კენჭისყრით, ხდება სკოლის მიერ შეთავაზებული მეორე უცხო ენის (რუსული, გერმანული) არჩევა. საშუალო საფეხურზე სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ასარჩევ საგნებს. სკოლის ადმინისტრაცია მოსწავლეებთან შეხვედრით, მათი ინტერესების გათვალისწინებით განსაზღვრავს ასარჩევი საგნების ნუსხას. . სკოლა უზრუნველყოფს ყველა საჭირო რესურსის შეძენას. მოსწავლეებმა და მშობლებმა იციან წრეებში მუშაობის წესები და პირობები. სკოლას აქვს ტრადიცია სკოლაში შემოსვლამდე ბაღის აღსაზრდელები სტუმრობენ სკოლას. მათ ხვდება სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებლები. ათვალიერებენ სასწავლო გარემოს და ეცნობიან სასწავლო სივრცეს. სკოლაში მესამე საფეხურზე სწავლობენ მიმდებარე სოფლების საბაზო საფეხურის კურსდამთავრებულები. მათი მომსახურება ხორციელდება ,,საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის“ პროგრამის ფარგლებში. სკოლის მიერ იჯარით გაცემულ ფართზე ფუნქციონირებს სასკოლო ბუფეტი, სადაც დაცულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 5 მაისის N410 ბრძანებით განსაზღვრული რეგულაციები. სკოლის ადმინისტრაცია პერიოდულად ახდენს მონიტორინგს. სკოლას დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს

მონიტორინგის ჯგუფი. მშობელს აქვს ელექტონულ ჟურნალზე წვდომა და სემესტრული ნიშნის გამოსწორების სურვილის შემთხვევაში დადგენილ ვადებში განცხადებით მიმართავს სკოლას. სკოლის დირექტორი დადგენილი კანონმდებლობის შესაბამისად ნიშნავს სემესტრულ გამოცდას. აღნიშნულის შესახებ ინფორმირებულია სასკოლო საზოგადოება. ასევე თვალსაჩინოდ არის გამოკრული სკოლის შინაგანაწესი, რომელიც არეგულირებს მოსწავლის ქცევას და სკოლის პოლიტიკას მოსწავლის მხრიდან არასასურველი ქცევის შემთხვევაში. გარდა ამისა, კლასის კრებებზე ხდება მშობლებისთვის და მოსწავლეებისთვის სკოლის შინაგანაწესის გაცნობა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. დაწესებულება ინფორმაციის გაზიარების მიზნით იყენეს სოციალურ ქსელს და სკოლის ოფიციალურ ვებგვერდს. ექსპერტთა მიერ, გადამოწმდა სკოლის ოფიციალური ვებგვერდი და ფეისბუქ-გვერდი, მასზე განთავსებული ინფორმაცია იყო უტყუარი, შესაბამისობაში მოდიოდა კანონმდებლობასთან და არ შეიცავდა რაიმე ტიპის დისკრიმინაციას. სკოლის წარმომადგენლებმა ინტერვიურებისას განაცხადეს, რომ ყოველთვის სიფრთხილით ეკიდებიან ინფორმაციის გაზიარებას, ხდება დაზუსტება და გადამოწმება და მხოლოდ მას შემდეგ აწვდიან ინფორმაციას სასკოლო საზოგადოების წევრებს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ მოსწავლეთა ჩარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ✓ მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ დაბა ასპინძის საჯარო სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა მოიცავს მოსწავლეთა ტრანზიციის მექანიზმს, რომლითაც რეგულირდება მოსწავლეთა სკოლაში ადაპტაცია და სასკოლო პროცესში პირველკლასელთა და მობილობის წესით გადმოსული მოსწავლეების ჩართულობა. ამასთან, აღნიშნული წესი შესაძლოა გამოყენებული იქნას იმ მოსწავლეების ადაპტაციის პროცესის გასამარტივებლად, რომელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართვას ართულებს საფეხურიდან საფეხურზე გადასვლის სირთულეები და სსსმ მოსწავლეთა გარემოსთან ადაპტირება. აღნიშნულ პროცესს ხელმძღვანელობს კლასის დამრიგებელი, რომელიც ეცნობა მოსწავლის პირად საქმეს, ხვდება მშობლებს, აგროვებს ინფორმაციას მოსწავლის მიღწევების, თავისებურების შესახებ, აცნობს საგნის მასწავლებლებს და მოსწავლეს კლასის წინაშე წარადგენს საუკეთესო მხრით; თავის მხრივ, მოსწავლეები ცდილობენ გააცნონ საკუთარი თანაკლასელები და სასკოლო სივრცე, რისთვისაც კლასის დამრიგებელი გამოყოფს სპეცილურ დროს. თანაკლასელებს ახალი მოსწავლე გაჰყავთ სასკოლო სივრცეში, აცნობენ გარემოს, სკოლის წესებს, ტრადიციებს, უყვებიან საკუთარ თავზე, დამრიგებელი მოსწავლეს აცნობს შინაგანაწესს. სკოლის ყველა მოსწავლისათვის დანერგილია ადაპტაციის მექანიზმები, რომელიც ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის სწავლისთვის მზადყოფნის დადგენას, რაც მოიცავს

სამ სფეროს: ფიზიკურს, ფსიქოლოგიურსა და პიროვნულს. სკოლა აცნობიერებს, რომ ნებისმიერ მათგანში წარმოშობილი პრობლემა გავლენას ახდენს სწავლის ხარისხზე, მოსწავლის განცდებზე, მის შრომისუნარიანობაზე, ურთიერთობების ხარისხზე და სხვა. დაწყებითი საფეხურის დასრულებამდე მოსწავლეებს ხვდებიან და ეცნობიან საბაზო საფეხურის მასწავლებლები. საბაზო საფეხურის მასწავლებლები ესწრებიან გაკვეთილებზე და დაწყებითი კლასის მასწავლებლისაგან იღებენ ინფორმაციას თითოეული მოსწავლის საჭიროებებისა და შესაძლებლობების შესახებ. სკოლას აქვს ტრადიცია მე-4 კლასის დასრულების ბოლო დღეებში ეწყობა ღონისძიება, რომელსაც ესწრებიან მშობლები და მე-5 კლასში შემსვლელი მასწავლებლები. ასევე, სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მიზნით, ტრადიციულად ბაღის აღსაზრდელები სტუმრობენ სკოლას და ეცნობიან სასწავლო გარემოს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან, განხორციელებული ღონისძიებები, თუ პროექტები მიზნად ისახავს ხელი შუწყოს მოსწავლეებს იგრძნონ თავი სასკოლო საზოგადოების წევრებად, ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლისთვის პრიორიტეტული და ეფექტური მექანიზმი მოსწავლეთა ადაპტაციისათვის არის სასკოლო აქტივობებში, ღონისძიებებსა თუ პროექტებში მათი ჩართვა. სასწავლო წლის დასაწყისშივე კლასის ხელმძღვანელი მოსწავლეებს და მათ მშობლებს აცნობს სასკოლო სასწავლო გეგმას, სადამრიგებლო პროგრამას, რომელშიც მთელი წლის მანძილზე განსახორციელებელი აქტივობებია გაწერილი. მიღებული უკუკავშირის ან დამდგარი საჭიროების შემთხვევაში შეიძლება გეგმამ მოდიფიკაცია განიცადოს. თუ მოსწავლე სკოლაში მობილობით გადმოდის მასთან და მის მშობელთან ხდება კლასის ხელმძღვანელის ან დირექტორის შეხვედრა. მას აცნობენ სკოლის შინაგანაწესს, ხელშეკრულების პირობებს და სასკოლო კულტურით გათვალისწინებულ ტრადიციებს. მოსწავლეს დამრიგებელი აწვდის ინფორმაციას სასკოლო კლუბების, პროექტების შესახებ, რათა მან თავისი სურვილის მიხედვით მიიღოს გადაწყვეტილება რომელში ჩაერთვება. თანაკლასელებთან ადაპტაციის პროცესი მიმდინარეობს დამრიგებლის მეთვალყურეობით და საჭიროების შემთხვევაში იგი ახდენს ინტერვენციას. ეს შეიძლება იყოს ინდივიდუალური საუბრები მოსწავლეებთან, სადამრიგებლო საათის ფარგლებში შეხვედრები ან საკლასო პროექტი, რომელშიც ჩართულნი იქნებიან მოსწავლეები მათი საჭიროებების გათვალისწინებით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა ორიენტირებულია მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, წარმატებასა და პროგრესზე. გაკვეთილის დაგეგმვისას მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს, საჭიროებებს და შესაძლებლობებს, იყენებენ განმავითარებელ უკუკავშირს, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით გეგმავენ საინტერესო და

მრავალფეროვან აქტივობებს. გაკვეთილებზე იყენებენ თანამედროვე ტექნოლოგიებს, მრავალფეროვან თვალსაჩინოებებს. საჭიროების შემთხვევაში გაკვეთილების შემდეგ კონსულტაციას უწევენ მოსწავლეებს აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით. აკადემიური მიღწევების შესახებ მსჯელობენ კათედრის სხდომებზე, ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან გაკვეთილებზე და აძლევენ რჩევებსა და რეკომენდაციებს ერთმანეთს, ატარებენ ერთობლივ კლასგარეშე ღონისძიებებს. ეხმარებიან მოსწავლეებს სასწავლო პროცესში წარმოქმნილ სიძნელეების დაძლევაში, ძლიერი მხარის განვითარებას და სუსტ მხარეზე ყურადღების გამახვილებაში. სკოლა სხვადასხვა აქტივობით ცდილობს მოსწავლეებს ჩამოუყალიბონ და განუვითარონ სხვადასხვა უნარები. სკოლის მოსწავლეები ჩართულნი არიან ოლიმპიადებში, კონკურსებსა და კონფერენციებში. მოსწავლის აკადემიურ წინსვლასა და წარმატებას აკვირდება მშობელიც ელექტრონული ჟურნალის საშუალებით. საჭიროების შემთხვევაში კლასის დამრიგებლის მეშვეობით მასწავლებელი მართავს შეხვედრას მშობელთან და ესაუბრება შვილის აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების გზებზე. სკოლა საჭიროების შემთხვევაში ახდენს სასწავლო გეგმის მოდიფიცირებას, ან მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის შემთხვევაში მულტიდისციპლინარული გუნდის დასკვნის საფუძველზე ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლებას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა მოსწავლეს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას. საჭიროების შემთხვევაში, მშობლის განცხადებისა და სამედიცინო დასკვნის წარმოდგენის შემთხვევაში მოსწავლე გადაჰყავს შინ სწავლების ფორმაზე. პანდემიის პერიოდში სკოლა აქტიურად იყენებდა შინ სწავლების ფორმას მშობლის განცხადების საფუძველზე. საჭიროების შემთხვევაში სკოლა იწვევს ფსიქოლოგს. მიმდინარე სასწავლო წელს მე-10 კლასში მოწვეული იყო ფსიქოლოგი, რომელმაც მოსწავლეებს გაუწია სათანადო მომსახურება, სკოლას ჰყავს კვალიფიციური ექიმი და აქვს სამედიცინო ოთახი ყველა საჭირო ინვენტარით. ექიმი საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეებს უწევს პირველად დახმარებას და კონსულტაციას. ვირუსის გავრცელების დროს ატარებს საუბარს ვირუსთან დაკავშირებით. სკოლა ოპტიმიზებულია შერწყმულ სოფელ თოკის სკოლაში, კანონმდებლობის შესაბამისად, გამოიყენება დისტანციური სწავლების ჰიბრიდული მოდელი. ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ზოგიერთი საგანი, რომლის სპეციალისტი ვერ მოიძებნა, ისწავლება დისტანციურად. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. სსიპ- დაბა ასპინძის საჯარო სკოლა უზრუნველყოფს დამატებითი აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას. სკოლაში ყოველწლიურად ირჩევა მოსწავლეთა თვითმმართველობა. თვითმმართველობას ჰყავს წარმომადგენელი სამეურვეო საბჭოში. სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობას აქვს შესაძლებლობა ჩაერთოს სასკოლო ცხოვრებაში. საინტერესო

წინადადებებს სთავაზობს სკოლის ადმინისტრაციას. სკოლას აქვს არაფორმალური აქტივობების მხარდაჭერის სისტემა. კლასგარეშე აქტივობებს სკოლა გეგმავს მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისად. სკოლაში ფუნქციონირებს ეკო კლუბი, სამოქალაქო განათლების კლუბი, შემეცნებითი კლუბი „რა, სად, როდის“, რომელიც ყოველ თვეში მართავს სასკოლო შემეცნებით ღონისძიებას, სპორტული კლუბი, რომელიც ასევე სპორტის სხვადასხვა სახეობაში ატარებს სასკოლო ასპარეზობებს. სკოლის დირექცია მხარს უჭერს არაფორმალური აქტივობების განხორციელებას და ახალისებს სხვადასხვა ფორმით: მადლობის გამოცხადება, სერთიფიკატის გადაცემა და სხვ. სკოლას აქვს გაფორმებული მემორანდუმი ახალციხის პროფესიულ კოლეჯ „ოპიზართან“. კოლეჯის ხელშეწყობით სკოლაში გახსნილია ჭრა - კერვის წრე, სადაც მოსწავლეებს ასწავლის კოლეჯიდან მოვლენილი პედაგოგი. კოლეჯმა აღჭურვა ჭრა - კერვის ოთახი საკერავი მანქანებით და სათანადო ინვენტარით. სკოლა ხელს უწყობს და ახალისებს დამატებიტი აქტივობების განხორციელებას სასწავლო წლის მანძილზე სკოლაში განხორციელდა სასკოლო პროექტი: "მე-გარემოს დამცველი". პროექტის ფარგლებში სკოლაში ჩატარდა სხვადასხვა აქტივობები: გაიმართა მსჯელობა-დისკუსია ლევან გოთუას მოთხრობა ,,ჩემი უსტარაული“, დამზადდა პოსტერი. ჩატარდა ლექცია პრეზენტაცია ,,გლობალური დათბობა“. მოსწავლეებმა მოიძიეს ინფორმაცია, დაახარისხეს და წარმოადგინეს პრეზენტაცია თემებზე: ,,ნარჩენების მართვა“ -,,ჰაერი“ და ,,წყალი“ . შეისწავლეს და წარმოადგინეს გემოდიფიცირებული პროდუქტები მსოფლიო ბაზარზე და მათი უსაფრთხოება, პროექტის ფარგლებში მოეწყო დასუფთავების აქცია და შეიქმნა ,,ლენდ-არტი“. მოეწყო ლაშქრობა ახლომდებარე კულტურულ ძეგლებზე : (აგარა, შორეთის მონასტერი და ობოლეთი) მოეწყო ნახატების გამოფენა ,,დედამიწის დღესთან“ დაკავშირებით. სკოლაში შეიქმნა ეკო-თეატრი, მოსწავლეებმა დადგეს სპექტაკლი- ,,ტყის შვილები“. სკოლამ მონაწილეობა მიიღო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ინიცირებულ " სასკოლო აქტივობების ხელშეწყობის ქვეპროგრამის სასკოლო ინიციატივების წახალისების" კონკურსში. გაიმარჯვა კონკურსში და განახორციელა პროექტი: "ეკო ნაკვალევზე", მიიღო დაფინანსება და დასკვნით ღონისძიებაზე სასტუმრო "ბილტმორში" განახორციელა პროექტის პრეზენტაცია. ასევე სკოლა მონაწილეობდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ინიცირებულ პროექტში:" ვისაუბროთ კულტურულ მემკვიდრეობაზე". მოსწავლეებმა შეისწავლეს რამდენიმე ისტორიული ძეგლი, მოაწყვეს ლაშქრობა და მიიღეს სერტიფიკატები და წიგნები. სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის "Civic Education Teachers Forum" გამოცხადებულ კონკურსში განხორციელდა პროექტი:" სამოქალაქო განათლება მდგრადი განვითარებისათვის", ამ პროექტის ფარგლებში სკოლის სამოქალაქო განათლების კლუბმა განახორციელა სამი სათემო პროექტი: "ხარისხიანი განათლება", გენდერული თანასწორობა", "ხელმისაწვდომი ჯანდაცვა". პროექტის ფარგლებში მოსწავლეები ესტუმრნენ ასპინძის ფილიალის "ევექსის" კლინიკას, აიპ ასპინძის სასპორტო გაერთიანებას.

სკოლაში მოწვეული იქნა მუნიციპალიტეტის წარმატებული იურისტი, რომელმაც ისაუბრა ხარისხიანი განათლების შესახებ. zoom-ის პლატფორმის საშუალებით მოწვეული იქნა სამცხე-ჯავახეთის პედაგოგთა ფორუმის წარმომადგენელი. პროექტ "გენდერული თანასწორობის ფარგლებში" მოწვეულ იქნენ, ახალციხის ახალგაზრდული ცენტრისა და ახალციხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წარმომადგენლები, რომლებიც მოსწავლეებს ესაუბრნენ გენდერულ თანასწორობაზე. სკოლამ მონაწილეობა მიიღო, არასამთავრობო ორგანიზაცია "იდეათონი სოციალური ცვლილებებისათვის" შეხვედრაში. მოსწავლეებმა განახორციელეს პროექტი: "როგორ ვებრძოლოთ დეზინფორმაციას". პროექტის ფარგლებში მოსწავლეებმა მოიპოვეს დაფინანსება და გადაეცათ სერტიფიკატები და საჩუქრები. CEEM-სამოქალაქო განათლების სწავლება სიმულაციებით და თეატრის მეთოდით. ახალციხის ზრდასრულთა განათლების ცენტრის მიერ გამართულ კონფერენციაში სკოლამ წარადგინა სამი თემა. მონაწილეები დაჯილდოვდნენ სერტიფიკატებით და საჩუქრებით. ამჟამად სამოქალაქო კლუბი თვითმმართველობასთან და USAID -ის სამოქალაქო განათლების პროგრამასთან თანამშრომლობით ანხორციელებს პროექტს ,,მწვანე ეზო“. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. საგანმანათლებლო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით სკოლა ახორციელებდა შეხვედრებს სასკოლო საზოგადოებასთან და მიღებული უკუკავშირის საფუძველზე აუმჯობესებდა მომსახურებას. კერძოდ, გასულ სასწავლო წელს გათვალისწინებულ იქნა მშობელთა მოსაზრებები ელექტრონულ რესურსებთან, კომპლექსურ დავალებასთან და საშინაო დავალების მოცულობასთან დაკავშირებით.მასწავლებლები მოსწავლეებისგან იღებენ უკუკავშირს ცალკეული აქტივობის, გაკვეთილის, ან მთლიანი სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ. ითვალისწინებენ მოსწავლეთა აზრს, შეაქვთ კორექტირება სასწავლო პროცესის, პროექტის, აქტივობის მიმდინარეობაში. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ✓ პროექტების განხარციელების დამადასტურებელი მასალები.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ- დაბა ასპინძის საჯარო სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა კარიერული დაგეგმვასა და პროფესიულ ორიენტაციას. საბაზო და საშუალო საფეხურზე კლასების სადამრიგებლო პროგრამით გათვალისწინებულია კლასის საათი პროფესიების შესახებ. სკოლას სტუმრობენ სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენლები. მათ ეძლევათ საშუალება, შეხვდნენ მოსწავლეებს და ესაუბრონ მომავალ პროფესიებზე, რა სირთულეები ან ხიბლი აქვს ამა თუ იმ პროფესიას. სკოლა იწვევს სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს, რომლებიც მოსწავლეებს ესაუბრებიან პროფესიების შესახებ. სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი ახალციხის პროფესიულ სასწავლებელთან ,,ოპიზარი", სკოლის მოსწავლეები ხშირად სტუმრობენ პროფესიულ სასწავლებელს. პროფესიული სასწავლებლის დახმარებით სკოლაში შეიქმნა ჭრა-კერვის შემსწავლელი წრე, მოავლინა სკოლაში სპეციალისტი, სკოლის მოსწავლეები ხალისით სწავლობენ ამ პროფესიას, აწყობენ ნამუშევრების გამოფენას და პოპულარიზაციას უწევენ. სკოლამ მონაწილეობა მიიღო არასამთავრობო ორგანიზაცია "ვირტუალური საკვირაო სკოლის" ინიცირებულ კონკურსში. პროექტი მიმდინარეობდა Teams-ის პლატფორმის საშუალებით. პროექტის მიზანი იყო პროფესიული განათლების პოპულარიზაციის ხელშეწყობა. პროექტის ფარგლებში მოსწავლეები ეწვივნენ პროფესიულ სასწავლებელს მოსწავლეები გაიცნეს სასწავლო გარემო, მიიღეს ინფორმაცია, პროფესიული პროგრამების შესახებ, მოსინჯეს საკუთარი ძალები სხვადასხვა პროფესიაში. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. .სკოლა მხარს უჭერს მოსწავლეებს კარიერის დაგეგმვაში. სკოლის მიერ დაგეგმილი პროფორიენტაციის ამოცანებია: დაეხმაროს მოსწავლეს საკუთარი შესაძლებლობებისა და მიდრეკილებების გამოვლენაში; გააცნოს მოსწავლეს პროფესიათა სამყარო, ცალკეული პროფესიის თავისებურებანი და ის მოთხოვნები. რომელსაც იგი უყენებს მომუშავეს, აგრეთვე ამ პროფესიით დასაქმების შესაძლებლობანი; დაეხმაროს მოსწავლეს კონკრეტული პროფესიის სწორედ არჩევაში. ამ ამოცანების განსახორციელებლად სკოლა

აწყობს შეხვედრებს სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან. თანამშრომლობს პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებლებთან, რომლებიც ხვდებიან მოსწავლეებს და ესაუბრებიან სხვადასხვა პროგრამების და პროფესიების შესახებ. მოსწავლეებს კარიერულ დაგეგმვაში ეხმარებიან კლასის დამრიგებლები. კლასის საათზე აცნობენ სახვადასხვა პროფესიებს, ესაუბრებიან, უჩვენებენ ფილმებს და მსჯელობენ. კერძოდ, საშუალო საფეხურზე კლასის საათზე განიხილება თემები: თვითგანვითარება – ვინ ვარ მე?; როგორ ვსწავლობთ, როგორ ვისწავლოთ უკეთ. პროფესიული ორიენტაცია და კარიერის დაგეგმვა; ჩემი მიზანი; ჩემი არჩევანი; მომავალი პროფესია; სწრაფვა წარმატებისკენ; პოპულარული პროფესიები და გამოჩენილი პიროვნებები; მომავლის დაგეგმვა; ბიზნეს უნარ-ჩვევების განვითარება -ბიზნესის დაგეგმვა, ბიზნესის არსი და თავისებურებები, მეწარმეობის არსი და პრინციპები, მეწარმის უნარ-ჩვევები). **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით აწყობს შეხვდრას სკოლის კურსდამთავრებულებთან, რომლებიც გამოცდილებას უზიარებენ საშუალო საფეხურის მოსწავლეებს თავიანთი სასწავლებლებისა და პროფესიების შესახებ. ასევე, სკოლა აწარმოებს სტატისტიკას კურსდამთავრებულთა საქმიანობის შესახებ. მიმდინარე წლის მარტში მოეწყო შეხვედრა, საშუალო საფეხურის მოსწავლეები შეხვდნენ სკოლის წარჩინებულ კურსდამთავრებულს, Flex - ის მონაწილეს, სამედიცინო უნივერსიტეტოს სტუდენტს, რომელმაც თავისი გამოცდილება გაუზიარა მოსწავლეებს თავისი საქმიანობისა და პროფესიის შესახებ. პროფორიენტაციის საკითხი გათვალისწინებულია კურიკულუმებში. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
სადამრიგებლო პროგრამა სადამრიგებლო გეგმები.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა ,ჰყავს შიდა მონიტორინგის ჯგუფი და ხდება ინკლუზიური განათლების ხარისხის შეფასება. სკოლას შემუშავებული ჰქონდა ინტერვენციის გეგმა . სპეციალური მასწავლებელი მუშაობდა როგორც საგნის მასწავლებელთან ასევე მშობელთან მოსწავლის სწავლა სწავლების პროცესის გამარტივების მიზნით . სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლეზე ორიენტირებული გეგმა , სადაც თითოეული მასწავლებელი ორიენტირებულია მოსწავლის ჩართულობაზე, განვითარებასა და დასახული გეგმების დაძლევაზე . დაწესებულებას შემუშავებული აქვს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია. მოსწავლისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციაში აღწერილია სსსმ მოსწავლეთა ჩართვა საგანმანათლებლო სივრცეში, მათი მხარდაჭერა, დამხმარე პროცესები და ხელისშემშლელი მოსალოდნელი საფრთხეები და დასაქმებული პირების მიმართ გაცემული რეკომენდაციები სსსმ მოსწავლეებთან ურთიერთობისას. გასულ სასწავლო წელს სკოლა წარმატებით ახორციელებდა ინკლუზიურ განათლებას. ამ ეტაპზე სკოლას ჰყავს 16 სსსმ მოსწავლე, მათ შორის 6 შინსწავლებაზე, რომლებსაც შედგენილი აქვთ ალტერნატიული სასწავლო გეგმა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სსსმ მოსწავლის სწავლა/სწავლების პროცესისათვის სკოლას აქვს რესურს ოთახი, რომელიც შეძლებისდაგვარად აღჭურვილია მოსწავლის საჭიროებებისათვის აუცილებელი სასწავლო მატერიალურ/ტექნიკური რესურსით (სასკოლოსასწავლო ინვენტარი, კომპიუტერული ტექნიკა , საკანცელარიო ნივთები, თვალსაჩინოებები, ადაპტირებული მხატვრული ლიტერატურა, ზღაპრები, კლასგარეშე საკითხავები.). სკოლას აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის გამოცდილება. სპეციალური მასწავლებელი შეიმუშავებდა ინტერვენციის გეგმას, ადგენდა რესურს ოთახში მოსწავლესთან მუშაობის ცხრილს. ამ პროცესში ჩართული იყო მშობელი. სკოლაში გუნდურად ხდება მუშაობა მოსწავლის ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე, მეგობრებთან ურთიერთობაზე. სკოლა იცავს მოსწავლის კონფიდეციალურობას, მოსწავლის პორთფოლიო და პირადი საქმე ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ ისგ ჯგუფის წევრებისთვის, რესურს ოთახში გაკრულ ცხრილზე მოსწავლის სახელი და გვარი წარმოდგენილი იყო მხოლოდ ინიციალებით. სკოლაში ხშირად იმართება ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებები. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია;

- ✓ ისგ გეგმა;
- ✓ ისგ ჯგუფის ოქმი.

4.2.4. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში ფუნქციონირებს ბუფეტი. სკოლის ბუფეტის ფუნქციონირება ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ეკონომიკის სამინისტროს, , საჯარო აუქციონის საფუძველზე შერჩეული ორგანიზაციასთან ხელშეკრულების საფუძველზე. რომელიც მომსახურეობას ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 5 მაისის

N410 ბრძანების საფუძველზე. სკოლაში განსაზღვრულია პირი რომელიც მონიტორინგს ახორციელებს ბუფეტის მუშაობაზე. სკოლის მესამე საფეხურის მოსწავლეებს ემსახურება ტრანსპორტი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულებასა და მოიჯარეს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურება ნებაყოფლობითია. ფუნქციონირებს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. როგორც სკოლის დირექტორმა აღნიშნა ინტერვიურებისას სკოლა ნებისმიერ საქმიანობას ახორციელებს კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით და ყოველთვის გათვალისწინებულია უსაფრთხოების ნორმები. იმ შემთხვევაში თუ სკოლა მოსწავლეებს შესთავაზებს დამატებითი არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას, იგი განხორციელდება უსაფრთხოების ნორმების დაცვით და გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესები. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ იჯარის ხელშეკრულებები;
- ✓ სამეურვეო საბჭო ოქმი;
- ✓ ეკონომიკური დეპარტამენტის ნებართვა;
- ✓ სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტოს ნებართვა.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი(დაწყებითი საფეხური)

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **დაწყებითი საფეხური**	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ დაბა ასპინძის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტით დარეგულირებული, კურიკულუმის შემუშავების პროცესი, წარმოადგენს იმ მექანიზმს, რომელიც სასკოლო საზოგადოების ინტერესების კურიკულუმში ასახვის შესაძლებლობას იძლევა. დოკუმენტის რეგულაცია ითვალისწინებს კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების, გადასინჯვისა და რევიზიის უწყვეტ ფაზებს. მეთოდოლოგიის მიხედვით, თითოეული ეტაპი სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით ხორციელდება, ვინაიდან მასში მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები და დირექცია. სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესი იწყება წინა წლის კურიკულუმის დანერგვის პარალელურად; მისი (ე.ი. წინა წლის კურიკულუმის) განხორციელების პროცესის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე. კურიკულუმს, საგნობრივი კათედრის დონეზე, გეგმავს

კონკრეტული მასწავლებელი, რომელიც სწავლა-სწავლების პროცესში ვალდებულია აქტუალური და პრობლემური საკითხები განიხილოს მოსწავლესა და მშობელთან, რათა უზრუნველყოს მათი ინტერესების კურიკულუმში ასახვა. მშობელთა ჩართულობის მექანიზმებად სკოლას ასევე მოაზრებული აქვს კომპლექსური დავალების ბარათები, რომლებსაც გაუგზავნის მშობლებს; მშობელთა ინფორმირებისათვის გამოიყენება კლასის ჩათები; იგეგმება კურუკულუმის ატვირთვა ვებ გვერდზე. კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია კათედრის თავმჯდომარის, დირექტორისა და მისი მოადგილის როლი. კათედრის თავმჯდომარე აგროვებს წევრების მიერ გამოგზავნილ მასალებს; დირექციას აწვდის შეთანხმებული ინსტრუმენტების საფუძველზე მომზადებულ მასალებს, რომლებიც სასწავლო პროცესის (მოსწავლეების მიღწევები, მასწავლებლების წინაშე არსებული გამოწვევები) შესახებ შეიცავს ინფორმაციას; სკოლის დირექცია კი უზრუნველყოფს კათედრის ხელმძღვანელების მიერ მიწოდებული ინფორმაციის გამთლიანებას და ფასილიტაციას უწევს კურიკულუმის შემუშავების პროცესს. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებაში მასწავლებლის, კათედრის, დირექციის, მოსწავლისა და მშობლის ჩართულობა სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ფართო წარმომადგენლობის ინტერესების კურიკულუმში ასახვას, ვინაიდან, შემუშავების პროცესში, მასწავლებელთან ერთად, ჩართულია კათედრა, დირექცია, მოსწავლე და მშობელი. მეთოდოლოგიის მიხედვით, მასწავლებლის პრიორიტეტები იმგვარად არის ასახული, რომ კურიკულუმი მის მიერ არის შემუშავებული. მასწავლებელი არჩევს კურიკულუმში სამიზნე ცნებებს, თემატურ ბლოკებს, კომპლექსური ბუნების დავალებებსა და რესურსებს. მოსწავლისა და მშობლების ინტერესები გათვალისწინებულია, ვინაიდან მასწავლებელი მათთან ერთად განიხილავს აქტუალურ საკითხებს; დირექციის შეხედულებები გათვალისწინებულია და გამოკვეთილი მისი როგორც ფასილიტატორის ფუნქცია. როგორც ვიზიტის დროს აღნიშნეს, მშობლების ინტერესების ასახვის მიზნით, მასწავლებლები მათ კომპლექსური დავალების ბარათებს უგზავნიან, რთავენ სხვადასხვა პროექტის განხორციელებაში. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმის შემუშავების პროცესში. ამ დოკუმენტის თანახმად, კურიკულუმის დაგეგმვისას ასევე გათვალისწინებულია მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა. კურიკულუმის შემუშავება სასკოლო საზოგადოების მიერ, კანონმდებლობითაც არის უზრუნველყოფილი. ცალკეულ კურიკულუმს, რომელიც წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის განუყოფელ ნაწილს, შეიმუშავებენ საგნობრივი კათედრები, შემდეგ, დირექციის ჩართულობით, სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით, მას ამტკიცებს

პედაგოგიურ საბჭო. ვიზიტის დროს კათედრებთან გასაუბრებისას, ასევე გამოჩნდა, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, კერძოდ, მასწავლებელთა მხრიდან. მათ შეავსეს სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოები, განსაზღვრეს ახალი სასწავლო წლისთვის დასანერგი კომპლექსური დავალებები, ცნებები, კონტექსტ- მაგალითები, რესურსები, მაგალითები შედარებისთვის. საგნის მასწავლებლის მხრიდან დაგეგმვის პროცესი ეყრდნობა თვითრეფლექსიას, ასევე მოსწავლეებისგან და მშობლებისგან მიღებულ უკუკავშირს. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ მოსწავლის ინტერესის შესაბამისად კომპლექსური დავალებების განსაზღვრის პრაქტიკა. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს (სასკოლო - სასწავლო გეგმა) რომ სკოლაში ფუნქციონირებს არაფორმალური განათლების რამდენიმე კერა. (ეკო-კლუბი, სამოქალაქო კლუბი, სპორტული კლუბი, ჭრა-კერვის წრე), რომლებიც შეიქმნა მოსწავლეთა ჩართულობით მათი ინტერესების კვლევის შედეგად. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ მომავალი სასწავლო წლიდან ამ მიმართულებით დაგეგმილი აქვთ რამდენიმე დამატებითი აქტივობის განხორციელება, განსაკუთრებით მშობლების როლის გააქტიურება. ამ მიზნით ჩაატარებენ ,,ღია კარის“ დღეს, შემოიღებენ ყველაზე აქტიური მშობლების სიმბოლურ დაჯილდოებას და სხვ. სკოლა ხელახლა გადაიაზრებს, სასკოლო საზოგადოების წევრების რა დამატებითი რესურსები შეიძლება იქნას გამოყენებული კურიკულუმის შექმნის პროცესში. ამ ეტაპზე სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მთავარი აქტორები არიან მასწავლებლები და სკოლის ადმინისტრაცია. კურიკულუმის შექმნის პროცესს საერთო მონიტორინგს უწევს და ხელმძღვანელობს სკოლის ადმინისტრაცია. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმი, უპირველეს ყოვლისა, გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისათვის, რასაც უზრუნველყოფს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი და კურიკულუმის დამტკიცების საკანონმდებლო ჩარჩო - კურიკულუმი თანხმდება სამეურვეო საბჭოსთან და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე. როგორც სკოლა თვითშეფასების ანგარიშში მიუთითებს, სკოლას აქვს კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოების წევრებთან. მშობლებთან კომუნიკაციაში მთავარ როლს ასრულებენ დამრიგებლები, რომლებიც სხვადასხვა ფორმით აწვდიან ყველა აუცილებელ ინფორმაციას მშობლებს. სკოლის ყველა მნიშვნელოვანი დოკუმენტი (სასკოლო - სასწავლო გეგმა, შინაგანაწესი, საგნობრივი პროგრამები, სადამრიგებლო საათის პროგრამა, არაფორმალური სწავლების აქტივობები და სხვ.) ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრისთის. პროცესი არის გამჭირვალე და საჯარო, კურიკულუმები ხელმისაწვდომია დაინტერესებული საზოგადოებისთვის.დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები მიწოდებულია სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული პირისთვის. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი;
- ✓ მშობლის ბარათები „კომპლექსური დავალების ბარათები“;
- ✓ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ანგარიში;
- ✓ სსიპ დაბა ასპინძის საჯარო სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია 2023-2024 წ.წ;
- ✓ სსიპ დაბა ასპინძის საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024 წ.წ;
- ✓ მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია 2023 წელი.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი, დაწყებითი საფეხურის, კურიკულუმები ორიენტირებულია სტანდარტებით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებსა (სამიზნე ცნებები) და საფეხურის მისაღწევ შედეგებზე. სასწავლო თემები შეესაბამება სტანდარტის სავალდებულო თემატურ ბლოკებს; ითვალისწინებს დაწყებითი საფეხურის ინტერესებსა და ასაკობრივ თავისებურებებს (მაგ: ოჯახი, სახლი, ჩემი გარემო, ქალაქი, ყოველდღიური ცხოვრება, ტანსაცმელი, ბუნება, სკოლა, სათამაშოები, სპორტი, ფერები, რიცხვები, შინაური და ზოოპარკის ცხოველები, საჭმელები, ხილი და ბოსტნეული, ქალაქი, ფილმები და ტელეგადაცემები და სხვა). შუალედურ მიზნებად გამოყენებულია კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებიც შეესაბამება დაწყებითი საფეხურის მოსწავლის ასაკობრივ თავისებურებებს და ითვალისწინებს მრავალი საინტერესო პროდუქტის შექმნას, როგორიცაა: დახატე შენთვის სასურველი ერთი შინაური და ერთი ფერმის ცხოველი, შემდეგ ისაუბრე მათ შესახებ; დაამზადე დაბადების დღის მისალოცი ბარათი; შექმენი პოსტერი სახელწოდებით „მხიარული უქმეები“. აღინიშნება სასწავლო რესურსების მრავალფეროვნება რაც აღნიშნული მიზნის მიღწევის ერთ-ერთი საშუალება. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ როგორ დააკავშირონ საგნობრივი კურიკულუმები, ინდ. სასწავლო გეგმები, მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები გრძელვადიან მიზნებთან, გამოკვეთეს ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესი, რომელსაც თავად მოსწავლე აწარმოებს. სკოლა ყურადღებას უშუალოდ სწავლის პროცესზე ამახვილებს, რომელიც შეესაბამება სამგანზომილებიანი კურიკულუმის მეთოდიკურ ორიენტირებს; მოსწავლეს აძლევს ავტონომიურობის განცდას, ხელს უწყობს მისი შინაგანი ძალების გააქტიურებასა და მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას (რა გამოვიდა კარგად, რატომ, რა იყოს ის ცოდნა და გამოცდილება, რამაც წარმატება მოიტანა, რა ვერ შეძლო, რას შეიძლებოდა ხელი შეეშალა წარმატების გზაზე). კომპლექსური ბუნების დავალებების გამოყენებით, სკოლა ცოდნის აგების, კონსტრუქტივისტული მიდგომის დანერგვას უწყობს ხელს. 2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლამ შეიმუშავა სასკოლო კურიკულუმი, რომლის შემადგენელი ნაწილია ყველა კათედრის დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები. მასწავლებლებმა გაითვალისწინეს როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი შეხვედრის დროს მიწოდებული რეკომენდაციები და წარმოადგინეს ყველა დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების ნიმუშები. ასევე მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ საგნობრივი კულიკულუმები დაიხვეწება სასწავლო პროცესის მიმდინარეობის პარალელურადაც. (მათ შორის კონტექსტ-მაგალითების, შედარების მაგალითების, რესურსების მიმართულებით) ამ ეტაპზე შექმნილი საგნობრივი კურიკულუმები დაწყებით საფეხურზე წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ სამომავლოდ უფრო მეტი ყურადღება დაეთმობა კომპლექსური დავალებებით სწავლებას.. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები შედგენილია ესგ-ით განსაზღვრული სავალდებულო თემებისა და საკითხების შესაბამისად. შუალედური მიზნების მიღწევის მიზნით დაგეგმილია კომპლექსური დავალებების შესრულება. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სწავლის პროცესში მუშავდება ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს შესწევთ უნარი კომპლექსური დავალებების შერჩევისა და დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინონ მოსწავლეთა საჭიროებები და კავშირი დაამყარონ გრძელვადიან მიზანთან. ასევე აღინიშნა, რომ კომპლექსური ტიპის დავალებებით მუშაობა მოსწავლეს შესაძლებლობას აძლევს განაზოგადოს მიღებული ცოდნა და გამოცდილებასთან ინტეგრირებულად მიზნობრივად გამოიყენოს. აღნიშნული ხელს შეუწყობს ისეთი ფუნქციური უნარების განვითარებას, როგორიცაა კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, მსჯელობა, რეფლექსია, კომუნიკაციური უნარები,.. აღსანიშნავია, რომ არაფორმალური კუთხით დაგეგმილი აქტივობები მნიშვნელოვნად უკავშირდება საგაკვეთილო პროცესში დაგეგმილ აქტივობებს და ინტეგრირდება კურიკულუმთან. გლობალურ-ფუნქციურ უნარებზე ორიენტირება, სკოლის პრიორიტეტს წარმოადგენს, რაც დასტურდება სასკოლო სასწავლო გეგმით (2023-2024 სასწავლო წელი), რომელშიც ასახულია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გამჭოლი უნარები და ღირებულებები. სკოლის მიერ წარმოდგენილი, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები, თავის მხრივ, ასევე ხელს უწყობს, ეროვნული და სასკოლო სასწავლო გეგმებით განსაზღვრული, გლობალური უნარების (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა (ეთიკა, პასუხისმგებლობა), ხასიათი ნება) განვითარებას. საგნობრივ ჩარჩოებში მკაფიოდ იკითხება შერჩეული კომპონენტების შესაბამისობა გრძელვადიან მიზნებთან.. სახვითი ხელოვნების დაწყებითი საფეხურის მეხუთე კლასის კურიკულუმში თემატური ბლოკების ,, ადამიანი და ხელოვნება'' და ,, ხელოვნება ჩვენ გარშემო'' არ არის დამუშავებული სტანდარტით გათვალისწინებული ხუთივე სამიზნე ცნება (მასწავლებლებმა გასაუბრებისას გამოთქვეს აღნიშნული რჩევების გათვალისწინების მზაობა)

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ექსპერტთა რჩევაა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მეხუთე კლასის საგნობრივ პროგრამაში თემატური ბლოკები გაიწეროს იმგვარად, რომ დამუშავდეს სტანდარტით გათვალისწინებული ხუთივე სამიზნე ცნება.

3. წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ანალიზი და მასწავლებლებთან ინტერვიუ ადასტურებს, რომ კათედრები ორიენტირებულია დიფერენცირებული სწავლა სწავლების ძირითად პრინციპებზე. შუალედური სასწავლო მიზნის მიღწევის ინსტრუმენტად იყენებენ კომპლექსურ დავალებებს, რომლებიც საშუალებას აძლევს მასწავლებელს გაითვალისწინოს მოსწავლეთა

ინტერესები, შესაძლებლობები, საჭიროებები და შესაბამისი დავალება შესთავაზოს მათ, ცალკეული მოსწავლეებისთვის კი ამ დავალების ადაპტირებული ვერსია მოამზადოს.კათედრები სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ სხვადასხვა შინაარსის და სირთულის დავალებებს. გამოყენებული დავალებების პირობები, მოსწავლეებს აძლევს საშუალებას საბოლოო პროდუქტი იყოს მრავალფეროვანი მათი სურვილის შესაბამისად. გარდა ამისა სკოლამ მტკიცებულებებში წარმოადგინა სსსმ მოსწავლისთვის შემუშავებული ინდ. სასწავლო გეგმა, რაც აღნიშნული მიმართულებით მის გამოცდილებაზე მითითებს. სკოლა გეგმავს აქტივობებს მოსწავლეთა საჭიროებების დადგენის მიზნით და შედეგებიდან გამომდინარე კურიკულუმის მოდიფიცირებას. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია. პედაგოგთან გასაუბრებით ასევე დადგინდა რომ, დამუშავებული თემების და საკითხების, განვლილი გამოცდილების, მოსწავლეთა შესაძლებლობების, პოტენციალის და საჭიროებების გათვალისწინებით გეგემავს ყოველ მომდევნო სასწავლო წელს. ინტერვიურების დროს ჩანდა მასწავლებლის მზაობა და წინარე გამოცდილება დიფერენცირებულ სწავლებისა და ინკლუზიური განათლების პრინციპებთან მიმართებაში. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. მოსწავლეთა პიროვნული და აკადემიური უნარების გასაუმჯობესებლად სკოლა იყენებს შეფასების განმსაზღვრელ და განმავითარებელ სისტემას, რომელიც შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. განმვითარებელ (პირველი კლასიდან მეხუთე კლასის პირველი სემესტრის ჩათვლით) და განმსაზღვრელ (მეხუთე კლასის მეორე სემესტრი - მეექვსე კლასი) შეფასებებს.მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება ესგ-ით შემოთავაზებული I მოდელით. შეფასების ზოგადი პრინციპები გაწერილი აქვს სსგ-ში. კათედრების მიერ დამატებით მოთხოვნილ დოკუმენტაციაში მტკიცებულების სახით წარმოდგენილია: კონკრეტული კომპლექსური დავალების შესაბამისად შედგენილი გრძელვადიან მიზანზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების ზოგადი რუბრიკები. სისტემატიურად იყენებენ ზეპირ განმავითარებელ შეფასებას. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა და წარმოდგენილი დოკუმენტაციაც ადასტურებს, რომ მასწავლებლებს აქვთ მიზნობრივი ხედვა, შეფასებისას ორიენტირებულნი იყვნენ გრძელვადიან მიზნებზე შუალედური მიზნების საშუალებით , გააზრებული აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნის მეთოდოლოგია. კათედრა იყენებს სტანდარტთან მიმართებაში მოსწავლის მიღწევის დონის ტაქსონომიას (სოლო ტაქსონომია) სხვადასხვა აქტივობის (მაგ, წერითი დავალებების) შეფასებისთვის. კომპლექსური დავალება, პირველიდან - მეხუთე კლასის პირველი სემესტრის ჩათვლით ფასდება მხოლოდ განმავითარებელი შეფასების ანალიზური რუბრიკებით, ხოლო მეხუთე კლასის მორე სემესტრიდან კომპლექსური დავლება ფასდება, როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებით.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის - კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, სასკოლო კურიკულუმი იგეგმება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, კურიკულუმის განახლება კი ხდება ყოველწლიურად, მთელი წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე. წინა წლის გამოცდილებაზე დაყრდნობით კურიკულუმში შეაქვთ სასწავლო საკითხები და შუალედური მიზნები. ვიზიტის დროს, პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში, ანალიზს უკეთებენ წინა წლის კურიკულუმებს და ამის საფუძველზე დგება ახალი კურიკულუმი. ისინი მოსწავლეთა ინტერესების, წინარე ცოდნისა და შესაძლებლობების საფუძველზე არჩევენ სასწავლო თემებსა და კომპლექსური დავალების პირობებს. მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში, ასევე გამოიყენება, სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული, სხვადასხვა საგანში ჩატარებული, წლიური გამოცდებისა და სადიაგნოსტიკო წერის შედეგად მიღებული მონაცემები, რომელიც წინარე გამოცდილების ანალიზის გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
- ✓ საგნობრივი კურიკულუმები დაწყებით საფეხურზე;
- ✓ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.
- ✓ შემაჯამებელი / კომპლექსური დავალებების ანალიზის ფორმები;
- ✓ კათედრის სხდომის ოქმი;
- ✓ კურიკულუმის ჩარჩო 2-6 კლასები;
- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024 წ.წ.
- ✓ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;

- ✓ კომპლექსური დავალება დაწყებით კლასში;
- ✓ კურიკულუმის განვითარების მეთოლოგია 2023-2024 წ.წ;
- ✓ სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია;
- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმის დანართი N1-შეფასების რუბრიკები;
- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმის დანართი N5-ისგ მე-5 კლასი.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობისას ჩანს, რომ სასკოლო კულტურა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებას აქტიური სწავლა-სწავლების საშუალებით. სასკოლო სასწავლო გეგმაში აღწერილი, დაწესებულების მისია-ხედვის მიხედვით, სკოლისთვის პრიორიტეტულია მოსწავლე ჩართული იყოს აქტიურ შემოქმედებით პროცესებში და არ იყოს პასიური მსმენელი. ვიზიტის დროს, გამოიკვეთა სკოლის საზოგადოების წევრების შორის შემოქმედებითი და თანამშრომლობითი გარემო.

დაწყებითი საფეხურის, კურიკულუმებში, მოსწავლის შემოქმედებით პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფისთვის, მასწავლებლები მუშაობენ კომპლექსური ბუნების დავალებებით; ვიზიტის დროს, მათ ისაუბრეს თუ როგორ ახორციელებენ კომპლექსურ დავალებებს - მასწავლებლები სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნას, გამოცდილებას, ინტერესებს, ეხმარებიან მოსწავლეებს არსებული ცოდნის ახალთან დაკავშირებაში, სწავლა-სწავლებას უკავშირებენ ნაცნობ კონტექსტებსა და თემებს. კურიკულუმებში ისეთი სასწავლო თემები აქვთ შეტანილი, რომლებიც მრავალფეროვანი კომპლექსური დავალებების განხორციელების შესაძლებლობას იძლევა.. სკოლა ასევე ხელს უწყობს მოსწავლეებს შემოქმედებით საქმიანობას მათი ჩართვით სხვადასხვა კონკურსებში, სოციალურ და საგანმანათლებლო პროექტებში, სასკოლო კლუბებში. როგორც სკოლის ბაზაზე, აგრეთვე რეგიონულ და რესპუბლიკურ დონეზე. სკოლის მიერ გადმოგზავნილია შესაბამისი მასალებიც (კლუბის წესდება, სამოქმედო გეგმა). **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლის მიერ დამტკიცებული, სასკოლო სასწავლო გეგმა, სწავლა სწავლების პროცესში კონსტრუქტივისტული მიდგომის გამოყენებაზე ამახვილებს ყურადღებას. მითითებულია, რომ მოსწავლეს ახალი ცოდნა უნდა მიეწოდებოდეს არა ერთბაშად, მომზადების გარეშე, არამედ თანდათანობით მის წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით.

საკუთრივ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში, შეტანილია მოსწავლისთვის უკვე ნაცნობი სასწავლო თემები და კონტექსტები, რომელიც, მოსწავლეს, წინარე ცოდნის საფუძველზე, ახლის აგებაში დაეხმარება. კურიკულუმში ასევე გათვალისწინებულია მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებები, შინაგანი მზაობა და ინტერესები, რომელიც მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს ახალი ცოდნა მანამდე არსებულ, საკუთარ გამოცდილებას დაუკავშიროს. კურიკულუმი კომპლექსური დავალების სასწავლო პროცესში

გამოყენებას ითვალისწინებს. ამ ეტაპზე, ბუნებრივია, არ ჩანს საეტაპო აქტივობები, თუმცა მასწავლებელთა წინარე გამოცდილება, რომელიც ვიზიტის დროს გააზიარეს, ცხადყოფს, რომ მათ აქვთ უნარი, ფასილიტაცია გაუწიონ მოსწავლეს ცოდნის აგების პროცესში. წარმოდგენილი კურიკულუმები და კომპლექსური დავალების პირობები, საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ კიდეც, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება წინარე ცოდნაზე დაფუძნების გარეშე ვერ განხორციელდება, რადგან კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი ხელს უწყობს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, ახალი ცოდნის კონსტრუირებას და აუცილებელ ფაქტორს წარმოადგენს. იგივე დაადასტურეს სკოლის პედაგოგებმა გასაუბრებისას. მათ აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებასა და მიღებული ინფორმაციის აქტიურ ცოდნად გარდაქმნის პროცესს. სკოლა, სასწავლო პროცესში კომპლექსური ბუნების დავალებებს იყენებს, რაც დასტურდება მის მიერ გადმოგზავნილი, უკვე განხორციელებული კომპლექსური დავალების მატრიცებით. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში, მკაფიოდ ჩანს, რომ მოსამზადებელი აქტივობები განხორციელებულია წინარე ცოდნის გააქტიურების საფუძველზე. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაფუძნებულია კომპლექსური ტიპის დავალებებზე, რომელიც თავისი არსიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სწავლის სწავლას. კომპლექსური დავალების მოსამზადებელი აქტივობები და მისი წარდგენის ეტაპი გულისხმობს იმის გაანალიზებას მოსწავლის მხრიდან, თუ რა სტრატეგიები გამოიყენა დავალების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში, ყოველ ეტაპზე მოსწავლე ფიქრობს და პასუხობს საკვანძო, გეზის მიმცემ შეკითხვებს, რომლებიც ხელს უწყობს მას გააკეთოს საკუთარი სწავლის რეფლექსია: რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ, სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, როგორ გაუმკლავდა ხელისშემშლელ ფაქტორებს და სხვა. ეს შეკითხვები მნიშვნელოვანია, რათა დეტალურად გაანალიზდეს თითოეული ნაბიჯი, სწავლის პროცესი, რასაც, შესაბამისად, მოჰყვება უკუკავშირი, როგორც თანაკლასელებისაგან, ისე მასწავლებლისგანაც. შესაბამისად, აქცენტი კეთდება მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე. სკოლას გადმოგზავნილი აქვს აქამდე განხორციელებული კომპლექსური დავალების რამდენიმე მატრიცა. წარმოდგენილ ნიმუშებში ჩანს, რომ მუშაობის პროცესში გამოყოფილია მეტაკოგნიტური პაუზის ეტაპები - დამხმარე საკვანძო შეკითხები, რომლებიც მოსწავლეს საკუთარ სწავლაზე დააფიქრებს. მასწავლებელთა პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სკოლა გამოიყენებს სწავლის სწავლის მეთოდებს დაგეგმილი კურიკულუმის დანერგვის პროცესში. თუმცა თოკის სასწავლო ფართზე არ არის უზრუნველყოფილი საბუნებისმეტყველო და ფიზიკური აღზრდის

გაკვეთილების ჩასატარებლად საჭირო ინვენტარი. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის თოკის სასწავლო ფართზე.**

4.სასკოლო სასწავლო გეგმით გაწერილი მეთოდიკური ორიენტირების მიხედვით, ყურადღება უნდა გამახვილდეს არა მხოლოდ დეკლარატიულ და პროცედურულ ცოდნაზე, არამედ ნასწავლის ცხოვრებასთან დაკავშირებაზე. ამ მიზნით, სასწავლო პროცესში, კომპლექსური ბუნების დავალებები გამოიყენება, რომელიც თავის თავში გულისხმობს ცოდნის სამივე კატეგორიის დამუშავებას. ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება საგნობრივ პროგრამებსა და კომპლექსური დავალებების პირობებში, რომლებიც ძირითადად მკაფიოდ აჩვენებს, თუ როგორ გამოიყენებენ მოსწავლეები დეკლარატიულ, პროცედურულ და პირობისეულ ცოდნას მუშაობის პროცესში. სწავლების დროს აქტიურად გამოიყენება პრობლემაზე დაფუძნებული დავალებები და აქტივობები; მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ საკუთარი ცოდნით შექმნან შემოქმედებითი პროდუქტები. მაგალითად, მეხუთე კლასის კურიკულუმში, ერთ-ერთი კომპლექსური დავალების მიხედვით, მოსწავლეს ევალება ვიდეორგოლის გადაღება კულინარიული რეცეპტის შესახებ. მოცემული კომპლექსური დავალება ცოდნის სამივე კატეგორიაზეა ორიენტირებული, რადგან მოსწავლეს მოეთხოვება საჭმელებთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულებისა და ფუქნციური გრამატიკის ცოდნა; ასევე ამ ცოდნის გარკვეულ პირობებსა და კონტექსტში გამოყენება, კულინარული ვიდეორგოლისთვის სავალდებულო სამნაწილიანი სტრუქტურის, სამიზნე აუდიტორიისა და სხვა მახასიათებლების **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად, მოსწავლე უნდა იღებდეს არა დაქსაქსულ და დანაწევრებულ ინფორმაციას, არამედ ამ ინფორმაციას იაზრებდეს და უკავშირებდეს ადრე ნასწავლს, რომელიც მას ცოდნათა ორგანიზებასა და გამთლიანებაში დაეხმარება. შემუშავებული კურიკულუმები ამ მიდგომას ეფუძნება და ხელს უწყობს მოსწავლეებს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში. კურიკულუმში თითოეულ სამიზნე ცნებას უკავშირდება მთელი რიგი ქვეცნებები, რომლებიც წარმოაჩენენ საგნობრივი ცოდნის სტრუქტურას. სამიზნე ცნებაზე მუშაობის პროცესში მოხდება ამ ქვეცნებების ერთმანეთთან შედარება, დაპირისპირება და სხვადასხვა ნიშნით კლასიფიცირება, რაც მათ ურთიერთდაკავშირებულ გამოყენებას განაპირობებს.

მოსწავლის ცოდნათა დაკავშირებისა და ორგანიზების თვალსაზრისით, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში, სასწავლო საკითხებს გააჩნიათ ურთიერთმიმართებები. თემები ისე არის დაგეგმილი, რომ იკვეთება ცოდნის გამთლიანებისთვის საჭირო ლოგიკური კავშირები. გათვალისწინება. მასწავლებლებს კარგად აქვთ გაცნობიერებული რომ ცოდნის შეძენა არ ხდება ერთი საგნის ფარგლებში, შესაბამისად სასწავლო პროცესში მოაზრებულია იმგვარი აქტივობები, რომლებიც მოსწავლეს დაამყარებინებს საგნობრივ კავშირებს. ამ მიზნით კათედრა მოიაზრებს ინტეგრირებულ გაკვეთილებს, სასკოლო პროექტებს, არაფორმალური განათლების აქტივობებს.**ექსპერტთა შეფასებით,**

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ✓ განხორციელებული კომპლექსური დავალების მატრიცები.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დაწყებითი საფეხურის საგნების საგნობრივ სტანდარტებს. კურიკულუმებში ჩანს, რომ სასწავლო პროცესში დაიფარება: საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო თემატური ბლოკები, გრძელვადიანი მიზნები- სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, საკითხები, საკვანძო შეკითხვები, ასევე კონტექსტ-მაგალითები, რაც მოსწავლეს გაუადვილებს კონტექსტში დავალების არსის გააზრებას. სამიზნე ცნებებს, ქვეცნებებსა და სასწავლო თემებს შორის კავშირი სწორად არის დანახული. კურიკულუმში მოცემული, კომპლექსური დავალების პირობები გულისხმობს საკვანძო შეკითხვებს, როგორც სწავლების მექანიზმებს. მასწავლებლებს აქვთ უნარი იხელმძღვანელონ საგნობრივი სტანდარტით და სასწავლო პროცესი წარმართონ ისე, რომ საგნობრივი საკითხების დამუშავებასთან ერთად, მოსწავლის მიერ მიღებული ცოდნის განზოგადება და გრძელვადიანი მიზნებისკენ ორიენტირება უზრუნველყონ. დავალებაზე მუშაობის პროცესში მოსწავლეებს ასევე დაეხმარება სწორად შეთავაზებული სასწავლო-მეთოდოლოგიური რესურსები. სასწავლო პროცესში სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებისათვის, პედაგოგები, საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლეებისთვის შეადგენენ მოდიფიცირებული დავალების პირობას. სკოლის მიერ სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის რეალიზების შესაძლებლობა მკაფიოდ იკითხება მასწავლებლებთან გასაუბრებისა და კურიკულუმის ჩარჩოებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებების იდეებიდან.საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მასწავლებლებთან შეხვედრაზე ,,მე და საზოგადოების“ და ,,ჩვენი საქართველოს“ მასწავლებლებისთვის მიცემული იქნა რეკომენდაცია, რომ კურიკულუმის ჩარჩოში კლასტერების გასწვრივ მითითებული ყოფილიყო კომპლექსური დავალებები, მათი განხორციელების შემთხვევაში. მით უმეტეს, რომ წინასწარ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად (მათ შორის მატრიცების სახით) ცნობილი იყო , რომ მასწავლებლებს ჰქონდათ კომპლექსური დავალებების განხორციელების გამოცდილება. რეკომენდაცია გათვალისწინებულ იქნა და დაწყებითი საფეხურის ,,მე და საზოგადოების“ 3-ე და 4-ე კლასების კურიკულუმებში და 6-ე კლასის ,,ჩვენი საქართველოს“ კურიკულუმში ასახული იქნა კომპლექსური დავალებები. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები ითვალისწინებს კომპლექსური ბუნების დავალებების შესრულებას, რომელთა განხორციელებისას მოსწავლეს უწევს პასუხისმგებლობის აღება გარკვეულ საკითხებზე, დავალების მომზადებისას ურთიერთობა თანატოლებთან, მშობლებთან. დავალების წარდგენის შემდეგ მასწავლებლის მიერ დასმული კითხვების პასუხად მოსწავლე ფიქრობს საკუთარ ემოციებზე, ღირებულებებზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე. საზოგადოებრივი მეცნიერებების დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები საჭიროებს დახვეწას, საგნის სტანდარტით გათვალისწინებული თითოეული

თემის, სამიზნე ცნებისა და თემის ფარგლებში შესასწავლი საკითხების დაკონკრეტებას, რათა სრულად გამოჩნდეს მოსწავლის ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე ორიენტირებული პროცესი. ინტერვიუირების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეებს ადრეული კლასებიდანვე აძლევენ შესაძლებლობას თავად გააკეთონ არჩევანი თუ რომელ საკითხზე ან როგორი სახით წარმოადგენენ კომპლექსურ დავალებას, მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს და ხელს უწყობენ მათ ფსიქო-სოციალურ განვითარებას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო გეგმით განსაზღვრულია შეფასების პრინციპები, რომლებიც გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან. კათედრის წევრები აცნობიერებენ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობას, შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესთან და მოსწავლის ყოველდღიური პროცესის განუყოფელი ნაწილია. დაწყებით საფეხურზე იყენებენ როგორც განმსაზღვრელ (მეხუთე კლასის მეორე სემესტრი - მეექვსე კლასი), ისე განმავითარებელ შეფასებას (პირველიდან მეექვსე კლასის ჩათვლით); სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებსაც იყენებენ კომპლექსური დავალებების შესაფასებლად. შეფასების რუბრიკებში, მოცემულია სტანდარტის სამიზნე ცნებები, თავისი შედეგებით, აგრეთვე შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც მოსწავლემ უნდა დააკმაყოფილოს. ეროვნულ სასწავლო გეგმაში, მოსწავლის ჰოლისტური შეფასების ინსტრუმენტად შემოთავაზებულია სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია. პედაგოგებმა, გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში, მოსწავლის მრავალმხრივი შეფასებისთვის, ქმნიან შეფასების სქემებს, სტანდარტთან მიმართებაში მოსწავლის მიღწევის ტაქსონომიის გამოყენებით, რომლის დასტურადაც სკოლას წარმოდგენილი აქვს სოლო ტაქსონომიის რუბრიკები. სასკოლო სასწავლო გეგმას თან ერთვის შეფასების სქემების დანართი, რომელიც მოსწავლის სხვადასხვა მიმართულებით შეფასებას ითვალისწინებს. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ შეეცდებიან შეფასება გამოიყენონ როგორც მოსწავლის ფსიქოლოგიური, სოციალური, კულტურული განვითარების ინსტრუმენტი, რომელიც დაანახებს მას ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს და არა მხოლოდ როგორც ფაქტობრივი ცოდნის ინსტრუმენტი. მასწავლებლებთან საუბარში გამოიკვეთა, რომ სამომავლო გამოწვევა არის სასწავლო პროცესში თემის ფარგლებში შედეგების ინდიკატორებზე მორგებული შეფასების რუბრიკების შექმნა- განვითარება და წარმატებული დანერგვა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში მოსწავლის შეფასებასების ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანიობის უზრუნველყოფის მიზნით წინასწარ შეიმუშავებს ცალკეული თემის ფარგლებში გრძელვადიან მიზანზე ორიენტირებულ შეფასების რუბრიკებს, რომლის შემუშავებაში მეტნაკლებად ჩართულია მოსწავლეებიც. კათედრებმა მტკიცებულების სახით წარმოადგინეს,

როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რამდენიმე რუბრიკა დაწყებით საფეხურზე. შეფასების რუბრიკებში ჩაშლილი კრიტერიუმები ასახავს მოსწავლეთა მიღწევებს, უნარებს, ორიენტირებულია გრძელვადიან მიზანზე. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ შეფასების რუბრიკები ცნობილია მოსწავლეთათვის და მშობლებისთვის ისე, რომ ისინი წინასწარ ინფორმირებულნი არიან თუ რა ფასდება და რა კრიტერიუმების გათვალისწინებით რაც ადასტურებს, შეფასების სისტემის გამჭვირვალობას. მასწავლებლებმა ისაუბრეს მიზანზე ორიენტირებული ვალიდური შეფასების ინსტრუმენტების შექმნის გამოცდილებაზე. დეტალურად ჩაშლილი კრიტერიუმები და თითოეული მათგანის შესაბამისი ქულის დაკონკრეტება შეფასების რუბრიკებს ხდის სანდო და ობიექტურს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5.გამოყენებული შეფასების სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. აღნიშნული რეგულაცია ხელს უწყობს იმის დადგენას, თუ რამდენად ასრულებს შეფასება მოსწავლის მხარდამჭერ ფუნქციას. სკოლაში შეფასების ვერიფიკაცია ხორციელდება გეგმიურად საგნობრივი კათედრის მიერ ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების ანალიზის დროს, ან სკოლის დირექციის ინიციატივით (წლიური გამოცდა, დიაგნოსტიკური წერების ჩატარება და მათი ანალიზი მიმდინარე შეფასებებთან), ან დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე, (მაგ. სემსტრული გამოცდის შემთხვევაში, როცა მიღებული შეფასება არადამაკმაყოფილებელია). შეფასების ვერიფიკაცია ეფუძნება ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპებს. ვერიფიკაციისთვის გამოიყენება სტატისტიკური შეფასების მეთოდი, რომელიც გულისხმობს სტატისტიკურ, საერთო შემაჯამებელ ანგარიშს და აჩვენებს მოსწავლის შეფასების თანამიმდევრულობასა და სწავლის დინამიკას. შეფასების ვერიფიკაციას ახორციელებენ, შესაბამისი საგნობრივი კათედრები (ურთიერთდასწრების, შეფასების რუბრიკების შემუშავების, შემაჯამებელი დავალების ანალიზის დროს); დირექტორის მიერ შექმნილი კომისია (მაგ. სემესტრული გამოცდების ჩატარების მიზნით შექმნილი კომისია); ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, მასწავლებლის საქმიანობის დაკვირვების დროს (საგაკვეთილო პროცესზე დასწრება/კომპეტენციების შემოწმება). ვერიფიკაციის მექანიზმით განსაზღვრულია, მიღებული შედეგების განზოგადება, რომელიც გულისხმობს შეფასების მიმართულებით გამოვლენილი პრობლემების ანალიზსა და გაუმჯობესებას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6.სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სკოლა აღრიცხავს შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებს და შეგროვებული დოკუმენტაცია გადაეცემა ადმინისტრაციას, შენახვისა და შემდგომი გამოყენების მიზნით. სასკოლო სასწავლო

გეგმაში ასახული აქვს, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, სადაც დეტალურად არის ასახული სკოლის მმართველობითი საქმიანობის დოკუმენტირების, დოკუმენტბრუნვის, დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზებისა და დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის მოსამზადებლად. ასევე, რადგან სკოლა იყენებს შეფასების ელექტრონულ სისტემას, ეს მონაცემების შენახვის საშუალებას იძლევა გრძელვადიანი პერსპექტივით. სკოლას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი რომელშიც ზოგადად არის განსაზღვრული ვერიფიკაციის მიზანი, პროცესში ჩართული პირები, შეფასების პროცესის ვერიფიკაცია, შეფასების ინსტრუმენტებისა და შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ არსებული პრაქტიკა სკოლაში მოიცავს შემაჯამებელი დავალებების განხილვასა და ანალიზს, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებას და უკუკავშირებს, კათედრის სხდომებსა და პედ საბჭოზე ანგარიშების წარდგენასა და ანალიზს. სამომავლოდ იგეგმება ვერიფიკაციის შემუშავებული მექანიზმის დანერგვა.**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

7. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სკოლა აღრიცხავს შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებს და შეგროვებული დოკუმენტაცია გადაეცემა ადმინისტრაციას, შენახვისა და შემდგომი გამოყენების მიზნით. სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახული აქვს, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, სადაც დეტალურად არის ასახული სკოლის მმართველობითი საქმიანობის დოკუმენტირების, დოკუმენტბრუნვის, დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზებისა და დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის მოსამზადებლად. ასევე, რადგან სკოლა იყენებს შეფასების ელექტრონულ სისტემას, ეს მონაცემების შენახვის საშუალებას იძლევა გრძელვადიანი პერსპექტივით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024 წ.წ.
- ✓ საქმისწარმოების წესი 2023 წელი.
- ✓ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა.

- ✓ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
- ✓ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.
- ✓ დანართი N52 (ანგარიშის ფორმა);
- ✓ დანართი N53 (დაკვირვების შედეგების ანალიზის ფორმა).

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებისას გაირკვა, მხარდაჭერა გამოიხატება რამდენიმე ძირითადი მიმართულებით. მაგ; სკოლაში დაცულია მოსწავლის ყველა ფუნდამენტური უფლება, რასაც ადასტურებს მათ შორის სკოლის შინაგანაწესი. დაცულია მოსწავლეების არჩევანის უფლება, მაგ; მეორე უცხო ენის არჩევის, აგრეთვე არჩევითი საგნების დროს. მოსწავლეებისა და მშობლების მოთხოვნით სკოლაში ისწავლება მესამე უცხო ენა - გერმანული. სკოლა ყოველმხრივ ცდილობს მხარდაჭერა აღმოუჩინოს სსსმ და შშმ მოსწავლეებს. სკოლა მხარდაჭერას უქმნის დამწყებ მასწავლებლებს. სკოლის მასწავლებლებს შორის ჩვეული პრაქტიკაა ურთიერთდახმარება და თანამშრომლობა. სკოლაში მოსწავლეების საჭიროებების და ინტერესების მიხედვით ფუნქციონირებს არაფორმალური განათლების აქტივობები. მასწავლებლები აღნიშნავდნენ სკოლის დირექციის განსაკუთრებულ წვლილს სკოლაში პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნაში. მასწავლებლები ზრუნავენ პოზიტიური გარემოს შექმნაზე, სადაც ყველა მოსწავლეს აქვს საკუთარი მოსაზრების გამოთქმის საშუალება, თავისი ინტერესების მიხედვით მისთვის საინტერესო ღონისძიებებში მონაწილეობის

საშუალება, ინიციატივის გამოთქმის და განხორციელების საშუალება. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სასწავლო გეგმაში, ჩადებულია სასწავლო პროცესის ძირითადი მეთოდიკური ორიენტირები, რომლის მიხედვითაც მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა გულისხმობს ყველა მოსწავლის ინდივიდუალური, ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლების, შესაძლებლობების, ინტერესების, პირადი გამოცდილებისა და სწავლის სტილის გათვალისწინებას; აგრეთვე სასწავლო პროცესის პოზიტიურ და მოწესრიგებულ გარემოში წარმართვას, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოზიტიურ ურთიერთობებსა და ინტერაქციას, სადაც მოსწავლე არის დაფასებული, აღიარებული და მასწავლებელთან ერთად არის პასუხისმგებელი საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე.

კურიკულუმებში ჩაშენებული სასწავლო თემები, კონტექსტ-მაგალითები, კომპლექსური დავალების პირობები და განხორციელებისთვის საჭირო რესურსები, იძლევა იმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულად. საგნობრივი პროგრამები შემუშავებულია ინდივიდუალურად მასწავლებლის მიერ და შეესაბამება კონკრეტულ კლასს. მასწავლებელი თავად განსაზღვრავს სასწავლო თემებს, გეგმავს კომპლექსურ დავალებებს და არჩევს შესაბამის სასწავლო რესურსს, ასევე, სამიზნე ცნებებსა და დასათმობ დროს თითოეული თემისათვის. ზრუნავს თანასწორობის პრინციპებზე აგებული უსაფრთხო გარემოს შექმნაზე მოსწავლეებთან თანამშრომლობით; უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართვას სასწავლო პროცესში, ამისათვის კი იყენებს კლასის მართვის ეფექტიან სტრატეგიებს, ხელს უწყობს და ახალისებს თვითრეგულირებად ქცევას, მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას და ქმნის ეფექტურ გარემოს მოსწავლეთა პოტენციალის რეალიზებისთვის. კომპლექსური დავალებები კარგად უზრუნველყოფენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, სადაც წამყვანია მოსწავლის ავტონომიურობა, არჩევანი, წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია. პედაგოგები არჩევენ სასწავლო მეთოდებს, სწავლების ფორმებს, სტრატეგიებს, რომლებიც ერთი კონკრეტული ასაკის და შესაძლებლობების ბავშვებთან ურთიერთობისას სწავლების პროცესში ძალიან ეფექტიანია. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო თემის წევრებს შორის თანამშრომლობითი კულტურა და კომუნიკაციის შესაძლებლობა რაც გამოიხატება რამდენიმე მნიშვნელოვანი აქტივობის განხორციელებით. მაგ; სკოლის მასწავლებლების თანამშრომლობის გაზრდის მიზნით კათედრებს შედგენილი აქვთ ურთიერთდასწრების განრიგი. ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, გეგმავენ საერთო აქტივობებს. (მაგ; არაფორმალური განათლების აქტივობებს). როგორც მასწავლებლებთან საუბრისას გაირკვა, სკოლაში სამასწავლებლოს გარდა კიდევ არის სივრცე, სადაც მასწავლებლებს / მასწავლებელთა ჯგუფს შეუძლია გამართონ შეხვედრა მათთვის

საინტერესო საკითხებზე. კათედრის წევრები ერთობლივად შეიმუშავებენ სასკოლო კურიკულუმებს, რაც გულისხმობს როგორც კურიკულუმების ჩარჩოს შემუშავების, ისე კურიკულუმის განხორციელების პროცესში მასწავლებლების მიერ საკუთარი მოსაზრებების გაცვლას. აკვირდებიან მოსწავლეთა პროგრესს, უგზავნიან მშობლებს კომპლექსური დავალების ბარათებს და ისმენენ მათგან უკუკავშირს. განიხილავენ მოსწავლესთან აქტუალურ საკითხებს და მათი ინტერესების გათვალისწინებით არჩევენ კომპლექსური ბუნების დავალებებს. მოსწავლეებთან და მშობლებთან თანამშრომლობით ახორციელებენ სასწავლო პროექტებს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის თვითშეფასების ანგარიში, სასკოლო სასწავლო გეგმა მიუთითებს და მასწავლებლებთან გასაუბრებითაც ირკვევა, რომ სკოლა წარმოადგენს კეთილგანწყობილ დაწესებულებას, სასკოლო საზოგადოებისათვის. შექმნილია უსაფრთხო, მზრუნველი და მოწესრიგებული სასწავლო გარემო. როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა, სკოლაში მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, დირექციასთან და მშობლებთან, რათა უზრუნველყოფილი იყოს პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. სკოლაში არსებული პრაქტიკა ეფუძნება წარმატების აღიარებას კეთილგანწყობას. უზრუნველყოფილია განსხვავებული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების თანაბარი ჩართულობა. მოსწავლის ნებისმიერი მოსაზრება, იდეა, შეხედულება მისაღებია და მას აქვს შესაძლებლობა საკუთარი აზრის ღიად, თავისუფლად გამოხატვისა, ასევე თანამშრომლობა და გუნდურობა სკოლისა და კათედრის დონეზე უზრუნველყოფს პოზიტიურ კლიმატს როგორც კლასის, ისე სკოლის დონეზე. ბავშვები აქტიურად, ხალისით ერთვებიან სკოლის მიერ დაგეგმილ და განხორციელებულ მრავალფეროვან ფორმალურ და არაფორმალურ აქტივობებში.
ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასკვნის პროექტში ექსპერტთა მიერ დაფიქსირდა ხარვეზი: თოკის სასწავლო ფართზე დაწესებულებას არ აქვს საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორია და სპორტული დარბაზი.
დაწესებულებამ 2023 წლის 01 დეკემბრის # 1632884 კორესპოდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ მე-15 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. აღნიშნული გეგმის თანახმად, 28.11.2023-28.11.2024 პერიოდში უზრუნველყოფს აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრას. **ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15² მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე აღნიშნული კომპონენტი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.**

*ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (*28.11.2023-28.11.2024) *უზრუნველყოს თოკის სასწავლო ფართზე საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიის და სპორტული დარბაზის მოწყობის უზრუნველყოფა.*

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ✓ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- ✓ სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ✓ სკოლის ერთწლიანი სტრატეგიული გეგმა;
- ✓ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
- ✓ კომპლექსური დავალების ბარათები და მატრიცები;
- ✓ განხორციელებული კომპლექსური დავალებებისა და პროექტების დამადასტურებელი დოკუმენტები (ნაშრომები, ფოტოები);
- ✓ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში ჩანს, რომ კურიკულუმის შექმნა-დანერგვა ციკლური პროცესია, ხოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მონიტორინგი საშუალებას იძლევა შეგროვდეს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს კურიკულუმის განხორციელების პროცესი. სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავების პროცესს ემთხვევა. მთელი წლის განმავლობაში პედაგოგები სწავლობენ დანერგვის პროცესს (აგროვებენ მონაცემებს; აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე; პრობლემების გადასაჭრელად განიხილავენ ამა თუ იმ ინოვაციის დანერგვის პერსპექტივას), ამ გამოცდილების საფუძველზე კი სასწავლო წლის დასრულებისთანავე იწყებენ მუშაობას მომდევნო წლის სასწავლო გეგმაზე.
კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგის ინსტრუმენტებად, სასკოლო სასწავლო გეგმაში, სხვადასხვა საგნობრივ ჯგუფში, გათვალისწინებულია და სადიაგნოსტიკო წერა (მიმდინარე 2023-2024 სასწავლო წელს -ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ინგლისური ენა), რომლებიც მიზნად ისახავს ცოდნის დონის დიაგნოსტირებას, პრობლემის აღმოჩენასა და გასაუმჯობესებელი გზების ძიებას.
კურიკულუმის დანრეგვის მონიტორინგი და შეფასება ასევე ხორცილდება ხარისხის მხარდამჭერი ჯგუფისა და კათედრის წევრების გაკვეთილებზე დასწრების გზით. წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და სკოლაში არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმის განვითარების

მეთოდოლოგიისა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სხვა დოკუმენტების საფუძველზე. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სკოლას გააზრებული აქვს, მონიტორინგისა და შეფასების როლი, იმ გამოწვევების დაძლევაში, რომელსაც აწყდებიან კურიკულუმის დანერგვისა თუ განხორციელების პროცესში. სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის მხარდამჭერი ჯგუფი, რომელიც ახორციელებ სასწავლო პროცესის შიდა მონიტორინგს. მათი მუშაობის პროცესი მიმდინარეობს შემუშავებული დებულების შესაბამისად, სასკოლო საზოგადოების განვითარებისა და მხარდაჭერისთვის. ხარისხის განვითარების ჯგუფი აკვირდება საგაკვეთილო პროცესებს, აფასებს და აძლევს მასწავლებელს განმავითარებელ უკუკავშირს. როგორც ვიზიტის დროს აღინიშნა, პედაგოგები, კათედრის ფარგლებშიც ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ ერთმანეთს კონსტრუქციულ უკუკავშირსა და რეკომენდაციებს. მონიტორინგის შედეგები გამოიყენება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერისა და განვითარებისათვის. პედაგოგები თანამშრომლობენ უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას. როგორც მასწავლებლებთან შეხვედრაზე გამოიკვეთა რადგანაც პირველ ეტაპზე სასწავლო პროცესის დაკვირვების მთავარი კომპონენტი იქნება კომპლექსური დავალებები, სკოლას შემუშავებული აქვს კომპლექსური დავალების განხორციელების შეფასების რუბრიკა, სადაც გამოკვეთილია ის მთავარი აქცენტები, რაზეც ყურადღება გამახვილდება. დოკუმენტიდან ირკვევა, რომ აქცენტები სწორად არის დასმული და მიემართება მოსწავლის მხრიდან კომპლექსური დავალების პირობის გააზრებაზე, სასწავლო პროცესში ჩართულობის ხარისხზე, საკითხის მრავალფეროვნად გაშუქებაზე და ა.შ. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ექსპერტთა რჩევაა, კიდევ უფრო გაიზარდოს კონტექსტების მიმართულებები (მშობლების როლი, არაფორმალური განათლების როლი ...), ასევე სასურველია შემუშავდეს უფრო დაკონკრეტებული მოქმედებების პაკეტი, სადაც მითითებული იქნება სასწავლო პროცესის შეფასების პროცედურები, მათ შორის, მრავალი კონტექსტის გათვალისწინების კომპონენტი (მაგ; მოსწავლის ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარების შესაფასებლად გათვალისწინებული იქნება, შესრულებული საშინაო დავალებები, მოსწავლეთა ჩართულობა არაფორმალურ განათლებაში, კლასგარეშე აქტივობებში მონაწილეობა). ეს შეიძლება დაემატოს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტსაც, ან გამოიცეს ცალკე დოკუმენტად (მაგ; მცირე ზომის ბუკლეტი სასწავლო პროცესის შეფასების მეთოდოლოგიაზე).

3. კურიკულუმის განვითარებისა მეთოდოლოგიით, ასევე სასკოლო სასწავლო გეგმითა და ხარისხის მხარდამჭერი ჯგუფის ფარგლებში გათვალისწინებული მონიტორინგის მიზანი, სასწავლო პროცესში სუსტი მხარეების გამოვლენა, შემდეგ კი მათი მოგვარების გზის ძიება წარმოადგენს. ხარისხის განვითარების ჯგუფი აკვირდება მასწავლებლის საქმიანობას და აძლევს მას განმავითარებელ უკუკავშირს. სხვადასხვა საგნობრივ ჯგუფში ტარდება სადიაგნოსტიკო წერა. პედაგოგები ურთიერთდასწრების შედეგად აფასებენ ერთმანეთის გაკვეთილებს და აძლევენ უკუკავშირს. სკოლაში დამკვიდრებული მონიტორინგისა და შეფასების პრაქტიკა, იძლევა საშუალებას შემუშავდეს კურიკულუმის დანერგვასთან დაკავშირებული რეკომენდაციები, რომლებიც გამოვლენილი გამოწვევების დაძლევის გზას წარმოადგენს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ✓ ხარისხის ჯგუფის შექმნის ბრძანება;
- ✓ დანართი N52 (ანგარიშის ფორმა);
- ✓ დანართი N53 (დაკვირვების შედეგების ანალიზის ფორმა).

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.როგორც წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმიდან, საგნობრივი კურიკულუმებიდან, სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიიდან, სკოლის თვითშეფასების დოკუმენტიდან და მასწავლებლების მიერ გაზიარებული გამოცდილებით დასტურდება, სკოლაში შეფასება დაფუძნებულია კონსტრუქტივისტულ მიდგომებზე, რომლის მიზანია, როგორც მოსწავლის ცოდნის დონის დადგენა, ისე მისი დახმარება საკუთარი სწავლის გაუმჯობესებაში. ამ მიზნით მოსწავლეთა შეფასებისთვის იყენებენ მრავალფეროვან წყაროებს: სასწავლო პროცესზე დაკვირვება, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტები, სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული წლიური გამოცდების, დიაგნოსტიკური წერის, სემესტრული გამოცდის ჩატარება და ა.შ. სკოლამ წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომელთა დახმარებითაც ხდება კომპლექსური დავალების შეფასება. მოსწავლის ჰოლისტური შეფასებისთვის, აქტიურად არის გამოყენებული სტანდარდთან მიმართებაში მოსწავლის დონის დადგენის ტაქსონომია. მოსწავლის აკადემიური მოსწრების დინამიკაზე დაკვირვებისთვის, წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმაზე თანდართული, შეფასების მრავალფეროვანი სქემები: კომპლექსური დავალების, ზეპირმეტყველების, წერითი და შემაჯამებელი დავალების, პროექტის და სხვა აქტივობის შეფასებისთვის. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ სკოლა მოსწავლეთა შეფასებას ახორციელებს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. სკოლა, მოსწავლის შეფასებაში, პრიორიტეტს ანიჭებს კომპლექსურ, ცხოვრებისეული კონტექსტების მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ. კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებები ასევე უზრუნველყოფენ კონსტრუქტივისტულ პრინციპების, ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის შეძენის, გამჭოლი უნარების, ღირებულებების და გლობალური ფუნქციური უნარების გათვალისწინებას. ამ მიზნით, სკოლა იყენებს კომპლექსური დავალების, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს. სასკოლო სასწავლო გეგმის დანართის სახით, წარმოდგენილია რუბრიკები მოსწავლის სხვადასხვა სასწავლო კონტექსტში შეფებისთვის, როგორიცაა: ინფორმაციის მოძიება, პრეზენტაცია, ზეპირმეტყველება, პროექტის, ზოგადი განმავითარებელი შეფასების რუბრიკა და სხვა **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სასკოლო სასწავლო გეგმა, სასწავლო პროცესის შეფასებისთვის, მონაცემების შეგროვების მეთოდად ითვალისწინებს შემაჯამებელი დავალებების ანალიზს, კათედრების დონეზე, წინასწარ დამტკიცებული ფორმით; მოსწავლეების შედეგების

დიაგნოსტირებას, ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, და წლიურ გამოცდებს. შეფასების ვერიფიკაციის ინსტრუმენტების მიხედვით, ინფორმაციის შეგროვებისა და გაანალიზებისთვის სკოლა იყენებს სტატისტიკური შეფასების მეთოდს. მათემატიკური აპარატის გამოყენება შეფასების სისტემის გადამოწმებაში გულისხმობს სტატისტიკურ ანალიზს, საერთო შემაჯამებელ ანგარიშს, რაც სტატისტიკურად გვიჩვენებს რამდენად თანმიმდევრულია მოსწავლეთა შეფასება, მათი სწავლის დინამიკა და რამდენად ექვემდებარება ის ახსნას; რამდენად არის მიღწეული სტანდარტის შედეგები. გამოიყენება ცენტრალური ტენდენციის საშუალებები: ქულები საშუალო მაჩვენებელი, საჭიროების შემთხვევაში მოდა. სკოლა თავის თვითშეფასების ანგარიშში მიუთითებს, რომ სასწავლო პროცესის შეფასებისას იყენებს მონაცემთა შეგროვების რამდენიმე მეთოდს, კერძოდ კითხვარებს, ინტერვიუს და გასაუბრებას. წარმოდგენილი მასალებიდან და გასაუბრებიდან ირკვევა, რომ შეფასება წარიმართება საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების, განხორციელებული კომპლექსური დავალებების, სადიაგნოსტიკო წერის, წლიური გამოცდის და სხვადასხვა აქტივობებში მოსწავლეთა მონაწილეობის გათვალისწინებით; მასწავლებლები იზიარებენ სასწავლო პროცესის შეფასებისას მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდების აუცილებლობას. ინფორმაციის მოპოვებისთვის გამოიყენებენ რაოდენობრივ და თვისებრივ მეთოდებს, როგორც მოწოდებული დოკუმენტებიდან ირკვევა სკოლა უპირატესობას ანიჭებს ინფორმაციის მოგროვების ელექტრონულ საშუალებებს სპეციალური აპლიკაციების მეშვეობით. მოწოდებულ რესურსებში გაზიარებულია სკოლის მიერ შექმნილი გამოკითხვის ფორმები GOOGLE FORMS-ში, სკოლა ასევე გამოიყენებს MICROSOFT FORMS-საც. ამ მეთოდების გამოყენებით მუშავდება მონაცემები, რომლებიც მოიპოვება სკოლის მოსწავლეებისგან, მშობლებისგან, სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებისგან. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ექსპერტთა რჩევაა, კიდევ უფრო გამრავალფეროვნდეს სასწავლო პროცესში გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტები (მაგ; გამოყენებულ იქნას ანკეტირება, გამოკითხვა, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი და სხვა).

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებით, სასკოლო სასწავლო გეგმით, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიით, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ შეფასება ხორციელდება საშინაო დავალების, საკლასო დავალების, კომპლექსური დავალებისა და შემაჯამებელი სამუშაოს შესრულების საფუძველზე. სკოლა შეფასებისას ეყრდნობა, როგორც მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, ასევე მათ პიროვნულ მახასიათებლებს, ინდივიდუალურ საჭიროებებსა და სოციალურ ფაქტორებს. ინტერვიუზე მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასების რუბრიკები საგანში ის ეფექტური ინსტრუმენტებია, რომელიც გამოიყენება როგორც მოსწავლეების ნამუშევრის, ასევე მუშაობის პროცესის შეფასების მიზნით. სწორედ

ასეთი რუბრიკის გამოყენება იძლევა ისეთი სამუშაოს შეფასების საშუალებას, როგორიცაა მოსწავლეების მიერ წარმოდგენილი პრეზენტაციები, წერითი ნამუშევრები და კომპლექსური დავალებების დაძლევის ხარისხი. ვიზიტის დროს, ცხადი გახდა, რომ სკოლა იმგვარად არის ინტეგრირებული საკუთარ თემთან, რომ მათთვის ცნობილია ის ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ სკოლის მოსწავლეებზე: ოჯახი, მეზობლები, მეგობრები, თანაკლასელები და სხვა. ამ ფაქტორების ერთობლიობას ეყრდნობიან მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავების დროს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ✓ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- ✓ შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმები
- ✓ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
- ✓ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- ✓ სოლო ტაქსონომიის რუბრიკები;
- ✓ დანართი N52 (ანგარიშის ფორმა);
- ✓ დანართი N53 (დაკვირვების შედეგების ანალიზის ფორმა).

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს კურიკულუმის გადასინჯვის და რევიზიის აუცილებლობას. ამ დოკუმენტის მიხედვით მთელი წლის განმავლობაში პედაგოგები სწავლობენ დანერგვის პროცესს (აგროვებენ მონაცემებს; აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე; პრობლემების გადასაჭრელად განიხილავენ ამა თუ იმ ინოვაციის დანერგვის პერსპექტივას), ამ გამოცდილების საფუძველზე კი სასწავლო წლის დასრულებისთანავე იწყებენ მუშაობას მომდევნო წლის სასწავლო გეგმაზე. ესაზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მასწავლებლები იზიარებენ მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ აუცილებელია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის შემდგომი ღონისძიებების განხორციელება, როგორც კათედრის მასწავლებლებთან შეხვედრაზე გამოიკვეთა სკოლას ამ მიმართულებით უკვე აქვს განხორციელებული გარკვეული ღონისძიებები (მაგ; წინარე გამოცდილების საფუძველზე დაგეგმილი საქმიანობის მოდიფიცირება), ხოლო დაგროვილი გამოცდილების ანალიზის შემდეგ კიდევ დამატებით განახორციელებს სხვა ღონისძიებებსაც. მაგ; სკოლას მოაზრებული აქვს გარკვეული ღონისძიებები (მაგ; თემატური მატრიცების ანალიზის საფუძველზე სასკოლო კურიკულუმის განახლება). **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ ახალი სასწავლო წლისთვის, კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება. სკოლა ვალდებულია ყოველწლიურად განაახლოს დოკუმენტი წინა წლის მონაცემების ანალიზის საფუძველზე. ვიზიტის დროს აღინიშნა, რომ კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში ასევე გათვალისწინებული იქნება გაკვეთილზე დაკვირვების შედეგად გამოვლენილი მიგნებები. მასწავლებლები იზიარებენ მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ კურიკულუმის ყოველი

გადამუშავებული ვერსია უნდა დაეფუძნოს წინარე გამოცდილებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი ხედვის შესაბამისად ყოველი ახალი სასწავლო წლის კურიკულუმი გაითვალისწინებს წინა წლების გამოცდილებას, ყურადღება გამახვილდება საფეხურებრივ თავისებურებებზე. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ პროცესები წარიმართება ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით საგნობრივ კათედრებზე წევრთა შორის გამოცდილების გაზიარებით, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრით და პრობლემების გადაჭრის გზების ძიებით, სხვა საგნობრივ კათედრებთან კოორდინირებული მუშაობის გზით. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა დადებით გამოცდილებას, რომელსაც დაეფუძნება ახალი მიზნები. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- ხარისხის ჯგუფის შექმნის ბრძანება;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი(საბაზო საფეხური)

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **<u>საბაზო საფეხური</u>**	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სსიპ დაბა ასპინძის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტით დარეგულირებული, კურიკულუმის შემუშავების პროცესი, წარმოადგენს იმ მექანიზმს, რომელიც სასკოლო საზოგადოების ინტერესების კურიკულუმში ასახვის შესაძლებლობას იძლევა. დოკუმენტის რეგულაცია ითვალისწინებს კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების, გადასინჯვისა და რევიზიის უწყვეტ ფაზებს. მეთოდოლოგიის მიხედვით, თითოეული ეტაპი სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით ხორციელდება, ვინაიდან მასში მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები და დირექცია. სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესი იწყება წინა წლის კურიკულუმის დანერგვის პარალელურად; მისი (ე.ი. წინა წლის კურიკულუმის) განხორციელების პროცესის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე. კურიკულუმს, საგნობრივი კათედრის დონეზე, გეგმავს კონკრეტული მასწავლებელი, რომელიც სწავლა-სწავლების პროცესში ვალდებულია აქტუალური და პრობლემური საკითხები

განიხილოს მოსწავლესა და მშობელთან, რათა უზრუნველყოს მათი ინტერესების კურიკულუმში ასახვა. მშობელთა ჩართულობის მექანიზმებად სკოლას ასევე მოაზრებული აქვს კომპლექსური დავალების ბარათები, რომლებსაც გაუგზავნის მშობლებს; მშობელთა ინფორმირებისათვის გამოიყენება კლასის ჩათები; იგეგმება კურუკულუმის ატვირთვა ვებ გვერდზე. კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია კათედრის თავმჯდომარის, დირექტორისა და მისი მოადგილის როლი. კათედრის თავმჯდომარე აგროვებს წევრების მიერ გამოგზავნილ მასალებს; დირექციას აწვდის შეთანხმებული ინსტრუმენტების საფუძველზე მომზადებულ მასალებს, რომლებიც სასწავლო პროცესის (მოსწავლეების მიღწევები, მასწავლებლების წინაშე არსებული გამოწვევები) შესახებ შეიცავს ინფორმაციას; სკოლის დირექცია კი უზრუნველყოფს კათედრის ხელმძღვანელების მიერ მიწოდებული ინფორმაციის გამთლიანებას და ფასილიტაციას უწევს კურიკულუმის შემუშავების პროცესს. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებაში მასწავლებლის, კათედრის, დირექციის, მოსწავლისა და მშობლის ჩართულობა სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ექსპერტთა რჩევაა, პედაგოგებმა კურიკულუმში (კონკრეტულად მუსიკის მეშვიდე კლასის კურიკულუმში) ცნებებთან ერთად მიუთითონ მითითებული ქვეცნებები.

2.სკოლის მიერ წარმოდგენილი, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ფართო წარმომადგენლობის ინტერესების კურიკულუმში ასახვას, ვინაიდან, შემუშავების პროცესში, მასწავლებელთან ერთად, ჩართულია კათედრა, დირექცია, მოსწავლე და მშობელი. მეთოდოლოგიის მიხედვით, მასწავლებლის პრიორიტეტები იმგვარად არის ასახული, რომ კურიკულუმი მის მიერ არის შემუშავებული. მასწავლებელი არჩევს კურიკულუმში სამიზნე ცნებებს, თემატურ ბლოკებს, კომპლექსურ დავალებებსა და რესურსებს. მოსწავლისა და მშობლების ინტერესები გათვალისწინებულია, ვინაიდან მასწავლებელი მათთან ერთად განიხილავს აქტუალურ საკითხებს; დირექციის შეხედულებები გათვალისწინებულია და გამოკვეთილი მისი როგორც ფასილიტატორის ფუნქცია. როგორც ვიზიტის დროს აღნიშნეს, მშობლების ინტერესების ასახვის მიზნით, მასწავლებლები მათ კომპლექსური დავალების ბარათებს უგზავნიან, რთავენ სხვადასხვა პროექტის განხორციელებაში. მეორე უცხო ენები მშობელთა აქტიური მონაწილეობით შეირჩა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3.კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში, გაწერილია მასწავლებლების, კათედრებისა და, დირექციის წვლილი კურიკულუმის შემუშავების პროცესში. ამ დოკუმენტის თანახმად, კურიკულუმის დაგეგმვისას ასევე გათვალისწინებულია მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა. კურიკულუმის შემუშავება სასკოლო საზოგადოების მიერ,

კანონმდებლობითაც არის უზრუნველყოფილი. ცალკეულ კურიკულუმს, რომელიც წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის განუყოფელ ნაწილს, შეიმუშავებენ საგნობრივი კათედრები, შემდეგ, დირექციის ჩართულობით, სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით, მას ამტკიცებს პედაგოგიურ საბჭო. აქედან გამომდინარე, კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.ვიზიტის დროს, კათედრებთან გასაუბრებისას, ასევე გამოჩნდა, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, კერძოდ, მასწავლებელთა მხრიდან. მათ შეავსეს სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოები, განსაზღვრეს ახალი სასწავლო წლისთვის დასანერგი კომპლექსური დავალებები, ცნებები, კონტექსტ- მაგალითები, რესურსები, მაგალითები შედარებისთვის. საგნის მასწავლებლის მხრიდან დაგეგმვის პროცესი ეყრდნობა თვითრეფლექსიას, ასევე მოსწავლეებისგან და მშობლებისგან მიღებულ უკუკავშირს. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ მოსწავლის ინტერესის შესაბამისად კომპლექსური დავალებების განსაზღვრის პრაქტიკა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლას აქვს კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოების წევრებთან. მშობლებთან კომუნიკაციაში მთავარ როლს ასრულებენ დამრიგებლები, რომლებიც სხვადასხვა ფორმით აწვდიან ყველა აუცილებელ ინფორმაციას მშობლებს. სკოლის ყველა მნიშვნელოვანი დოკუმენტი (სასკოლო - სასწავლო გეგმა, შინაგანაწესი, საგნობრივი პროგრამები, სადამრიგებლო საათის პროგრამა, არაფორმალური სწავლების სხვადასხვა აქტივობები და სხვ.) ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრისთის. პროცესი არის გამჭირვალე და საჯარო, კურიკულუმები ხელმისაწვდომია დაინტერესებული საზოგადოებისთვის. საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები მიწოდებულია სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული პირისთვის. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
- ✓ სკოლის ვებგვერდი;
- ✓ 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ✓ საგნობრივი კურიკულუმები საბაზო საფეხურზე.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ წარმოდგენილი, საბაზო საფეხურის, კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რადგან ისინი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალიწინებულ მოთხოვნებს და სტანდარტით შემოთავაზებული კომპონენტების საშუალებით აღწერს გზას, რომელიც მოსწავლემ სწავლა-სწავლებაში უნდა გაიაროს. კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში ორიენტირება ხდება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, წარმოდგენილია, თემატური ბლოკების მიხედვით თემები, თემებთან დაკავშირებული საკითხი; გამოყოფილია სამიზნე ცენებები და ის ქვეცნებები, რომელებიც მუშავდება საკითხთან და თემასთან მიმართებით. წინასწარაა გაწერილი კომპლექსური დავალებები. სასწავლო თემები, სტანდარტის შესაბამისად, ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებსა და ასაკობრივ თავისებურებებს (მაგ: სკოლა, მეგობრები, ყოველდღიური ცხოვრება, დღესასწაულები, ჯანმრთელობა, მოგზაურობა, ქალაქები, ცხოველთა და ფრინველთა სამყარო, ფილმები, მუსიკა, ჯანმრთელი კვება, მოზარდების პრობლემები, ურთიერთობა მშობლებთან, სკოლის გარემო, ბულინგი, მოდა, ტანსაცმელი, გარეგნობა, სპორტი, მოგზაურობა, პროფესიები, სამსახურები, ცნობილი ადამიანები, გარემოსდაცვითი პრობლემები: ბუნებრივი კატასტროფები, დაბინძურება, საფრთხის ქვეშ მყოფი ცხოველები, ნარჩენების გადამუშავება, და სხვა).

სასწავლო პროცესი დაგეგმილია კომპლექსური ტიპის დავალებებით, რაც თავისთავად გულისხმობს ცოდნის აგებას, ზოგადად, კონსტრუქტივისტული მიდგომის დანერგვას სასწავლო პროცესში და მოსწავლეს სწავლის პროცესის ცენტრალური ფიგურად აქცევს. კომპლექსური დავალების ფარგლებში, გათვალისწინებულია სხვადასხვა ტიპის პროდუქტის შექმნა (პოსტერი, მეგობრული წერილი, დიალოგი, საგაზეთო სტატია, ბლოგი, პრეზენტაცია და სხვა), რომელიც მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურებას უწყობს ხელს. სკოლა გეგმავს დაინერგოს სწავლების პროცესი რომელიც გულისხმობს მუშაობას კომპლექსური დავალებიდან კომპლექსურ დავალებამდე. გარდა ამისა სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციები. გაწერილი და წარმოდგენილი აქვთ სსსმ მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები). როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს კათედრები ახორციელებენს მათ შორის არაფორმალური განათლების ისეთ აქტივობებს, რომლებიც მოსწავლეს განუვითარებს გლობალურ უნარებს (მაგ; გასული სასწავლო წლის დასაწყისში 27 სექტემბერს განხორციელდა სასკოლო ღონისძიება-თემაზე ,, სოხუმის დაცემა'', სადაც მონაწილეობას იღებდნენ დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები, ღონისძიების ორგანიზატორი იყვნენ ისტორიის და მოქალაქეობის პედაგოგები, ყავდათ მოწვეული სტუმრები. პირველ სართულზე ჰქონდათ საგამოფენო სივრცე მოწყობილი სადაც იყო მოსწავლეების ნამუშევარი გამოფენილი თემაზე-,,ჩვენი თვალით დანახული აფხაზეთი" და ,,ჩვენ დავბრუნდებით აფხაზეთში").

ამასთანავე სკოლაში მოქმედი კლუბები და მათში ჩართულობა მოსწავლეებს უვითარებს სხვადასხვა უნარებს, როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა, ხასიათი/ნებელობა და მოქალაქეობა. გასაუბრების დროს მასწავლებლებმა დაწვრილებით ისაუბრეს ამ მიმართულებით მიღწეულ წარმატებებზე. აღსანიშნავია, რომ არაფორმალური კუთხით დაგეგმილი აქტივობები მნიშვნელოვნად უკავშირდება საგაკვეთილო პროცესში დაგეგმილ აქტივობებს და ინტეგრირდება კურიკულუმთან. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. წარმოდგენილი კურიკულუმის ანალიზი და მასწავლებლებთან ინტერვიუ ადასტურებს, რომ კათედრები ორიენტირებულია დიფერენცირებული სწავლა სწავლების ძირითად პრინციპებზე. შუალედური სასწავლო მიზნის მიღწევის ინსტრუმენტად იყენებენ კომპლექსურ დავალებებს, რომლებიც საშუალებას აძლევს მასწავლებელს გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები, საჭიროებები და შესაბამისი დავალება შესთავაზოს მათ, ცალკეული მოსწავლეებისთვის კი ამ დავალების

ადაპტირებული ვერსია მოამზადოს. მასწავლებლები სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ სხვადასხვა შინაარსის და სირთულის დავალებებს. გამოყენებული დავალებების პირობები, მოსწავლეებს აძლევს საშუალებას საბოლოო პროდუქტი იყოს მრავალფეროვანი მათი სურვილის შესაბამისად. გარდა ამისა სკოლამ მტკიცებულებებში წარმოადგინა სსსმ მოსწავლისთვის შემუშავებული ინდ. სასწავლო გეგმა, რაც აღნიშნული მიმართულებით კათედრების გამოცდილებაზე მითიუთებს. სკოლა გეგმავს დანერგოს სადიაგნოსტიკო შეფასება. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლაში გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება, რომლებიც ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმაში აღწერილ შეფასების პრინციპებს. საბაზო საფეხურზე სკოლა იყენებს როგორც განმვითარებელ, ისე განმსაზღვრელ შეფასებებს. სკოლა აქვს მზაობა, რომ შეფასება აწარმოონ მკაფიოდ გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ რუბრიკებზე დაფუძნებით, საგნობრივ სტანდარტებთან მიმართებაში, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. სკოლას წარმოდგენილი აქვს კომპლექსური დავალების განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ზოგადი რუბრიკები, რომელშიც კარგად არის გაწერილი კავშირები გრძელვადიან მიზნებს (უცხო ენის მაგალითზე - ჟანრი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები, კულტურათა დიალოგი), მკვიდრ წარმოდგენებსა, და შეფასების კრიტერიუმებს შორის. კათედრა იყენებს სტანდარტთან მიმართებაში მოსწავლის მიღწევის დონის ტაქსონომიას (სოლო ტაქსონომია). სკოლას გადმოგზავნილი აქვს ნიმუში, გერმანული ენის, მეცხრე კლასის მაგალითზე, რომელშიც შეფასებულია წერითი დავალება (წერილი მეგობარს). რუბრიკაში აღწერილია კონკრეტული დონის შესაბამისი კრიტერიუმები, რომლებიც მოსწავლემ უნდა დააკმაყოფილოს. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების კომენტარების შინაარსებში, იკითხება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ძირითადი მეთოდიკური ორიენტირები, რაც მოსწავლეს შესაძლებლობას აძლევს გაიაზროს მასალის შესწავლის ხელშემწყობი ფაქტორები და საკუთარი შესაძლებლობები.**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის - კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, სასკოლო კურიკულუმი იგეგმება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, კურიკულუმის განახლება კი ხდება ყოველწლიურად, მთელი წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე. წინა წლის გამოცდილებაზე დაყრდნობით კურიკულუმში შეაქვთ სასწავლო საკითხები და შუალედური მიზნები. ვიზიტის დროს, პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში, ანალიზს უკეთებენ წინა წლის კურიკულუმებს და ამის საფუძველზე დგება ახალი კურიკულუმი. ისინი მოსწავლეთა ინტერესების, წინარე ცოდნისა და შესაძლებლობების საფუძველზე არჩევენ სასწავლო თემებსა და კომპლექსური დავალების პირობებს. მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის

დაგეგმვის პროცესში, ასევე გამოიყენება, სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული, სხვადასხვა საგანში ჩატარებული, წლიური გამოცდებისა და სადიაგნოსტიკო წერის შედეგად მიღებული მონაცემები, რომელიც წინარე გამოცდილების ანალიზის გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
- ✓ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმა (2023-2024 წწ)
- ✓ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- ✓ სოლო ტაქსონომიის რუბრიკები;
- ✓ ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობისას ჩანს, რომ სასკოლო კულტურა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებას აქტიური სწავლა-სწავლების საშუალებით. სასკოლო სასწავლო გეგმაში აღწერილი, დაწესებულების მისია-ხედვის მიხედვით, სკოლისთვის პრიორიტეტულია მოსწავლე ჩართული იყოს აქტიურ შემოქმედებით პროცესებში და არ იყოს პასიური მსმენელი. ვიზიტის დროს, გამოიკვეთა სკოლის საზოგადოების წევრების შორის შემოქმედებითი და თანამშრომლობითი გარემო.

საბაზო საფეხურის კურიკულუმში სწავლება ეფუძნება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რაც გულისხმობს იმას, რომ მოსწავლეს ეძლევა საშუალება, სასწავლო პროცესში გამოავლინოს ფიქრის, ძიების, მსჯელობის, აღმოჩენა-მიგნების, ჰიპოთეზების ჩამოყალიბების უნარები. მოსწავლეს უვითარდება თანამშრომლობითი სწავლის კულტურა, თავადაც
გასცემს და იღებს უკუკავშირს თანატოლებისთვის, ინაწილებს საერთო პასუხისმგებლობას.

კომპლექსური დავალების ფარგლებში, მოსწავლეებს მოეთხოვებათ სხვადასხვა ტიპის პროდუქტის შექმნა, როგორიცაა, მაგალითად, პოსტერი, მეგობრული წერილი, დიალოგი, საგაზეთო სტატია, ბლოგი, პრეზენტაცია და სხვა. კათედრებს გააჩნიათ კომპლექსური დავალებების სასწავლო პროცესში განხორციელების გამოცდილება. სკოლამ წარმოადგინა მე-8 კლასის მოსწავლეების მიერ დამზადებული ბუკლეტები „რომეო და ჯულიეტა“; მე-9 კლასის მოსწავლეებს შექმნილი აქვთ პოსტერები ბუნების დაბიძნურების თემაზე, კერძოდ, პლასტმასის ნარჩენების მავნე ზეგავლენის შესახებ. პოსტერზე ორიგინალური გზით, ნიმუშების სახით, დაკრული აქვთ ნივთები, რომლებსაც ხშირად ვხდებით ბუნებაში (პლასტმასის ბოთლები, ცელოფნის შეფუთვები

და სხვა) და აღწერილია თუ რამდენი წელი სჭირდება მათ დაშლას. ყურადღება გამახვილებულია ნარჩენების გადამუშავების მნიშვნელობაზე.

კურიკულუმის სასწავლო თემების, კომპლექსური დავალების პირობებისა და განხორციელებული პროექტების გაანალიზების საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურად ჩართვას შემოქმედებით სასწავლო პროცესში, შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესი მოაზრებულია სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპების მიხედვით, რომელიც გულისხმობს ახალი ცოდნის დაშენებას ძველ ცოდნაზე. საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც წარმოადგენენ მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების გზას, სწორედ მის წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით იქმნება. მასწავლებლებთან შეხვედრაზე სრულიად ნათლად გამოიკვეთა, რომ მათ კარგად აქვთ გააზრებული ეს მომენტი და იაზრებენ არსებულ გამოწვევებს ამ მიმართულებით (მათ შორის აღინიშნა პანდემიის პერიოდში წარმოშობილი სირთულეები, რომლებიც სადღეისოდ სწორედ წინარე ცოდნასთან დაკავშირებით ქმნის სირთულეებს). მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ ყოველმხრივ ცდილობენ ამ სირთულის მინიმიზებას თანმიმდევრული აქტივობების დაგეგმვით. დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ფორმალური და არაფორმალური განათლების სწორად შეხამებას, განსახილველი საკითხების მოსწავლის ნაცნობ კონტექსტებში განხილვას, ხოლო კომპლექსური დავალებების შერჩევისას მოსწავლის გამოცდილების გათვალისწინებას, როგორც საგნობრივი კონტექსტების მხრივ, ასევე მისი ცხოვრებისეული რეალიის მიხედვით. მოხდება მოსწავლისთვის ნაცნობი სიტუაციების შეთავაზება, რათა მას შეეძლოს ანალოგიის გაკეთება, რომ შექმნას საინტერესო პროდუქტი. (მაგ; 9 - კლასის ისტორიის კურიკულუმში მოცემული კომპლექსური დავალება - საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო“ - მოსწავლე ააქტიურებს წინარე უნარებს (რა ხდებოდა საქართველოს გარშემო დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, როგორ და რა ვითარებაში მოიპოვა საქართველომ დამოუკიდებლობა, გაავლებს პარალელებს როგორც საქართველოს ისტორიის რომელიმე ადრეულ პერიოდთან, აგრეთვე დღევანდელობასთან, გაიაზრებს გლობალური მოვლენების გავლენას საქართველოს სახელმწიფოს ისტორიულ განვითარებაზე). **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის თვითშეფასებაში აღნიშნულია და ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა, რომ ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში კათედრები აქტიურად იყენებენ კომპლექსური დავალებებით მუშაობას, ეს არის ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების ერთობლიობა, რომელიც გულისხმობს საკუთარი სასწავლო საქმიანობის დაგეგმვასა და ორგანიზებას,

სწავლის, კვლევისა და ინფორმაციის მოძიების სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებას, რეფლექსიას განხორციელებული საქმიანობისას, პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების ანალიზს რაც თავის თავში მოიცავს სწავლის სწავლას. ამ მიმართულებით ასევე მნიშვნელოვანია ისიც,რომ სკოლა იყენებს შეფასების ისეთ მექანიზმებს, როგორიცაა მოსწავლეთა თვითშეფასება და თანატოლთა შეფასება. მეტაკოგნიტური უნარების განვითარებისთვის, საბაზო საფეხურის, კურიკულუმებში შეთავაზებულია ისეთი აქტივობები და დავალებები, რომლებმაც მოსწავლეები უნდა დააფიქროს სწავლის პროცესზე და წაახალისოს მეტაკოგნიცია. ეს უზრუნველყოფს, რომ სწავლის პროცესში აქცენტი გაკეთდეს სწავლის სწავლაზე. კომპლექსური დავალებების მრავალფეროვანი არჩევანი საშუალებას იძლევა, დავალების შესრულების სხვადასხვა ეტაპებზე, მოსწავლეებმა განსხვავებული მეთოდი და სტრატეგია გამოიყენონ და თვითონ დაგეგმონ სასწავლო პროცესი. აქცენტები კეთდება ისეთი რესურსების გამოყენებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ- ჩვევების გამომუშავებას.

სასკოლო კურიკულუმში სასწავლო პროცესი დაფუძნებულია კომპლექსური ტიპის დავალებებზე, რომელიც თავისი არსიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სწავლის სწავლას. კომპლექსური დავალების მოსამზადებელი აქტივობები და მისი წარდგენის ეტაპი გულისხმობს იმის გაანალიზებას მოსწავლის მხრიდან, თუ რა სტრატეგიები გამოიყენა დავალების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. მოსწავლეები პასუხობენ საკვანძო შეკითხვებს: რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ, სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, როგორ გაუმკლავდა ხელისშემშლელ ფაქტორებს და სხვა, რომელიც ხელს უწყობს მათ გააკეთონ რეფლექსია დავალებაზე მუშაობის პროცესში. მოსწავლეები ასევე ავსებენ თვითშეფასების რუბრიკებს. შესაბამისად აქცენტი კეთდება მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამი კატეგორიის გათვალისწინებით. როგორც წარმოდგენილი მასალიდან ირკვევა და გასაუბრების დროს გამოიკვეთა, მასწავლებლებს სწორად აქვთ გააზრებული ცოდნის სამი კატეგორია და მოიყვანეს შესაბამისი მაგალითები. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ ცოდნის სამი კატეგორიის გააქტიურება ყოველდღიური სასწავლო პროცესის შემადგენელი ნაწილია. კათედრები მიიჩნევენ, რომ ცოდნის სამი კატეგორიის გათვალისწინების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება არის კომპლექსური დავალებების განხორციელება, გასულ სასწავლო წელს საგნებში შესრულდა კომპლექსური დავალებები, მომავალ სასწავლო წელს დაგეგმილია კომპლექსური დავალებების რაოდენობრივად გაზრდა და გამრავალფეროვნება. მასწავლებლებთან შეხვედრისას ყურადღება გამახვილდა კომპლექსურ დავალებაზე, რომლის განხორციელების დროს სასწავლო პროცესი ორიენტირებული იყო ცოდნის სამი კატეგორიის გათვალისწინებით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმში განსაზღვრულია კომპლექსური დავალებების იდეები, იგეგმება დავალებების პირობის სრულყოფა ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ასპინძის საჯარო სკოლაში კომპლექსური დავალებების დანერგვის და განხორციელების პროცესში ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების პროცესი დაგეგმილი და გააზრებულია. სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად, მოსწავლე უნდა იღებდეს არა დაქსაქსულ და დანაწევრებულ ინფორმაციას, არამედ ამ ინფორმაციას იაზრებდეს და უკავშირებდეს ადრე ნასწავლს, რომელიც მას ცოდნათა ორგანიზებასა და გამთლიანებაში დაეხმარება. საგანობრივი კურიკულუმების, სკოლის თვითშეფასების, სკოლის მიერ გადმოგზავნილი კომპლექსური დავალების ნაშრომებისა და მასწავლებელთა ინტერვიუების საფუძველზე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეებს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში. კურიკულუმში თითოეულ სამიზნე ცნებას უკავშირდება მთელი რიგი ქვეცნებები, რომლებიც წარმოაჩენენ საგნობრივი ცოდნის სტრუქტურას. სამიზნე ცნებაზე მუშაობის პროცესში მოხდება ამ ქვეცნებების ერთმანეთთან შედარება, დაპირისპირება და სხვადასხვა ნიშნით კლასიფიცირება, რაც მათ ურთიერთდაკავშირებულ გამოყენებას განაპირობებს.
ეს კავშირები და ამ კავშირების გააზრება, კარგად ჩანს კომპლექსურ დავალებებში. კომპლექსური დავალებების, აქტივობების და პროექტების განხორციელება მოსწავლეს აიძულებს თავის გონებაში გაიხსენოს და დააჯგუფოს, დაუკავშიროს ერთმანეთს ყველა ის ცოდნა და გამოცდილება, რაც შესასწავლი საკითხის ავთენტიკურობასა და სანდოობას შეეხება.

გასაუბრებისას პედაგოგებმა დაადასტურეს, რომ ისინი ხელს უწყობენ მოსწავლეებს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში, რისთვისაც იყენებენ მრავალფეროვან აქტივობებს კომპლექსური ბუნების დავალებებსა (პოსტერი, მეგობრული წერილი, დიალოგი, საგაზეთო სტატია, ბლოგი, პრეზენტაცია) და სასკოლო პროექტებს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ✓ კომპლექსური დავალების ბარათები;

- ✓ კომპლექსურის დავალების ნამუშევრები;
- ✓ კომპლექსური დავალების მატრიცები;

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები არის მოსწავლეზე ორიენტირებული და გათვალისწინებულია მათი ასაკობრივი შესაძლებლობები. კათედრებზე შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დანერგვასა და განვითარების გზას, რაც გამოჩნდა მათ მიერ განხორციელებულ და ასევე დაგეგმილ კომპლექსურ დავალებებში, რომლებიც შერჩეულია მოსწავლის შესაძლებლობების მიხედვით. კურიკულუმებში ძირითადად წარმოდგენილია

კომპლექსური დავალების იდეები, რომელიც აგებულია მოსწავლეთა საჭიროებების და ინტერესებიდან გამომდინარე. გასაუბრებისას პედაგოგებმა გამოკვეთეს სამომავლო ხედვა - ისაუბრეს საკუთარ გამოცდილებაზე კომპლექსური დავალებების განხორციელების კუთხით. მათ სწორი აქცენტები გააკეთეს გრძელვადიანი მიზნის მისაღწევად კომპლექსური დავალების, როგორც შუალედური მიზნის მნიშვნელობაზე. მაგალითად, მე-7 კლასის ფიზიკის კურიკულუმში წარმოდგენილია კომპლექსური დავალების იდეა „როგორ ჩავიხედოთ ნივთიერების შიგნით?" რაც მუშავდება თემის - „ნივთიერების აგებულება და მისი ფიზიკური თვისებები"-ს ფარგლებში.

მასწავლებლებმა საინტერესოდ ისაუბრეს, აღნიშნული კომპლექსური დავალების განხორციელების გზაზე და წარმოადგინეს გასულ წელს მოსწავლის მიერ შესრულებული კომპლექსური დავალება. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლა ყოველმხრივ უწყობს ხელს მოსწავლის პიროვნულ განვითარებას, სასწავლო პროცესში ითვალისწინებს ასაკობრივ ფსიქო - ემოციურ განწყობას. სკოლაში დანერგილია და წარმატებით ხორციელდება ღონისძიებები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლის განვითარებას სხვადასხვა სფეროში. წარმოდგენილ 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით სკოლაში იფუნქციონირებს სამოქალაქო და ეკო კლუბები, სპორტული კლუბი, ჭრა-კერვის კლუბი, განხორციელდება მოსწავლეების ინტერესზე მორგებული საგანმანათლებლო და სოციალური პროექტები. მასწავლებლების ხელმძღვანელობით მოსწავლეები მოსწავლეები სისტემატურად მონაწილეობენ და იმარჯვებენ სხვადასხვა სხვადასხვა კონკურსებში. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს კონკრეტული ღონისძიებები, რომლებშიც წარმატების მოპოვებამ მნიშვნელოვნად იმოქმედა მოსწავლეების მოტივაციაზე. აღნიშნული ღონისძიებები ხელს უწყობს მოსწავლეების სკოლისადმი მიკუთვნებულობის გაზრდას, აყალიბებს მათ მიზანდასახულობას, აჩვევს გაუმკლავდეს სტრესულ სიტუაციებს. მასწავლებლები გასაუბრების დროს აღნიშნავდნენ, რომ სასწავლო პროცესში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მოსწავლის მშვიდ ემოციურ მდგომარეობას, მათ შორის სასწავლო პროცესში აუცილებელ შეცდომის მიმართ შემწყნარებლურ დამოკიდებულებას მისი გამოსწორების პირობით. საბაზო საფეხურზე მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო - სოციალურ განვითარებასთან დაკავშირებულ ფაქტორებს კომპლექსური დავალებების შერჩევის ეტაპზე. მაგ; (7-ე კლასის სამოქალაქო განათლების კურიკულუმში მოცემული კომპლექსური დავალება - სტატიის საშუალებით დემოკრატიული სკოლის მართველობის გადმოცემა - მოსწავლეს დააფიქრებს სკოლის სტრუქტურული ორგანოების ფუნქციონირების ფორმებზე, ტავისი როგორც მოსწავლის ჩართულობის მნიშვნელობაზე ხარისხზე, უბიძგებს კონკრეტული

მოქმედების განხორციელებისკენ, რაც დაეხმარება მას პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებაში). **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია შეფასების პრინციპები, რომლებიც გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან. კათედრის წევრები აცნობიერებენ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობას, შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესთან და მოსწავლის ყოველდღიური პროცესის განუყოფელი ნაწილია. საბაზო საფეხურზე იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას; სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებსაც იყენებენ კომპლექსური დავალებების შესაფასებლად. შეფასების რუბრიკებში, მოცემულია სტანდარტის სამიზნე ცნებები, თავისი შედეგებით, აგრეთვე შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც მოსწავლემ უნდა დააკმაყოფილოს.
ეროვნულ სასწავლო გეგმაში, მოსწავლის ჰოლისტური შეფასების ინსტრუმენტად შემოთავაზებულია სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია. პედაგოგებმა, გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში, მოსწავლის მრავალმხრივი შეფასებისთვის, ქმნიან შეფასების სქემებს, სტანდარტთან მიმართებაში მოსწავლის მიღწევის ტაქსონომიის გამოყენებით, რომლის დასტურადაც სკოლას წარმოდგენილი აქვს სოლო ტაქსონომიის რუბრიკები. სასკოლო სასწავლო გეგმას თან ერთვის შეფასების სქემების დანართი, რომელიც მოსწავლის სხვადასხვა მიმართულებით შეფასებას ითვალისწინებს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში მოსწავლის შეფასებასების ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანიობის უზრუნველყოფის მიზნით წინასწარ შეიმუშავებს ცალკეული თემის ფარგლებში გრძელვადიან მიზანზე ორიენტირებულ შეფასების რუბრიკებს, რომლის შემუშავებაში მეტნაკლებად ჩართულია მოსწავლეებიც. კათედრამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა, როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რამდენიმე რუბრიკა. შეფასების რუბრიკებში ჩაშლილი კრიტერიუმები ასახავს მოსწავლეთა მიღწევებს, უნარებს, ორიენტირებულია გრძელვადიან მიზანზე. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ შეფასების რუბრიკები ცნობილია მოსწავლეთათვის და მშობლებისთვის ისე, რომ ისინი წინასწარ ინფორმირებულნი არიან თუ რა ფასდება და რა კრიტერიუმების გათვალისწინებით რაც ადასტურებს, შეფასების სისტემის გამჭვირვალობას. მასწავლებლებმა ისაუბრეს მიზანზე ორიენტირებული ვალიდური შეფასების ინსტრუმენტების შექმნის გამოცდილებაზე.

დეტალურად ჩაშლილი კრიტერიუმები და თითოეული მათგანის შესაბამისი ქულის დაკონკრეტება შეფასების რუბრიკებს ხდის სანდოს და ობიექტურს.
ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5.გამოყენებული შეფასების სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. აღნიშნული რეგულაცია ხელს უწყობს იმის დადგენას, თუ რამდენად ასრულებს შეფასება მოსწავლის მხარდამჭერ ფუნქციას. სკოლაში შეფასების ვერიფიკაცია ხორციელდება გეგმიურად საგნობრივი კათედრის მიერ ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების ანალიზის დროს, ან სკოლის დირექციის ინიციატივით (წლიური გამოცდა, დიაგნოსტიკური წერების ჩატარება და მათი ანალიზი მიმდინარე შეფასებებთან), ან დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე, (მაგ. სემსტრული გამოცდის შემთხვევაში, როცა მიღებული შეფასება არადამაკმაყოფილებელია). შეფასების ვერიფიკაცია ეფუძნება ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპებს. ვერიფიკაციისთვის გამოიყენება სტატისტიკური შეფასების მეთოდი, რომელიც გულისხმობს სტატისტიკურ, საერთო შემაჯამებელ ანგარიშს და აჩვენებს მოსწავლის შეფასების თანამიმდევრულობასა და სწავლის დინამიკას. შეფასების ვერიფიკაციას ახორციელებენ, შესაბამისი საგნობრივი კათედრები (ურთიერთდასწრების, შეფასების რუბრიკების შემუშავების, შემაჯამებელი დავალების ანალიზის დროს); დირექტორის მიერ შექმნილი კომისია (მაგ. სემესტრული გამოცდების ჩატარების მიზნით შექმნილი კომისია); ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, მასწავლებლის საქმიანობის დაკვირვების დროს (საგაკვეთილო პროცესზე დასწრება/კომპეტენციების შემოწმება). ვერიფიკაციის მექანიზმით განსაზღვრულია, მიღებული შედეგების განზოგადება, რომელიც გულისხმობს შეფასების მიმართულებით გამოვლენილი პრობლემების ანალიზსა და გაუმჯობესებას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6.სასკოლო სასწავლო გეგმაში მითითებულია, რომ სკოლა, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ელექტრონული ჟურნალისა და მოსწავლეთა პირადი საქმების საშუალებით უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ✓ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.
- ✓ სოლო ტაქსონომიის რუბრიკები;
- ✓ დანართი N52 (ანგარიშის ფორმა);
- ✓ დანართი N53 (დაკვირვების შედეგების ანალიზის ფორმა).

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა, მასში გაწერილი საკითხები მისიისა და ხედვის შესახებ სასწავლო პროცესის ორგანიზების, შეფასების სისტემის, საგნობრივი კათედრების ფუნქციონირებისა და სადამრიგებლო პროგრამების

შესახებ, ასევე სკოლაში მოქმედი შინაგანაწესი, სსსმ მოსწავლეთა მიმართ მხარდაჭერის რეგულაციები, ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია მიმართულია სკოლაში პოზიტიური, მზრუნველი და მიმღებლობითი გარემოს შექმნისაკენ. სასწავლო პროცესის ეფექტიანობის თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია სასკოლო კლიმატი. ინტერვიუდან გამოჩნდა, რომ სკოლაში მასწავლებელთა თანამშრომლობით ურთიერთობებს დიდი ტრადიცია აქვს, ეს ვლინდება როგორც კათედრულ, ასევე სხვა სასკოლო მუშაობაში. ხშირია მასწავლებელთა ურთიერთდახმარების, გაზიარების ფაქტები, როგორც კათედრაზე, ასევე კათედრის გარეთ. სკოლა ცდილობს განსაკუთრებული მხარდაჭერა აგრძნობინოს დამწყებ პედაგოგებს, მათთან ინტესნსიური კომუნიკაციით. აქვთ მაღალი მოლოდინები მოსწავლეთა მიმართ. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სასკოლო სასწავლო გეგმაში, ჩადებულია სასწავლო პროცესის ძირითადი მეთოდიკური ორიენტირები, რომლის მიხედვითაც მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა გულისხმობს ყველა მოსწავლის ინდივიდუალური, ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლების, შესაძლებლობების, ინტერესების, პირადი გამოცდილებისა და სწავლის სტილის გათვალისწინებას; აგრეთვე სასწავლო პროცესის პოზიტიურ და მოწესრიგებულ გარემოში წარმართვას, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოზიტიურ ურთიერთობებსა და ინტერაქციას, სადაც მოსწავლე არის დაფასებული, აღიარებული და მასწავლებელთან ერთად არის პასუხისმგებელი საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე.

კურიკულუმებში ჩაშენებული სასწავლო თემები, კონტექსტ-მაგალითები, კომპლექსური დავალების პირობები და განხორციელებისთვის საჭირო რესურსები, იძლევა იმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულად. საგნობრივი პროგრამები შემუშავებულია ინდივიდუალურად მასწავლებლის მიერ და შეესაბამება კონკრეტულ კლასს. მასწავლებელი თავად განსაზღვრავს სასწავლო თემებს, გეგმავს კომპლექსურ დავალებებს და არჩევს შესაბამის სასწავლო რესურსს, ასევე, სამიზნე ცნებებსა და დასათმობ დროს თითოეული თემისათვის. ზრუნავს თანასწორობის პრინციპებზე აგებული უსაფრთხო გარემოს შექმნაზე მოსწავლეებთან თანამშრომლობით; უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართვას სასწავლო პროცესში, ამისათვის კი იყენებს კლასის მართვის ეფექტიან სტრატეგიებს, ხელს უწყობს და ახალისებს თვითრეგულირებად ქცევას, მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას და ქმნის ეფექტურ გარემოს მოსწავლეთა პოტენციალის რეალიზებისთვის. კომპლექსური დავალებები კარგად უზრუნველყოფენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, სადაც წამყვანია მოსწავლის ავტონომიურობა, არჩევანი, წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია. პედაგოგები არჩევენ სასწავლო მეთოდებს, სწავლების ფორმებს, სტრატეგიებს, რომლებიც ერთი კონკრეტული ასაკის და

შესაძლებლობების ბავშვებთან ურთიერთობისას სწავლების პროცესში ძალიან ეფექტიანია. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში, გაწერილია მასწავლებლების, კათედრებისა და დირექციის წვლილი კურიკულუმის შემუშავების პროცესში. ამ დოკუმენტის თანახმად, კურიკულუმის დაგეგმვისას ასევე გათვალისწინებულია მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა. კურიკულუმის შემუშავება სასკოლო საზოგადოების მიერ, კანონმდებლობითაც არის უზრუნველყოფილი. ცალკეულ კურიკულუმს, რომელიც წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის განუყოფელ ნაწილს, შეიმუშავებენ საგნობრივი კათედრები, შემდეგ, დირექციის ჩართულობით, სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით, მას ამტკიცებს პედაგოგიურ საბჭო. აქედან გამომდინარე, კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ვიზიტის დროს, კათედრებთან გასაუბრებისას, ასევე გამოჩნდა, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, კერძოდ, მასწავლებელთა მხრიდან. მათ შეავსეს სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოები, განსაზღვრეს ახალი სასწავლო წლისთვის დასანერგი კომპლექსური დავალებები, ცნებები, კონტექსტ-

მაგალითები, რესურსები, მაგალითები შედარებისთვის. საგნის მასწავლებლის მხრიდან დაგეგმვის პროცესი ეყრდნობა თვითრეფლექსიას, ასევე მოსწავლეებისგან და მშობლებისგან მიღებულ უკუკავშირს. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ მოსწავლის ინტერესის შესაბამისად კომპლექსური დავალებების განსაზღვრის პრაქტიკა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმი, უპირველეს ყოვლისა, გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისათვის, რასაც უზრუნველყოფს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი და კურიკულუმის დამტკიცების საკანონმდებლო ჩარჩო - კურიკულუმი თანხმდება სამეურვეო საბჭოსთან და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე.

როგორც სკოლა თვითშეფასების ანგარიშში მიუთითებს, მშობლებთან კურიკულუმის გაზიარების გზად სკოლას გამოყენებული აქვს კომპლექსური დავალების ბარათები, საგნობრივი ჯგუფების მიხედვით, მათი პირადი ინფორმირება, სოციალური ქსელებისა და სკოლის ვებგვერდის მეშვეობით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასკვნის პროექტში ექსპერტთა მიერ დაფიქსირდა ხარვეზი: თოკის სასწავლო ფართზე დაწესებულებას არ აქვს საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორია და სპორტული დარბაზი.
დაწესებულებამ 2023 წლის 01 დეკემბრის # 1632884 კორესპოდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ მე-15 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. აღნიშნული გეგმის თანახმად, 28.11.2023-28.11.2024 პერიოდში უზრუნველყოფს აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრას. **ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15² მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე აღნიშნული კომპონენტი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.**
*ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (*28.11.2023-28.11.2024) *უზრუნველყოს თოკის სასწავლო ფართზე საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიის და სპორტული დარბაზის მოწყობის უზრუნველყოფა.*

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- ✓ საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
- ✓ მშობლის ბარათები (კომპლექსური დავალების ბარათები);
- ✓ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში ჩანს, რომ კურიკულუმის შექმნა-დანერგვა ციკლური პროცესია, ხოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მონიტორინგი საშუალებას იძლევა შეგროვდეს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს კურიკულუმის განხორციელების პროცესი.
სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავების პროცესს ემთხვევა. მთელი წლის განმავლობაში პედაგოგები სწავლობენ დანერგვის პროცესს (აგროვებენ მონაცემებს; აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე; პრობლემების გადასაჭრელად განიხილავენ ამა თუ იმ ინოვაციის დანერგვის პერსპექტივას), ამ გამოცდილების საფუძველზე კი სასწავლო წლის დასრულებისთანავე იწყებენ მუშაობას მომდევნო წლის სასწავლო გეგმაზე.
კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგის ინსტრუმენტებად, სასკოლო სასწავლო გეგმაში, სხვადასხვა საგნობრივ ჯგუფში, გათვალისწინებულია წლიური გამოცდები (მიმდინარე 2023-2024 სასწავლო წელს - VII კლასი- ფიზიკა, სამოქალაქო განათლება,

VIII კლასი-ბიოლოგია, ინგლისური, IX კლასი-ქართული ენა და ლიტერატურა, ქიმიაX- გეოგრაფია, ქართული ენა და ლიტერატურა, XI-ისტორია, მათემატიკა) და სადიაგნოსტიკო წერა (მიმდინარე 2023-2024 სასწავლო წელს -ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ინგლისური ენა), რომლებიც მიზნად ისახავს ცოდნის დონის დიაგნოსტირებას, პრობლემის აღმოჩენასა და გასაუმჯობესებელი გზების ძიებას.
კურიკულუმის დანრეგვის მონიტორინგი და შეფასება ასევე ხორცილდება ხარისხის მხარდამჭერი ჯგუფისა და კათედრის წევრების გაკვეთილებზე დასწრების გზით. წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და სკოლაში არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიისა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სხვა დოკუმენტების საფუძველზე. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სკოლას გააზრებული აქვს, მონიტორინგისა და შეფასების როლი, იმ გამოწვევების დაძლევაში, რომელსაც აწყდებიან კურიკულუმის დანერგვისა თუ განხორციელების პროცესში. სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის მხარდამჭერი ჯგუფი, რომელიც ახორციელებს სასწავლო პროცესის შიდა მონიტორინგს. მათი მუშაობის პროცესი მიმდინარეობს შემუშავებული დებულების შესაბამისად, სასკოლო საზოგადოების განვითარებისა და მხარდაჭერისთვის. ხარისხის განვითარების ჯგუფი აკვირდება საგაკვეთილო პროცესებს, აფასებს და აძლევს მასწავლებელს განმავითარებელ უკუკავშირს. როგორც ვიზიტის დროს აღინიშნა, პედაგოგები, კათედრის ფარგლებშიც ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ ერთმანეთს კონსტრუქციულ უკუკავშირსა და რეკომენდაციებს. მონიტორინგის შედეგები გამოიყენება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერისა და განვითარებისათვის. პედაგოგები თანამშრომლობენ უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიით, ასევე სასკოლო სასწავლო გეგმითა და ხარისხის მხარდამჭერი ჯგუფის ფარგლებში გათვალისწინებული მონიტორინგის მიზანი, სასწავლო პროცესში სუსტი მხარეების გამოვლენა, შემდეგ კი მათი მოგვარების გზის ძიება წარმოადგენს. ხარისხის განვითარების ჯგუფი აკვირდება მასწავლებლის საქმიანობას და აძლევს მას

განმავითარებელ უკუკავშირს. სხვადასხვა საგნობრივ ჯგუფში ტარდება სადიაგნოსტიკო წერა. პედაგოგები ურთიერთდასწრების შედეგად აფასებენ ერთმანეთის გაკვეთილებს და აძლევენ უკუკავშირს. სკოლაში დამკვიდრებული მონიტორინგისა და შეფასების პრაქტიკა, იძლევა საშუალებას შემუშავდეს კურიკულუმის დანერგვასთან დაკავშირებული რეკომენდაციები, რომლებიც გამოვლენილი გამოწვევების დაძლევის გზას წარმოადგენს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ✓ ხარისხის ჯგუფის შექმნის ბრძანება;
- ✓ დანართი N52 (ანგარიშის ფორმა);
- ✓ დანართი N53 (დაკვირვების შედეგების ანალიზის ფორმა).

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტიდან ირკვევა, სკოლას მოაზრებული აქვს სასწავლო პროცესის შეფასების წყაროები. მათ შორის, სკოლაში ამ მიზნით განხორციელდება ქოუჩინგის პროცესში გაცნობილი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა შესაბამისი ინსტრუმენტის გამოყენებით. კვლევა განხორციელდება მიწოდებული ინსტრუმენტის მიხედვით და მოიცავს ყველა აუცილებელ ეტაპს. კათედრა მიიჩნევს რომ აღნიშნული ინსტრუმენტი მრავალმხრივ სასარგებლოა : აღრმავებს თანამშრომლობის ხარისხს, დინამიურს ხდის სასწავლო პროცესს, იძლევა კომპლექსურ დავალებაზე ერთობლივად მონიტორინგის განხორციელების შესაძლებლობას, ამასთანავე შეიძლება განვიხილოთ, როგორც სასწავლო პროცესის შეფასების მნიშვნელოვანი წყარო. რეკომენდაციის სახით შეიძლება ითქვას, რომ გაანალიზებული მასალა შეიძლება დაემატოს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტსაც, ან გამოიცეს ცალკე დოკუმენტად (მაგ; მცირე ზომის ბუკლეტი სასწავლო პროცესის შეფასების მეთოდოლოგიაზე). აღნიშნულ პროცესში ჩართული იქნება საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა, რომელიც ინფორმაციას სასწავლო პროცესის შესახებ მოიპოვებს მრავალფეროვანი წაროებიდან : მოსწავლე, მასწავლებელი, მშობლები, სკოლის ადმინისტრაცია, მოხდება მოპოვებული ინფორმაციის შეჯამება და ანალიზი. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2.როგორც მასწავლებლებთან შეხვედრაზე გამოიკვეთა რადგანაც პირველ ეტაპზე სასწავლო პროცესის დაკვირვების მთავარი კომპონენტი იქნება კომპლექსური დავალებები, სკოლას შემუშავებული აქვს ის მთავარი აქცენტები, რაზეც ყურადღება გამახვილდება. დოკუმენტიდან ირკვევა, რომ აქცენტები სწორად არის დასმული და მიემართება მოსწავლის მხრიდან კომპლექსური დავალების პირობის გააზრებაზე, სასწავლო პროცესში ჩართულობის ხარისხზე, საკითხის მრავალფეროვნად გაშუქებაზე და ა.შ. რეკომენდაციის სახით სამომავლოდ სასურველია კიდევ უფრო გაიზარდოს კონტექსტების მიმართულებები (მშობლების როლი, არაფორმალური განათლების როლი ...), ასევე სასურველია შემუშავდეს უფრო დაკონკრეტებული მოქმედებების პაკეტი, სადაც მითითებული იქნება სასწავლო პროცესის შეფასების პროცედურები, მათ შორის, მრავალი კონტექსტის გათვალისწინების კომპონენტი (მაგ; მოსწავლის ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარების შესაფასებლად გათვალისწინებული იქნება, შესრულებული საშინაო დავალებები, მოსწავლეთა ჩართულობა არაფორმალურ განათლებაში, კლასგარეშე აქტივობებში მონაწილეობა). ეს შეიძლება დაემატოს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტსაც, ან გამოიცეს ცალკე დოკუმენტად (მაგ; მცირე ზომის ბუკლეტი სასწავლო პროცესის შეფასების მეთოდოლოგიაზე). **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3.სასკოლო სასწავლო გეგმა, სასწავლო პროცესის შეფასებისთვის, მონაცემების შეგროვების მეთოდად ითვალისწინებს შემაჯამებელი დავალებების ანალიზს, კათედრების დონეზე, წინასწარ დამტკიცებული ფორმით; მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებას, ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, და წლიურ გამოცდებს. შეფასების ვერიფიკაციის ინსტრუმენტების მიხედვით, ინფორმაციის შეგროვებისა და გაანალიზებისთვის სკოლა იყენებს სტატისტიკური შეფასების მეთოდს. მათემატიკური აპარატის გამოყენება შეფასების სისტემის გადამოწმებაში გულისხმობს სტატისტიკურ ანალიზს, საერთო შემაჯამებელ ანგარიშს, რაც სტატისტიკურად გვიჩვენებს რამდენად თანმიმდევრულია მოსწავლეთა შეფასება, მათი სწავლის დინამიკა და რამდენად ექვემდებარება ის ახსნას; რამდენად არის მიღწეული სტანდარტის შედეგები. გამოიყენება ცენტრალური ტენდენციის საშუალებები: ქულების საშუალო მაჩვენებელი, საჭიროების შემთხვევაში მოდა. სკოლა თავის თვითშეფასების ანგარიშში მიუთითებს, რომ სასწავლო პროცესის შეფასებისას იყენებს მონაცემთა შეგროვების რამდენიმე მეთოდს, კერძოდ კითხვარებს, ინტერვიუს და გასაუბრებას. წარმოდგენილი მასალებიდან და გასაუბრებიდან ირკვევა, რომ შეფასება წარიმართება საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების, განხორციელებული კომპლექსური დავალებების, სადიაგნოსტიკო წერის, წლიური გამოცდის და სხვადასხვა აქტივობებში მოსწავლეთა მონაწილეობის გათვალისწინებით; **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი, საბაზო საფეხურის კურიკულუმებით, სასკოლო სასწავლო გეგმით, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიით, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ შეფასება ხორციელდება საშინაო დავალების, საკლასო დავალების, კომპლექსური დავალებისა და შემაჯამებელი სამუშაოს შესრულების საფუძველზე. სკოლა შეფასებისას ეყრდნობა, როგორც მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, ასევე მათ პიროვნულ მახასიათებლებს, ინდივიდუალურ საჭიროებებსა და სოციალურ ფაქტორებს. ინტერვიუზე მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასების რუბრიკები საგანში ის ეფექტური ინსტრუმენტებია, რომელიც გამოიყენება როგორც მოსწავლეების ნამუშევრის, ასევე მუშაობის პროცესის შეფასების მიზნით. სწორედ ასეთი რუბრიკის გამოყენება იძლევა ისეთი სამუშაოს შეფასების საშუალებას, როგორიცაა მოსწავლეების მიერ წარმოდგენილი პრეზენტაციები, წერითი ნამუშევრები და კომპლექსური დავალებების დაძლევის ხარისხი. ვიზიტის დროს, ცხადი გახდა, რომ სკოლა იმგვარად არის ინტეგრირებული საკუთარ თემთან, რომ მათთვის ცნობილია ის ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ სკოლის მოსწავლეებზე: ოჯახი, მეზობლები, მეგობრები, თანაკლასელები და სხვა. ამ ფაქტორების ერთობლიობას ეყრდნობიან მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავების დროს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ✓ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- ✓ შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმები
- ✓ საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
- ✓ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- ✓ სოლო ტაქსონომიის რუბრიკები;
- ✓ დანართი N52 (ანგარიშის ფორმა);
- ✓ დანართი N53 (დაკვირვების შედეგების ანალიზის ფორმა).

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს კურიკულუმის გადასინჯვის და რევიზიის აუცილებლობას. ამ დოკუმენტის მიხედვით მთელი წლის განმავლობაში პედაგოგები სწავლობენ დანერგვის პროცესს (აგროვებენ მონაცემებს; აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე; პრობლემების გადასაჭრელად განიხილავენ ამა თუ იმ ინოვაციის დანერგვის პერსპექტივას), ამ გამოცდილების საფუძველზე კი სასწავლო წლის დასრულებისთანავე იწყებენ მუშაობას მომდევნო წლის სასწავლო გეგმაზ. ესაზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მასწავლებლები იზიარებენ მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ აუცილებელია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის შემდგომი ღონისძიებების განხორციელება, როგორც კათედრის მასწავლებლებთან შეხვედრაზე გამოიკვეთა სკოლას ამ მიმართულებით უკვე აქვს განხორციელებული გარკვეული ღონისძიებები (მაგ; წინარე გამოცდილების საფუძველზე დაგეგმილი საქმიანობის მოდიფიცირება), ხოლო დაგროვილი გამოცდილების ანალიზის შემდეგ კიდევ დამატებით განახორციელებს სხვა ღონისძიებებსაც. მაგ; სკოლას მოაზრებული აქვს გარკვეული ღონისძიებები (მაგ; თემატური მატრიცების ანალიზის საფუძველზე სასკოლო კურიკულუმის განახლება). მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა თავის მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სასკოლო კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის მიმართულებით. სასურველია სარეკომენდაციო პაკეტი იყოს მცირე მოცულობის ცალკე დოკუმენტი (მაგ; ბუკლეტი). **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. მასწავლებლები იზიარებენ მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ კურიკულუმის ყოველი გადამუშავებული ვერსია უნდა დაეფუძნოს წინარე გამოცდილებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი ხედვის შესაბამისად ყოველი ახალი სასწავლო წლის კურიკულუმი გაითვალისწინებს წინა წლების გამოცდილებას, ყურადღება გამახვილდება საფეხურებრივ თავისებურებებზე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ პროცესები წარიმართება ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით საგნობრივ კათედრებზე წევრთა შორის გამოცდილების გაზიარებით, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრით და

პრობლემების გადაჭრის გზების ძიებით, სხვა საგნობრივ კათედრებთან კოორდინირებული მუშაობის გზით. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა დადებით გამოცდილებას, რომელსაც დაეფუძნება ახალი მიზნები. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ 2023-2024 სკოლის სასწავლო სასწავლო გეგმა;
- ✓ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი(საშუალო საფეხური)

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **საშუალო საფეხური**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ დაბა ასპინძის სკოლის მიერ წარმოდგენილი, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტით დარეგულირებული, კურიკულუმის შემუშავების პროცესი, წარმოადგენს იმ მექანიზმს, რომელიც სასკოლო საზოგადოების ინტერესების კურიკულუმში ასახვის შესაძლებლობას იძლევა. დოკუმენტის რეგულაცია ითვალისწინებს კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების, გადასინჯვისა და რევიზიის უწყვეტ ფაზებს. მეთოდოლოგიის მიხედვით, თითოეული ეტაპი სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით ხორციელდება, ვინაიდან მასში მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები და დირექცია. სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესი იწყება წინა წლის კურიკულუმის დანერგვის პარალელურად; მისი (ე.ი. წინა წლის კურიკულუმის) განხორციელების პროცესის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე. კურიკულუმს, საგნობრივი კათედრის დონეზე, გეგმავს კონკრეტული მასწავლებელი, რომელიც სწავლა-სწავლების პროცესში ვალდებულია აქტუალური და პრობლემური საკითხები განიხილოს მოსწავლესა და მშობელთან, რათა უზრუნველყოს მათი ინტერესების კურიკულუმში ასახვა. მშობელთა ჩართულობის მექანიზმებად სკოლას ასევე

მოაზრებული აქვს კომპლექსური დავალების ბარათები, რომლებსაც გაუგზავნის მშობლებს; მშობელთა ინფორმირებისათვის გამოიყენება კლასის ჩათები; იგეგმება კურუკულუმის ატვირთვა ვებ გვერდზე. კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია კათედრის თავმჯდომარის, დირექტორისა და მისი მოადგილის როლი. კათედრის თავმჯდომარე აგროვებს წევრების მიერ გამოგზავნილ მასალებს; დირექციას აწვდის შეთანხმებული ინსტრუმენტების საფუძველზე მომზადებულ მასალებს, რომლებიც სასწავლო პროცესის (მოსწავლეების მიღწევები, მასწავლებლების წინაშე არსებული გამოწვევები) შესახებ შეიცავს ინფორმაციას; სკოლის დირექცია კი უზრუნველყოფს კათედრის ხელმძღვანელების მიერ მიწოდებული ინფორმაციის გამთლიანებას და ფასილიტაციას უწევს კურიკულუმის შემუშავების პროცესს. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებაში მასწავლებლის, კათედრის, დირექციის, მოსწავლისა და მშობლის ჩართულობა სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას იძლება. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ფართო წარმომადგენლობის ინტერესების კურიკულუმში ასახვას, ვინაიდან, შემუშავების პროცესში, მასწავლებელთან ერთად, ჩართულია კათედრა, დირექცია, მოსწავლე და მშობელი. მეთოდოლოგიის მიხედვით, მასწავლებლის პრიორიტეტები იმგვარად არის ასახული, რომ კურიკულუმი მის მიერ არის შემუშავებული. მასწავლებელი არჩევს კურიკულუმში სამიზნე ცნებებს, თემატურ ბლოკებს, კომპლექსური ბუნების დავალებებსა და რესურსებს. მოსწავლისა და მშობლების ინტერესები გათვალისწინებულია, ვინაიდან მასწავლებელი მათთან ერთად განიხილავს აქტუალურ საკითხებს; დირექციის შეხედულებები გათვალისწინებულია და გამოკვეთილი მისი როგორც ფასილიტატორის ფუნქცია. როგორც ვიზიტის დროს აღნიშნეს, მშობლების ინტერესების ასახვის მიზნით, მასწავლებლები მათ კომპლექსური დავალების ბარათებს უგზავნიან, რთავენ სხვადასხვა პროექტის განხორციელებაში. მეორე უცხო ენები მშობელთა აქტიური მონაწილეობით შეირჩა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმის შემუშავების პროცესში. ამ დოკუმენტის თანახმად, კურიკულუმის დაგეგმვისას ასევე გათვალისწინებულია მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა. კურიკულუმის შემუშავება სასკოლო საზოგადოების მიერ, კანონმდებლობითაც არის უზრუნველყოფილი. ცალკეულ კურიკულუმს, რომელიც წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის განუყოფელ ნაწილს, შეიმუშავებენ საგნობრივი კათედრები, შემდეგ, დირექციის ჩართულობით, სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით, მას ამტკიცებს პედაგოგიურ საბჭო. ვიზიტის დროს კათედრებთან გასაუბრებისას, ასევე გამოჩნდა, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო

საზოგადოების მიერ, კერძოდ, მასწავლებელთა მხრიდან. მათ შეავსეს სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოები, განსაზღვრეს ახალი სასწავლო წლისთვის დასანერგი კომპლექსური დავალებები, ცნებები, კონტექსტ-მაგალითები, რესურსები, მაგალითები შედარებისთვის. საგნის მასწავლებლის მხრიდან დაგეგმვის პროცესი ეყრდნობა თვითრეფლექსიას, ასევე მოსწავლეებისგან და მშობლებისგან მიღებულ უკუკავშირს. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ მოსწავლის ინტერესის შესაბამისად კომპლექსური დავალებების განსაზღვრის პრაქტიკა. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს (სასკოლო - სასწავლო გეგმა) რომ სკოლაში ფუნქციონირებს არაფორმალური განათლების რამდენიმე კერა. (ეკო-კლუბი, სამოქალაქო კლუბი, სპორტული კლუბი, ჭრა-კერვის წრე), რომლებიც შეიქმნა მოსწავლეთა ჩართულობით მათი ინტერესების კვლევის შედეგად. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ მომავალი სასწავლო წლიდან ამ მიმართულებით დაგეგმილი აქვთ რამდენიმე დამატებითი აქტივობის განხორციელება, განსაკუთრებით მშობლების როლის გააქტიურება. ამ მიზნით ჩაატარებენ ,,ღია კარის“ დღეს, შემოიღებენ ყველაზე აქტიური მშობლების სიმბოლურ დაჯილდოებას და სხვ. სკოლა ხელახლა გადაიაზრებს, სასკოლო საზოგადოების წევრების რა დამატებითი რესურსები შეიძლება იქნას გამოყენებული კურიკულუმის შექმნის პროცესში. ამ ეტაპზე სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მთავარი აქტორები არიან მასწავლებლები და სკოლის ადმინისტრაცია. კურიკულუმის შექმნის პროცესს საერთო მონიტორინგს უწევს და ხელმძღვანელობს სკოლის ადმინისტრაცია. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლას აქვს კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოების წევრებთან. მშობლებთან კომუნიკაციაში მთავარ როლს ასრულებენ დამრიგებლები, რომლებიც სხვადასხვა ფორმით აწვდიან ყველა აუცილებელ ინფორმაციას მშობლებს. სკოლის ყველა მნიშვნელოვანი დოკუმენტი (სასკოლო - სასწავლო გეგმა, შინაგანაწესი, საგნობრივი პროგრამები, სადამრიგებლო საათის პროგრამა, არაფორმალური სწავლების სხვადასხვა აქტივობები და სხვ.) ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრისთის. პროცესი არის გამჭირვალე და საჯარო, კურიკულუმები ხელმისაწვდომია დაინტერესებული საზოგადოებისთვის. საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები მიწოდებულია სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული პირისთვის. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
- ✓ სკოლის ვებგვერდი;
- ✓ 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;

- ✓ საგნობრივი კურიკულუმები საშუალო საფეხურზე.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან (მაგ; განხორციელებული კომპლექსური დავალებების მატრიცები) ჩანს და საზოგადოებრივი კათედრის მასწავლებლებთან გასაუბრების დროსაც გამოიკვეთა, გასულ სასწავლო წელს მასწავლებლების მიერ ხორციელდებოდა როგორც კომპლექსური დავალებები, ასევე სხვა სასწავლო აქტივობები, რომლებიც მიემართებოდა მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის პრინციპებს. 2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლამ შეიმუშავა სასკოლო კურიკულუმი, რომლის შემადგენელი ნაწილია საზოგადოებრივი მეცნიერებების საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები. მასწავლებლებმა გაითვალისწინეს როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი შეხვედრის დროს მიწოდებული რეკომენდაციები და წარმოადგინეს ყველა საფეხურზე საზოგადოებრივ მეცნიერებებში საგნობრივი კურიკულუმების ნიმუშები. ასევე მასწავლებლები

აღნიშნავენ, რომ საგნობრივი კურიკულუმები დაიხვეწება სასწავლო პროცესის მიმდინარეობის პარალელურადაც. (მათ შორის კონტექსტ-მაგალითების, შედარების მაგალითების, რესურსების მიმართულებით) ამ ეტაპზე შექმნილი საგნობრივი კურიკულუმები საშუალო საფეხურზე წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ სამომავლოდ უფრო მეტი ყურადღება დაეთმობა კომპლექსური დავალებებით სწავლებას. საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები და საგნობრივი კონტექსტები ხელს უწყობს მოსწავლის ჩართვას სასწავლო პროცესში, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. (მაგ; 11-ე კლასის მოქალაქეობის კურიკულუმში კომპლექსური დავალება - წარმოიდგინეთ, რომ ხართ ბიოგრაფი, რომელიც მუშაობს წიგნზე, სახელწოდებით „მეწარმისთვის დამახასიათებელი პიროვნული თვისებები“ - როგორ შევძლო კედლის გაზეთის სტატიის საშუალებით ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის წარდგენა - მოსწავლეს აუმაღლებს ცნობიერებას მეწარმეობის შესახებ, დააფიქრებს, როგორი პიროვნული და პროფესიული თვისებები აქცევს ადამიანს წარმატებულად ამ სფეროში და მოუტანს დამსახურებულ შემოსავალს, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის პიროვნულ ზრდას). **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი, საშუალო საფეხურის, კურიკულუმები უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების მიღწევას, რაც გულისხმობს როგორც საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ მაკრო ცნებებს, სამიზნე ცნებებს და შედეგებს, ისე გლობალურ-ფუნქციურ უნარებს: კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა, ხასიათი/ნებელობა, მოქალაქეობა. კურიკულუმებში წარმოდგენილი სასწავლო თემები და კომპლექსური დავალების პირობები, საგნობრივ შინაარსის განმტკიცებასთან ერთად, აქტიურად უწყობს ხელს მოსწავლეებში ზემოთ აღნიშნული მაკრო ცნებების განვითარებას.

მაგალითად, მეთერთმეტე კლასის, რუსული ენის კურიკულუმში, დაგეგმილი, კომპლექსური დავალების პირობის თანახმად, მოსწავლეებს მოეთხოვებათ პოსტერის მომზადება, მიუსაფარი ბავშვების შესახებ. მოსწავლეები აღწერენ მათ ცხოვრებას და ისაუბრებენ მიუსაფარი ბაშვების პრობლემების შესახებ. მოცემული კომპლექსური დავალება ავითარებს ისეთ გლობალურ უნარებს, როგორიცაა კრიტიკულ აზროვნება, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა და ხასიათე/ნება. მეთერთმეტე კლასის, ინგლისური ენის კურიკულუმში, სასწავლო თემის „ურთიერთობები“ ფარგლებში დაგეგმილი, კომპლექსური დავალების პირობის თანახმად, მოსწავლეებს მოეთხოვებათ პრეზენტაციის მომზადება, ბრიტანული და ქართული სიმღერების შესახებ, რომლებიც ურთიერთობებს

ეძღვნება. მოსწავლეები უცხოურ და ქართულ სიმღერებს აღწერენ, ასევე უცხოური და ქართული სიმღერის მსგავსება-განსხვავებაზე ისაუბრებენ. მოცემული კომპლექსური დავალება, ერთის მხრივ მიემართება უცხო ენების სავალდებულო თემატურ ჩარჩოს, მეორეს მხრივ კი ავითარებს კრიტიკულ აზროვნების, კომუნიკაციისა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის უნარ-ჩვევებს. **შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში, გაწერილია მასწავლებლების, კათედრებისა და, დირექციის წვლილი კურიკულუმის შემუშავების პროცესში. ამ დოკუმენტის თანახმად, კურიკულუმის დაგეგმვისას ასევე გათვალისწინებულია მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა. კურიკულუმის შემუშავება სასკოლო საზოგადოების მიერ, კანონმდებლობითაც არის უზრუნველყოფილი. ცალკეულ კურიკულუმს, რომელიც წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის განუყოფელ ნაწილს, შეიმუშავებენ საგნობრივი კათედრები, შემდეგ, დირექციის ჩართულობით, სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით, მას ამტკიცებს პედაგოგიურ საბჭო. აქედან გამომდინარე, კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ვიზიტის დროს, კათედრებთან გასაუბრებისას, ასევე გამოჩნდა, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, კერძოდ, მასწავლებელთა მხრიდან. მათ შეავსეს სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოები, განსაზღვრეს ახალი სასწავლო წლისთვის დასანერგი კომპლექსური დავალებები, ცნებები, კონტექსტ- მაგალითები, რესურსები, მაგალითები შედარებისთვის. საგნის მასწავლებლის მხრიდან დაგეგმვის პროცესი ეყრდნობა თვითრეფლექსიას, ასევე მოსწავლეებისგან და მშობლებისგან მიღებულ უკუკავშირს. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ მოსწავლის ინტერესის შესაბამისად კომპლექსური დავალებების განსაზღვრის პრაქტიკა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4.როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით ირკვევა ამ ეტაპზე სკოლაში დაგეგმილია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი 10 ქულიანი განმსაზღვრელი შეფასება და მოსწავლის მხარდაჭერაზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასება. სკოლა ამ ეტაპზე იყენებს განმსაზღვრელი შეფასების ე.წ. პირველ მოდელს, რომელიც გულისხმობს ნიშნების დაწერას სამი კომპონენტის მიხედვით (საკლასო, საშინაო, შემაჯამებელი) საზოგადოებრივი მეცნიერებების საშუალო საფეხურზე შექმნილია სასწავლო აქტივობების (გაკვეთილში ჩართულობის, საშინაო დავალების. დისკუსიის და სხვ.) ზოგადი რუბრიკები, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც დამიზნებულია კონკრეტული თემის, საგნობრივი კონტექსტის ფარგლებში საფეხურის შედეგების და ამა თუ იმ კოგნიტური უნარის ფლობაზე. მაგ; მოქალაქეობის 11-ე კლასში რამდენიმე თემისთვის წარმოდგენილია კომპლექსური დავალების როგორ განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელებიც დამიზნებულია

კომპლექსური დავალების საგნობრივი კონტექტზე დაყრდნობით მოსწავლის მიერ სამიზნე ცნებების გააზრების შეფასებაზე, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შედგენილია 10 ქულიანი შეფასებით (4+6 პრინციპით) და ზომავს მოსწავლის მიერ სამიზნე ცნებების ფლობის დონეს. განმავითარებელი შეფასებით ფასდება ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესი, მოსწავლის მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის უნარი. როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს, განმავითარებელი შეფასება ხშირად გამოიყენება ზეპირი კომენტარის ფორმით. კომპლექსური დავალებებისათვის იქმნება შეფასების რუბრიკები, რომლის მიხედვითაც შემდგომ ხდება მოსწავლეების განმავითარებელი შეფასება. განმავითარებელი შეფასებისათვის, ასევე გამოიყენება შესასვლელი და გასავლელი ბილეთები, რომლებიც სასწავლო პროცესის დაგეგმვას უწყობს ხელს. შეფასების მხრივ დაგეგმილია ცალკეული კომპონენტების და მთლიანი პროცესის მონიტორინგი. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის - კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, სასკოლო კურიკულუმი იგეგმება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, კურიკულუმის განახლება კი ხდება ყოველწლიურად, მთელი წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე. წინა წლის გამოცდილებაზე დაყრდნობით კურიკულუმში შეაქვთ სასწავლო საკითხები და შუალედური მიზნები. ვიზიტის დროს, პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში, ანალიზს უკეთებენ წინა წლის კურიკულუმებს და ამის საფუძველზე დგება ახალი კურიკულუმი. ისინი მოსწავლეთა ინტერესების, წინარე ცოდნისა და შესაძლებლობების საფუძველზე არჩევენ სასწავლო თემებსა და კომპლექსური დავალების პირობებს. მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში, ასევე გამოიყენება, სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული, სხვადასხვა საგანში ჩატარებული, წლიური გამოცდებისა და სადიაგნოსტიკო წერის შედეგად მიღებული მონაცემები, რომელიც წინარე გამოცდილების ანალიზის გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;

- ✓ 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ✓ საგნობრივი კურიკულუმები საშუალო საფეხურზე;
- ✓ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- ✓ შემაჯამებელი / კომპლექსური დავალებების ანალიზის ფორმები;
- ✓ კათედრების სხდომის ოქმები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საშუალო საფეხურის კურიკულუმებში შერჩეულია ისეთი თემები, რომლებიც შემოქმედებითი პროდუქტების შექმნის წინაპირობას წარმოადგენს. კონტექსტ-მაგალითები და მაგალითები შედარებისთვის, გამოსაყენებელი რესურსები ხელს უწყობს მოსწავლის შემოქმედებითი უნარების გააქტიურებას. სწავლება ეფუძნება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რაც გულისხმობს იმას, რომ მოსწავლეს ეძლევა საშუალება, სასწავლო პროცესში გამოავლინოს ფიქრის, ძიების, მსჯელობის, აღმოჩენა-მიგნების, ჰიპოთეზების ჩამოყალიბების უნარები. მოსწავლეს უვითარდება თანამშრომლობითი სწავლის კულტურა, თავადაც გასცემს და იღებს უკუკავშირს თანატოლებისთვის, ინაწილებს საერთო პასუხისმგებლობას.
მასწავლებლებმა შეარჩიეს კომპლექსური ბუნების დავალების პირობები, რომლებიც მრავალფეროვანი პროდუქტის შექმნას ითვალისწინებს, როგორიცაა, მაგალითად: პრეზენტაცია ცნობილი ადამიანების შესახებ; პოსტერი ეკოლოგიური პრობლემების თემაზე; პოსტერი მიუსაფარი ბავშვების ცხოვრების შესახებ; სარეკლამო პოსტერი რომელიმე პროდუქტის შესახებ; ბლოგი საკუთარი ჰოროსკოპის ნიშანის შესახებ და სხვა. უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას გააჩნია ცხოვრებისეული, კომპლექსური ბუნების დავალებების განხორციელების გამოცდილება, რის დასტურადაც გადმოგზავნილი აქვს კომპლექსური დავალების მატრიცები და კომპლექსური დავალების ნამუშევრები. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ გაითვალისწინეს მოსწავლეთა ინტერესები და წარმატებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით შეარჩიეს კომპლექსური დავალების პირობები, ეს კი მოსწავლეების მხრიდან ჩართულობას განაპირობებს. სკოლაში მოქმედებს რამდენიმე კლუბი და წრე, სკოლაში მოქმედებს სამოქალაქო კლუბი, რომელიც ფუნქციონირებს როგორც საბაზო საფეხურის, ასევე საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის, ტარდება როგორც გაერთიანებული, ასევე საფეხურის დონეზე შეხვედრები. კლუბის წევრი მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულები როგორც სასკოლო , ასევე რეგიონულ და ეროვნულ ოლიმპიადებსა და კონკურსებში. მასწავლებლებმა აღნიშნეს ამ მხრივ მიღწეული წარმატებები, მათ შორის ეკონომიკურ თემებზე გამართული ეროვნულ კონკურსში გამარჯვების შესახებ, რის შემდეგაც ამ ეტაპზე ელოდებიან ტექნიკით დაჯილდოებას. კლუბი აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ ხელისუფლებასთან. საბაზო საფეხურის კურიკულუმები ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარებას. (მაგ; 10 -ე კლასის გეოგრაფიის კურიკულუმში კომპლექსური დავალება - ინფოგრაფიკის შექმნის საფუძველზე (კოვიდ პანდემიის მაგალითი) მოსახლეობის დემოგრაფიული მაჩვენებლების

ცვლა და დემოგრაფიული პრობლემების გადაჭრა - ხელს უწყობს მოსწავლეს იაზროვნოს შემოქმედებითად, დაფიქრდეს თავის შესაძლებლობებსა და ინტერესებზე, ჩამოიყალიბოს მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეიძლება გადმოსცეს ორიგინალური ფორმით რამდენიმე წლის წინ პანდემიით გამოწვეული შედეგები დემოგრაფიის სფეროში საქართველოსა და მსოფლიოში, საკითხი ეხმაურება აქტუალურ პრობლემას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. .წარმოდგენილ საშუალო საფეხურის კურიკულუმებში თემები და საკითხები გაწერილია თანმიმდევრულად, თანდათან ღრმავდება და აძლევს მოსწავლეს ცოდნის კონსტრუირების საშუალებას. ყველა კლასის კურიკულუმი იწყება წინა კლასში ნასწავლი მასალის განმეორებით, რაც წინარე ცოდნის გააქტიურებას უწყობს ხელს. ასევე, სკოლის მიერ წარმოდგენილი განსახორციელებელი კომპლექსური დავალებების ეტაპებიც გაწერილია ისე, რომ მოიცავს წინარე ცოდნის გააქტიურებას. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აჩვენეს მზაობა სწავლების კონტრუქტივისტული მოდელით წარმართვის შესახებ. მაგ:დეტალურად მე-11 კლასში განხორციელებული კომპლექსური დავალების შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა ნახატის შექმნას სხვადასხვა ფუნქციათა გრაფიკების გამოყენებით. გამოკვეთეს ცალკეული ეტაპი და ხაზი გაუსვეს წინარე ცოდნის გააქტიურების საკითხს და მის მნიშვნელობას ცოდნის აგების პროცესში. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. მოსწავლეებს სასწავლო პროცესში ეძლევათ ისეთი დავალებები, რომლებიც ხელს უწყობს მათი სასწავლო საქმიანობის დაგეგმვისა და ორგანიზების უნარების განვითარებას. როგორც მასწავლებლები აღნიშნავენ, ბოლო წლებში სწავლის სწავლა ეფექტურად მიმდინარეობს მათ შორის კომპლექსური დავალებების განხორციელების დროსაც, რადგანაც მოსწავლეს უხდება საკუთარი სწავლის ორგანიზება, რათა დროულად წარმოადგინოს საბოლოო დავალება, ამ პროცესში იგი აფიქსირებს მისთვის სასარგებლო აქტივობებს და საკუთარი სწავლის პროცესში ნერგავს მას. დავალების პრეზენტაციის ეტაპზე, მოსწავლე იაზრებს თავისი ნამუშევრის საუკეთესო და გასაუმჯობესებელ მხარეებს. (მაგ; 11 -ე კლასის სამოქალაქო განათლების კურიკულუმში კომპლექსური დავალება - წარმოიდგინეთ, რომ იკვლევთ თქვენი დასახლების ამომრჩეველთა ინფორმირებულობას/წარმოდგენებს თემში არსებული საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარებაში მათი ჩართულობის მნიშვნელობის შესახებ. მოამზადეთ წარმოსახვითი (ხართ როგორც ინტერვიუერი, ასევე რესპონდენტი) ინტერვიუს ტრანსკრიპტი- მატრიცის მიხედვით ორიენტირებულია მოსწავლეებში ცოდნის სამივე კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული) და დაგეგმილი აქტივობებით ხელს შეუწყობს მოსწავლეში სწავლის სწავლას). მომავალი სასწავლო წლიდან კათედრებზე შემუშავებული იქნება ინსტრუმენტები, რომლებიც

ხელს შეუწყობს მოსწავლეებში საკუთარ შემეცნების პროცესის დაგეგმვასა და მონიტორინგს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4.სასკოლო სასწავლო გეგმით გაწერილი მეთოდიკური ორიენტირების მიხედვით, ყურადღება უნდა გამახვილდეს არა მხოლოდ დეკლარატიულ და პროცედურულ ცოდნაზე, არამედ ნასწავლის ცხოვრებასთან დაკავშირებაზე. საშუალო საფეხურის კურიკულუმებში შეტანილი სასწავლო საკითხები, კონტექსტ-მაგალითები და კომპლექსური ბუნების დავალების პირობები უზრუნველყოფს სამივე კატეგორიის ცოდნის დამუშავებას. კურიკულუმის კონკრეტული თემის ფარგლებში გააქტიურებული, საგნობრივი საკითხების ფარგლებში დაგეგმილი, კომპლექსური ბუნების დავალებები და კათედრის ფარგლებში განხორციელებული პროექტები, ძირითადად მკაფიოდ აჩვენებს, თუ როგორ გამოიყენებენ მოსწავლეები დეკლარატიულ, პროცედურულ და პირობისეულ ცოდნას მუშაობის პროცესში. სწავლების პროცესში აქტიურად სრულდება პრობლემაზე დაფუძნებული დავალებები და აქტივობები; მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ საკუთარი ცოდნით შექმნან შემოქმედებითი პროდუქტები. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად, მოსწავლე უნდა იღებდეს არა დაქსაქსულ და დანაწევრებულ ინფორმაციას, არამედ ამ ინფორმაციას იაზრებდეს და უკავშირებდეს ადრე ნასწავლს, რომელიც მას ცოდნათა ორგანიზებასა და გამთლიანებაში დაეხმარება. საგანობრივი კურიკულუმების, სკოლის თვითშეფასების, სკოლის მიერ გადმოგზავნილი კომპლექსური დავალების ნაშრომებისა და მასწავლებელთა ინტერვიუების საფუძველზე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეებს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში. კურიკულუმში თითოეულ სამიზნე ცნებას უკავშირდება მთელი რიგი ქვეცნებები, რომლებიც წარმოაჩენენ საგნობრივი ცოდნის სტრუქტურას. სამიზნე ცნებაზე მუშაობის პროცესში მოხდება ამ ქვეცნებების ერთმანეთთან შედარება, დაპირისპირება და სხვადასხვა ნიშნით კლასიფიცირება, რაც მათ ურთიერთდაკავშირებულ გამოყენებას განაპირობებს.

ეს კავშირები და ამ კავშირების გააზრება, კარგად ჩანს კომპლექსურ დავალებებში. კომპლექსური დავალებების, აქტივობების და პროექტების განხორციელება მოსწავლეს აიძულებს თავის გონებაში გაიხსენოს და დააჯგუფოს, დაუკავშიროს ერთმანეთს ყველა ის ცოდნა და გამოცდილება, რაც შესასწავლი საკითხის ავთენტიკურობასა და სანდოობას შეეხება.

გასაუბრებისას პედაგოგებმა დაადასტურეს, რომ ისინი ხელს უწყობენ მოსწავლეებს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში, რისთვისაც იყენებენ მრავალფეროვან აქტივობებს კომპლექსური ბუნების დავალებებსა (პრეზენტაცია

ცნობილი ადამიანების შესახებ; პოსტერი ეკოლოგიური პრობლემების თემაზე; პოსტერი მიუსაფარი ბავშვების ცხოვრების შესახებ; სარეკლამო პოსტერი რომელიმე პროდუქტის შესახებ; ბლოგი საკუთარი ჰოროსკოპის ნიშანის შესახებ და სხვა.) და სასკოლო პროექტებს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ✓ კომპლექსური დავალების ბარათები;
- ✓ კომპლექსურის დავალების ნამუშევრები ;
- ✓ კომპლექსური დავალების მატრიცები .

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შუალედური მიზნების მიღწევის მიზნით სკოლა იყენებს კომპლექსურ დავალებებს. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში მოსწავლეს უხდება ისეთი დავალებების შესრულება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით, რაც ხელს უწყობს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას. მასწავლებლებმა ისაუბრეს მათი გამოცდილების შესახებ, როგორ აკავშირებენ სწავლა-სწავლების პროცესში სამიზნე ცნებას, მკვიდრ წარმოდგენებს , საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას) და საკვანძო შეკითხვებს. მაგალითად, მათემატიკაში კომპლექსური დავალების განხორციელებისას უწევს რეალური სიტუაციის მათემატიკური მოდელის შექმნა, საჭირო ფორმულების გამოყენება, გამოთვლების შესრულება, მსჯელობა, ანალიზი და დასაბუთება, რაც სამივე სამიზნე ცნების მოდელირება, კანონზომიერება, ლოგიკა და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების გათავისებაში ეხმარება. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლის პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარება ხელს უწყობს მოსწავლეებში ნერვიულობის მინიმუმანდე დაყვანას, საჭიროებისამებრ დახმარების თხოვნას, საკუთარ თავში სიძნელეთა გადალახვის რესურსების პოვნას. შეცდომის მიმართ პოზიტიურ დამკიდებულებას და წინსვლის წყაროდ გამოყენებას. მასწავლებლებს მიაჩნიათ, რომ კომპლექსური დავალებებით მუშაობა დაეხმარება მათ მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებაში. ისინი დავალებების შერჩევისას ითვალისწინებენ, რომ მოსწავლეებმა დაამყარონ პოზიტიური ურთიერთობები, შეძლონ გუნდური მუშაობა. კომპლექსური დავალების კითხვები ისე ფორმირდება, რომ მოსწავლემ შეძლოს საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების აღმოჩენა.(რაც კარგად ჩანს სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმში) აქცენტირდება მოსწავლეთა მიერ კომპლექსური დავალებების რეფლექსია. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია შეფასების პრინციპები, რომლებიც გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან. კათედრის წევრები აცნობიერებენ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობას, შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესთან და მოსწავლის ყოველდღიური პროცესის განუყოფელი ნაწილია. საშუალო საფეხურზე იყენებენ როგორც განმსაზღვრელ,

ისე განმავითარებელ შეფასებას; სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებსაც იყენებენ კომპლექსური დავალებების შესაფასებლად. შეფასების რუბრიკებში, მოცემულია სტანდარტის სამიზნე ცნებები, თავისი შედეგებით, აგრეთვე შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც მოსწავლემ უნდა დააკმაყოფილოს.
ეროვნულ სასწავლო გეგმაში, მოსწავლის ჰოლისტური შეფასების ინსტრუმენტად შემოთავაზებულია სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომია. პედაგოგებმა, გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში, მოსწავლის მრავალმხრივი შეფასებისთვის, ქმნიან შეფასების სქემებს, სტანდარტთან მიმართებაში მოსწავლის მიღწევის ტაქსონომიის გამოყენებით, რომლის დასტურადაც სკოლას წარმოდგენილი აქვს სოლო ტაქსონომიის რუბრიკები. სასკოლო სასწავლო გეგმას თან ერთვის შეფასების სქემების დანართი, რომელიც მოსწავლის სხვადასხვა მიმართულებით შეფასებას ითვალისწინებს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. საშუალო საფეხურზე სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკები : შემაჯამებელი დავალების შეფასების რუბრიკა (რომელიც ითვალისწინებს სამიზნე ცნებების გააზრების დონეს საგნობრივი კონტექსტის ფარგლებში), შედეგების სოლო ტაქსონომია, სხვადასხვა აქტივობებზე მორგებული ზოგადი რუბრიკები - რომლებიც ნათლად აჩვენებს შეფასების პრინციპებს, მოსწავლისთვის ნათელია, ჩართულობის, მოტივაციის და ცოდნის გადმოცემის რა შემთხვევაში რა ნიშნით შეფასდება. კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები სხვადასხვა აქტივობაზე (პრეზენტაციის, დისკუსიის, ინფორმაციის მოძიების ...) მორგებული განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებია, (მითითებულია ქულები), თუმცა ისინი რეალურად შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც განმავითარებელი შეფასების რუბრიკაც. ამასთანავე კათედრების მიერ მოწოდებულია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც თემის ფარგლებში მისაღწევი შედეგების ინდიკატორების მიხედვით საგნობრივი კონტექსტების მეშვეობით სამიზნე ცნებების გააზრებაზეა ორიენტირებული. კათედრის მიერ მოწოდებული რუბრიკები არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. სამომავლოდ სასურველია დაიგეგმოს და განხორციელდეს მოსწავლეთა შეფასების უფრო მრავალფეროვანი მეთოდები (მაგ; მასწავლებლებმა იზრუნონ მოსწავლეთა პორტფოლიოების შექმნაზე, უფრო აქტიურად იქნას გამოყენებული მოსწავლეთა თვითშეფასების აქტიური ფორმები). **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. გამოყენებული შეფასების სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. აღნიშნული რეგულაცია ხელს უწყობს იმის დადგენას, თუ რამდენად ასრულებს შეფასება მოსწავლის მხარდამჭერ ფუნქციას. სკოლაში შეფასების ვერიფიკაცია ხორციელდება გეგმიურად საგნობრივი კათედრის მიერ ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების ანალიზის დროს, ან სკოლის დირექციის ინიციატივით (წლიური გამოცდა, დიაგნოსტიკური წერების ჩატარება და მათი ანალიზი მიმდინარე შეფასებებთან), ან დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე, (მაგ. სემსტრული გამოცდის შემთხვევაში, როცა მიღებული შეფასება არადამაკმაყოფილებელია). შეფასების ვერიფიკაცია ეფუძნება ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპებს. ვერიფიკაციისთვის გამოიყენება სტატისტიკური შეფასების მეთოდი, რომელიც გულისხმობს სტატისტიკურ, საერთო შემაჯამებელ ანგარიშს და აჩვენებს მოსწავლის შეფასების თანამიმდევრულობასა და სწავლის დინამიკას. შეფასების ვერიფიკაციას ახორციელებენ, შესაბამისი საგნობრივი კათედრები (ურთიერთდასწრების, შეფასების რუბრიკების შემუშავების, შემაჯამებელი დავალების ანალიზის დროს); დირექტორის მიერ შექმნილი კომისია (მაგ. სემესტრული გამოცდების ჩატარების მიზნით შექმნილი კომისია); ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, მასწავლებლის საქმიანობის დაკვირვების დროს (საგაკვეთილო პროცესზე დასწრება/კომპეტენციების შემოწმება). ვერიფიკაციის მექანიზმით განსაზღვრულია, მიღებული შედეგების განზოგადება, რომელიც გულისხმობს შეფასების მიმართულებით გამოვლენილი პრობლემების ანალიზსა და გაუმჯობესებას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6.სასკოლო სასწავლო გეგმაში მითითებულია, რომ სკოლა, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ელექტრონული ჟურნალისა და მოსწავლეთა პირადი საქმების საშუალებით უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ ინფორმაციის/ მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ✓ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.
- ✓ სოლო ტაქსონომიის რუბრიკები;
- ✓ დანართი N52 (ანგარიშის ფორმა);
- ✓ დანართი N53 (დაკვირვების შედეგების ანალიზის ფორმა).

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი სკოლის მისიის თანახმად, სკოლის მიზანია შექმნას ეფექტური, უსაფრთხო და პოზიტიური სასწავლო გარემო; ხელი შეუწყოს ურთიერთპატივისცემისა და თანასწორობის პრინციპების დაცვას; მოსწავლის ფიზიკური, შემოქმედებითი და სოციალური უნარების განვითარებას; სასკოლო ინფრასტრუქტურასთან და სასკოლო სასწავლო გეგმასთან ერთად, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სხვა დოკუმენტების (სკოლის 6 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, სტრატეგიული განვითარების ერთწლიანი გეგმა, ხარისხის განვითარების ჯგუფი, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია) საფუძველზე, სკოლა ასევე უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში მოსწავლის მხარდამჭერი გარემოს შექმნას.

პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ისინი ქმნიან მოსწავლის მხარდამჭერ, პოზიტიურ სასწავლო გარემოს. კათედრები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, აკვირდებიან და ითვალისწინებენ მოსწავლეთა საჭიროებებს.სკოლის მიერ, საგნობრივი მიმართულებით წარმოდგენილი, სასწავლო პროცესის მტკიცებულებებზე (კურიკულუმები, შეფასების რუბრიკები, განხორციელებული კომპლექსური დავალების მატრიცები და სხვა) დაფუძნებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში შექმნილია პოზიტიური და ნდობაზე დაფუძნებული გარემო, რომლის დასტურად მოიაზრება მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიერ ერთობლივად დაგეგმილი აქტივობები. გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებანი, ასევე უზრუნველყოფილია გლობალური ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გამომუშავების ხელშეწყობა, რაც კომპლექსური დავალებებით სწავლებითაა შესაძლებელი. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საშუალო საფეხურზე სკოლაში სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლაში სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად, რასაც სკოლა აღწევს მიზანმიმართული აქტივობებით. სკოლას ყავს სსსმ მოსწავლეები, ამიტომ ინკლუზიური სწავლების მონიტორინგი სკოლის ერთ-ერთი პრიორიტეტია. სკოლის პედაგოგებს აქვთ სწორი ხედვა იმასთან დაკავშირებით, რომ სასწავლო პროცესის ცენტრალური ფიგურა არის მოსწავლე. მათი მხარდაჭერა ხორციელდება სხვადასხვა მეთოდით. მაგ; ყველა მასწავლებელი ახდენს შემაჯამებელი დავალებების ანალიზს, სადაც გამოკვეთს მოსწავლის ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს, განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებებში იკვეთება მოსწავლეთა საჭიროებები, გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით ხორციელდება პროექტები, რომლებიც ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას. აღწერილ საქმიანობაში ჩართული არიან მასწავლებლები, რომლებიც დამატებით ახორციელებენ გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებას და უკუკავშირების მიცემას.**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3.ისეთი დოკუმენტები, როგორიცაა სასკოლო სასწავლო გეგმა და კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, სკოლაში თანამშრომლობითი გარემოს შექმნას განაპირობებს. სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, კათედრის ძირითად ფუნქციას კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება წარმოადგენს, ხოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, სასკოლო საზოგადოების (მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი, კათედრები და დირექცია) თანამშრომლობას საგნობრივი კურიკულუმების შემუშავების მექანიზმად მოიაზრებს. სკოლაში თანამშრომლობითი კულტურისა და კომუნიკაციის არსებობა, კათედრის წევრებთან გასაუბრებითაც დასტურდება. კათედრის წევრები ერთობლივად შეიმუშავებენ სასკოლო კურიკულუმებს, რაც გულისხმობს როგორც კურიკულუმების ჩარჩოს შემუშავების, ისე კურიკულუმის განხორციელების პროცესში მასწავლებლების მიერ საკუთარი მოსაზრებების გაცვლას.

აკვირდებიან მოსწავლეთა პროგრესს, უგზავნიან მშობლებს კომპლექსური დავალების ბარათებს და ისმენენ მათგან უკუკავშირს. განიხილავენ მოსწავლესთან აქტუალურ საკითხებს და მათი ინტერესების გათვალისწინებით არჩევენ კომპლექსური ბუნების დავალებებს. მოსწავლეებთან და მშობლებთან თანამშრომლობით ახორციელებენ სასწავლო პროექტებს. სკოლაში დამკვიდრებული სასწავლო პრაქტიკის გაანალიზების საფუძველზე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის თვითშეფასების ანგარიში, სასკოლო სასწავლო გეგმა მიუთითებს და მასწავლებლებთან გასაუბრებითაც ირკვევა, რომ სკოლა წარმოადგენს კეთილგანწყობილ დაწესებულებას, სასკოლო საზოგადოებისათვის. შექმნილია უსაფრთხო, მზრუნველი და მოწესრიგებული სასწავლო გარემო. როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა, სკოლაში მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, დირექციასთან და მშობლებთან, რათა უზრუნველყოფილი იყოს პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ✓ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- ✓ სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ✓ სკოლის ერთწლიანი სტრატეგიული გეგმა;
- ✓ საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
- ✓ კომპლექსური დავალების ბარათები და მატრიცები;
- ✓ განხორციელებული კომპლექსური დავალებებისა და პროექტების დამადასტურებელი დოკუმენტები (ნაშრომები, ფოტოები).

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შექმნილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს კურიკულუმის მონიტორინგის და შეფასების ელემენტებსაც. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით კარგად იკვეტება სკოლის სხვადასხვა ორგანოს ფუნქცია და ვალდებულებები, როგორც კურიკულუმის შემშავების, ასევე მისი მნიტორინგის და შეფასების პროცესში. მონიტორინგის პროცესში მთავარი ყურადღება გამახვილდება მიმდინარეობს თუ არა დაგეგმილის შესაბამისად პროცესები და რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს. როგორც სკოლის მასწავლებლები აღნიშნავდნენ, სკოლაში მოქმედი პრაქტიკის თანახმად ხორციელდება სკოლის დირექციის მიერ ხარისხის განვითარების ჯგუფთან ერთად მთელი წლის განმავლობაში მომდინარეობს მასწავლებლების გაკვეთილებზე დასწრება, დაკვირვება და ანალიზი. სკოლა აღნიშნავს, რომ უკუკავშირი ხდება ზეპირი ფორმით და ბოლო სასწავლო წლის მანძილზე მთავარი ყურადღება გამახვილდა კომპლექსურ დავალებებზე, როგორც კურიკულუმის მთავარ გამოწვევაზე. სამომავლოდ დაგეგმილია კურიკულუმის უფრო ეფექტიანი

მონიტორინგის დანერგვა, მათ შორის დიაგნოსტიკური წერების ჩატარება. გაწეული საქმიანობა დაფიქსირდება ნარატივის სახით და გათვალისწინებულ იქნება შემდგომ საქმიანობაში. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სკოლას გააზრებული აქვს, მონიტორინგისა და შეფასების როლი, იმ გამოწვევების დაძლევაში, რომელსაც აწყდებიან კურიკულუმის დანერგვისა თუ განხორციელების პროცესში. სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის მხარდამჭერი ჯგუფი, რომელიც ახორციელებს სასწავლო პროცესის შიდა მონიტორინგს. მათი მუშაობის პროცესი მიმდინარეობს შემუშავებული დებულების შესაბამისად, სასკოლო საზოგადოების განვითარებისა და მხარდაჭერისთვის. ხარისხის განვითარების ჯგუფი აკვირდება საგაკვეთილო პროცესებს, აფასებს და აძლევს მასწავლებელს განმავითარებელ უკუკავშირს. როგორც ვიზიტის დროს აღინიშნა, პედაგოგები, კათედრის ფარგლებშიც ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ ერთმანეთს კონსტრუქციულ უკუკავშირსა და რეკომენდაციებს. მონიტორინგის შედეგები გამოიყენება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერისა და განვითარებისათვის. პედაგოგები თანამშრომლობენ უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას აქვს შეფასებისა და მონიტორინგის პროცესში გამოვლენილი პრობლემების გადაჭრის გზების სწორი ხედვა. კერძოდ, გასაუბრებისას გამოიკვეთა რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მასწავლებლები ხედავდნენ არსებული კურიკულუმის მთავარ გასაუმჯობესებელ მიმართულებებს და ჰქონდათ მზაობა მათი გამოსწორების. ანალიზში ასახული იქნება კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განისაზღვრება ხელისშემშლელი ფაქტორები და შესაძლებლობები მისი განვითარებისათვის. მასწავლებლებმა საუბრის დროს აღნიშნეს, რა შეიძლება იყოს სუსტი მხარე, რით შეიძლება იყოს ის გამოწვეული, როგორ შეიძლება მათი გადაჭრა, შეხვედრის შემდეგ მასწავლებლებმა წარმოადგინეს კურიკულუმის გაუმჯობესებული ვერსიები. სამომავლოდ მუშაობა წარიმართება კურიკულუმის შემდგომი დახვეწის მიმართულებით. (მაგ; - მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისარგებლეს რა ქოუჩინგის ფარგლებში მოწოდებული კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტის ფორმით, მათ მიერ შედგენილ საგნობრივ კურიკულუმში დასახვეწი იყო კონტექსტ - მაგალითების და შედარების მაგალითების ნაწილი, კურიკულუმი გასამრავალფეროვნებელი იყო დამატებითი რესურსებით). **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ✓ ხარისხის ჯგუფის შექმნის ბრძანება.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.როგორც წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმიდან, საგნობრივი კურიკულუმებიდან, სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიიდან, სკოლის თვითშეფასების დოკუმენტიდან და მასწავლებლების მიერ გაზიარებული გამოცდილებით დასტურდება, სკოლაში შეფასება დაფუძნებულია კონსტრუქტივისტულ მიდგომებზე, რომლის მიზანია, როგორც მოსწავლის ცოდნის დონის დადგენა, ისე მისი დახმარება საკუთარი სწავლის გაუმჯობესებაში. ამ მიზნით მოსწავლეთა შეფასებისთვის იყენებენ მრავალფეროვან წყაროებს: სასწავლო პროცესზე დაკვირვება, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტები, სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული წლიური გამოცდების, დიაგნოსტიკური წერის, სემესტრული გამოცდის ჩატარება და ა.შ. სკოლამ წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომელთა

დახმარებითაც ხდება კომპლექსური დავალების შეფასება. მოსწავლის ჰოლისტური შეფასებისთვის, აქტიურად არის გამოყენებული სტანდარდთან მიმართებაში მოსწავლის დონის დადგენის ტაქსონომია. მოსწავლის აკადემიური მოსწრების დინამიკაზე დაკვირვებისთვის, წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმაზე თანდართული, შეფასების მრავალფეროვანი სქემები: კომპლექსური დავალების, ზეპირმეტყველების, წერითი და შემაჯამებელი დავალების, პროექტის და სხვა აქტივობის შეფასებისთვის. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ სკოლა მოსწავლეთა შეფასებას ახორციელებს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. სკოლა, მოსწავლის შეფასებაში, პრიორიტეტს ანიჭებს კომპლექსურ, ცხოვრებისეული კონტექსტების მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ. კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებები ასევე უზრუნველყოფენ კონსტრუქტივისტულ პრინციპების, ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის შეძენის, გამჭოლი უნარების, ღირებულებების და გლობალური ფუნქციური უნარების გათვალისწინებას. ამ მიზნით, სკოლა იყენებს კომპლექსური დავალების, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს. სასკოლო სასწავლო გეგმის დანართის სახით, წარმოდგენილია რუბრიკები მოსწავლის სხვადასხვა სასწავლო კონტექსტში შეფებისთვის, როგორიცაა: ინფორმაციის მოძიება, პრეზენტაცია, ზეპირმეტყველება, პროექტის, ზოგადი განმავითარებელი შეფასების რუბრიკა და სხვა **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სასკოლო სასწავლო გეგმა, სასწავლო პროცესის შეფასებისთვის, მონაცემების შეგროვების მეთოდად ითვალისწინებს შემაჯამებელი დავალებების ანალიზს, კათედრების დონეზე, წინასწარ დამტკიცებული ფორმით; მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებას, ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, და წლიურ გამოცდებს. შეფასების ვერიფიკაციის ინსტრუმენტების მიხედვით, ინფორმაციის შეგროვებისა და გაანალიზებისთვის სკოლა იყენებს სტატისტიკური შეფასების მეთოდს. მათემატიკური აპარატის გამოყენება შეფასების სისტემის გადამოწმებაში გულისხმობს სტატისტიკურ ანალიზს, საერთო შემაჯამებელ ანგარიშს, რაც სტატისტიკურად გვიჩვენებს რამდენად თანმიმდევრულია მოსწავლეთა შეფასება, მათი სწავლის დინამიკა და რამდენად ექვემდებარება ის ახსნას; რამდენად არის მიღწეული სტანდარტის შედეგები. გამოიყენება ცენტრალური ტენდენციის საშუალებები: ქულები საშუალო მაჩვენებელი, საჭიროების შემთხვევაში მოდა. სკოლა თავის თვითშეფასების ანგარიშში მიუთითებს, რომ სასწავლო პროცესის შეფასებისას იყენებს მონაცემთა შეგროვების რამდენიმე მეთოდს, კერძოდ კითხვარებს,

ინტერვიუს და გასაუბრებას. წარმოდგენილი მასალებიდან და გასაუბრებიდან ირკვევა, რომ შეფასება წარიმართება საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების, განხორციელებული კომპლექსური დავალებების, სადიაგნოსტიკო წერის, წლიური გამოცდის და სხვადასხვა აქტივობებში მოსწავლეთა მონაწილეობის გათვალისწინებით; მასწავლებლები იზიარებენ სასწავლო პროცესის შეფასებისას მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდების აუცილებლობას. ინფორმაციის მოპოვებისთვის გამოიყენებენ რაოდენობრივ და თვისებრივ მეთოდებს, როგორც მოწოდებული დოკუმენტებიდან ირკვევა სკოლა უპირატესობას ანიჭებს ინფორმაციის მოგროვების ელექტრონულ საშუალებებს სპეციალური აპლიკაციების მეშვეობით. მოწოდებულ რესურსებში გაზიარებულია სკოლის მიერ შექმნილი გამოკითხვის ფორმები GOOGLE FORMS-ში, სკოლა ასევე გამოიყენებს MICROSOFT FORMS-საც. ამ მეთოდების გამოყენებით მუშავდება მონაცემები, რომლებიც მოიპოვება სკოლის მოსწავლეებისგან, მშობლებისგან, სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებისგან. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ექსპერტთა რჩევაა, კიდევ უფრო გამრავალფეროვნდეს სასწავლო პროცესში გამოყენებული ინსტრუმენტები (მაგ; გამოყენებულ იქნას ანკეტირება, გამოკითხვა, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი და სხვა).

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებით, სასკოლო სასწავლო გეგმით, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიით, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ შეფასება ხორციელდება საშინაო დავალების, საკლასო დავალების, კომპლექსური დავალებისა და შემაჯამებელი სამუშაოს შესრულების საფუძველზე. სკოლა შეფასებისას ეყრდნობა, როგორც მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, ასევე მათ პიროვნულ მახასიათებლებს, ინდივიდუალურ საჭიროებებსა და სოციალურ ფაქტორებს. ინტერვიუზე მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასების რუბრიკები საგანში ის ეფექტური ინსტრუმენტებია, რომელიც გამოიყენება როგორც მოსწავლეების ნამუშევრის, ასევე მუშაობის პროცესის შეფასების მიზნით. სწორედ ასეთი რუბრიკის გამოყენება იძლევა ისეთი სამუშაოს შეფასების საშუალებას, როგორიცაა მოსწავლეების მიერ წარმოდგენილი პრეზენტაციები, წერითი ნამუშევრები და კომპლექსური დავალებების დაძლევის ხარისხი. ვიზიტის დროს, ცხადი გახდა, რომ სკოლა იმგვარად არის ინტეგრირებული საკუთარ თემთან, რომ მათთვის ცნობილია ის ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ სკოლის მოსწავლეებზე: ოჯახი, მეზობლები, მეგობრები, თანაკლასელები და სხვა. ამ ფაქტორების ერთობლიობას ეყრდნობიან მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავების დროს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ✓ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- ✓ შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმები;
- ✓ კურიკულუმები;
- ✓ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- ✓ სოლო ტაქსონომიის რუბრიკები;
- ✓ დანართი N52 (ანგარიშის ფორმა);
- ✓ დანართი N53 (დაკვირვების შედეგების ანალიზის ფორმა).

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს კურიკულუმის გადასინჯვის და რევიზიის აუცილებლობას. ამ დოკუმენტის მიხედვით მთელი წლის განმავლობაში პედაგოგები სწავლობენ დანერგვის პროცესს (აგროვებენ მონაცემებს; აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე; პრობლემების გადასაჭრელად განიხილავენ ამა თუ იმ ინოვაციის დანერგვის პერსპექტივას), ამ გამოცდილების საფუძველზე კი სასწავლო წლის დასრულებისთანავე იწყებენ მუშაობას მომდევნო წლის სასწავლო გეგმაზე. მასწავლებლები იზიარებენ მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ აუცილებელია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის შემდგომი ღონისძიებების განხორციელება, როგორც კათედრის მასწავლებლებთან შეხვედრაზე გამოიკვეთა სკოლას ამ მიმართულებით უკვე აქვს განხორციელებული გარკვეული ღონისძიებები (მაგ; წინარე გამოცდილების საფუძველზე დაგეგმილი საქმიანობის მოდიფიცირება), ხოლო დაგროვილი გამოცდილების ანალიზის შემდეგ კიდევ დამატებით განახორციელებს სხვა ღონისძიებებსაც. მაგ; სკოლას მოაზრებული აქვს გარკვეული ღონისძიებები (მაგ; თემატური მატრიცების ანალიზის საფუძველზე სასკოლო კურიკულუმის განახლება). **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ ახალი სასწავლო წლისთვის, კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება. სკოლა ვალდებულია ყოველწლიურად განაახლოს დოკუმენტი წინა წლის მონაცემების ანალიზის საფუძველზე. ვიზიტის დროს აღინიშნა, რომ კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში ასევე გათვალისწინებული იქნება გაკვეთილზე დაკვირვების შედეგად გამოვლენილი მიგნებები. მასწავლებლები იზიარებენ მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ კურიკულუმის ყოველი გადამუშავებული ვერსია უნდა დაეფუძნოს წინარე გამოცდილებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი ხედვის შესაბამისად ყოველი ახალი სასწავლო წლის კურიკულუმი გაითვალისწინებს წინა წლების გამოცდილებას, ყურადღება გამახვილდება საფეხურებრივ თავისებურებებზე. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ პროცესები წარიმართება ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით საგნობრივ კათედრებზე წევრთა შორის გამოცდილების გაზიარებით, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრით და პრობლემების გადაჭრის გზების ძიებით, სხვა საგნობრივ კათედრებთან კოორდინირებული მუშაობის გზით. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა დადებით გამოცდილებას, რომელსაც დაეფუძნება ახალი მიზნები. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ✓ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- ✓ ხარისხის ჯგუფის შექმნის ბრძანება.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

ხელმოწერა:
ნინო ვასაძე

ნინო ჩიტაძე
მარინე ბაგალიშვილი
დავით ბოლქვაძე
ზურაბ ურიადმყოფელი
დავით კიკაბიძე
მარინე ჩიტაძე
როლანდ ხოჯანაშვილი
ირმა შველიძე
მურად ფახურიძე
მაკა ინაშვილი

04.12.2023
თარიღი